5. Barnhardt, T. M., Manzano, I., Brito, M., Myrick, M., & Smith, S. M. (2016). The effects of product placement in fictitious literature on consumer purchase intention. *Psychology & marketing*, 33(11), 883-898.

6. Bentley, K., Chu, C., Nistor, C., Pehlivan, E., & Yalcin, T. (2021). Social media engagement for global influencers. *Journal of Global Marketing*, 34(3), 205-219.

7. Cárđaba, M. A., Fernández, A., Martínez, L., & Cuesta, U. (2023). Make it part of the story: The role of product placement prominence and integration in fashion and beauty blogs among young digital natives. *Journal of Global Fashion Marketing*, 14(2), 157-172.

8. Chan, F. F. Y. (2020). Prior disclosure of product placement: The more explicit the disclosure, the better the brand recall and brand attitude. *Journal of Business Research*, 120, 31-41.

9. Chan, F. F. Y., Lowe, B., & Petrovici, D. (2015). Young adults' perceptions of product placement in films: An exploratory comparison between the United Kingdom and Hong Kong. *Journal of Marketing Communications*, 23(3), 311-328.

10. Chavadi, C. A., Menon, S. R., & Sirothiya, M. (2019). Modelling the Effects of Brand Placements in Movies: An Investigative Study of Event Type and Placement Type. *Vision*, 23(1), 31-43.

11. Cheung, C. M., & Thadani, D. R. (2012). The impact of electronic word-of-mouth communication: A literature analysis and integrative model. *Decision support systems*, 54(1), 461-470.

12. Chevalier, J. A., & Mayzlin, D. (2006). The effect of word of mouth on sales: Online book reviews. *Journal of marketing research*, 43(3), 345-354.

13. Civelek, M. E., & Ertemel, A. V. (2018). Trust building model of customers on B2c websites: A research on Generation Y customers/B2c web Siterlerinde Müşterilerin Güven Oluşturma Modeli: Y Jenerasyonu Müşterileri Üzerine Bir Araştırma. *Journal of History Culture and Art Research*, 7(1), 332-340.

14. Coker, K. K., & Altobello, S. A. (2018). Product placements in social settings: The impact of coviewing on the recall of placed brands. *Journal of Business Research*, 87, 128-136.

15. Daugherty, T., & Hoffman, E. (2014). eWOM and the importance of capturing consumer attention within social media. *Journal of Marketing Communications*, 20(1-2), 82-102.

16. Davtyan, D., Cunningham, I., & Tashchian, A. (2020). Effectiveness of brand placements in music videos on viewers' brand memory, brand attitude and behavioral intentions. *European Journal of Marketing*, 55(2), 420-443.

17. De Veirman, M., & Hudders, L. (2020). Disclosing sponsored Instagram posts: The role of material connection with the brand and message-sidedness when disclosing covert advertising. *International Journal of Advertising*, 39(1), 94-130.

18. European Commission (2021). Knowledge for policy. Product placement. Retrieved from: https://knowledge4policy.ec.europa.eu/glossary-item/product-placement_en#:~:text=A%20marketing%20technique%20that%20uses,%2C%20video%20games%2C%20and%20advergaming

19. García, A. M. (2021). Product placement as an efficient marketing tool within the media mix: The case of General Motors and Transformers. *Business Research*. 10(1), 224-237.


20. Ghosh, M. (2022). Product placement by social media influencers during new normal. *South Asian Journal of Marketing*, 3(1), 21-37.

21. Goh, K. Y., Heng, C. S., & Lin, Z. (2013). Social media brand community and consumer behavior: Quantifying the relative impact of user-and marketer-generated content. *Information systems research*, 24(1), 88-107.

22. Gupta, P. B., & Lord, K. R. (1998). Product placement in movies: The effect of prominence and mode on audience recall. *Journal of Current Issues & Research in Advertising*, 20(1), 47-59.

THE NEW ECONOMIST / სხვა სტატიები

4016





23. Hashem, A. R., Salleh, N. Z. M., Abdullah, M., & Nor, R. M. (2022). Product Placement and brand attitude development in the age of digital media with disclosure and persuasion Knowledge related to brand association. A review paper from the last decade. *Journal of Positive School Psychology*, 6(3), 505-523.
24. Hennig-Thurau, T., Gwinner, K. P., Walsh, G., & Gremler, D. D. (2004). Electronic word-of-mouth via consumer-opinion platforms: what motivates consumers to articulate themselves on the internet?. *Journal of interactive marketing*, 18(1), 38-52.
25. Huang, R., & Sarigöllü, E. (2012). How brand awareness relates to market outcome, brand equity, and the marketing mix. *Journal of Business Research*, 65(1), 92-99.
26. Hudders, L. (2012). Why the devil wears Prada: Consumers' purchase motives for luxuries. *Journal of Brand Management*, 19, 609-622.
27. Hughes, C., Swaminathan, V., & Brooks, G. (2019). Driving brand engagement through online social influencers: An empirical investigation of sponsored blogging campaigns. *Journal of Marketing*, 83(5), 78-96.
28. Jashi, C., & Todua, N. (2013). Behavior change through social marketing (Georgian case). In *Abstract Book of World Social Marketing Conference, Toronto* (pp. 95-97).
29. Jasmin, N. Z. B., Puspanathan, C. A., Haris, N. I. B., Devarajoo, A. R., & Simon, S. (2023). The Impact of Brand Placement Acceptance on Consumer Purchasing Intentions: A Case Study on Perak's State Working Adults. *International Journal of Recent Advances in Multidisciplinary Topics*, 4(4), 28-35.
30. Kakkar, K., Nayak, A. (2019). Analysis of Product Placement in Web Series and Its Influence on Consumer Buying Behavior. *Global Journal of Management And Business Research: E Marketing*, 19(3), 21-27.
31. Khurram, M., Qadeer, F., & Sheeraz, M. (2018). The role of brand recall, brand recognition and price consciousness in understanding actual purchase. *Journal of Research in Social Sciences*, 6(2), 219-241.
32. Kim, D., Jang, S., & Adler, H. (2015). What drives café customers to spread eWOM? Examining self-relevant value, quality value, and opinion leadership. *International Journal of Contemporary Hospitality Management*, 27(2), 261-282.
33. Kimmel, A. J., & Kitchen, P. J. (2014). WOM and social media: Presaging future directions for research and practice. *Journal of Marketing Communications*, 20(1-2), 5-20.
34. Kongmanon, J., & Petison, P. (2022). What do you see and what do you recall?: Using eye tracking to understand product placement. *Cogent Business & Management*, 9(1), 2120263.
35. Kumar, S. (2017). Influence of Product Placements in Films and Television on consumers' Brand Awareness. *Archives of Business Research*, 5(2), 163-179.
36. Laban, G., Zeidler, C., & Brussee, E. (2020). Binge-watching (Netflix) product placement: A content analysis on different product placements in Netflix originals vs. non-Netflix originals and drama vs. comedy show. *MediArXiv*.
37. Law, S., & Braun, K. A. (2000). I'll have what she's having: Gauging the impact of product placements on viewers. *Psychology & Marketing*, 17(12), 1059-1075.
38. Lou, C., & Yuan, S. (2019). Influencer Marketing: How Message Value and Credibility Affect Consumer Trust of Branded Content on Social Media. *Journal of Interactive Advertising*, 19(1), 58-73.
39. Lu, L. C., Chang, W. P., & Chang, H. H. (2014). Consumer attitudes toward blogger's sponsored recommendations and purchase intention: The effect of sponsorship type, product type, and brand awareness. *Computers in Human Behavior*, 34, 258-266.
40. Malhotra, N. (2010). *Marketing research: An applied orientation*. 6th ed., Upper Saddle River, N.J.; London: Pearson Education.
41. Malik, A. & Sudhakar, B.D. (2014). Brand positioning through celebrity Endorsement-A review contribution to brand literature. *International Review of Management and Marketing*, 4(4), 259-275.
42. Mandese, J. (2006). When product placement goes too far. *Broadcasting and Cable*, 12.
43. Matin, A., Khoshtaria, T., & Todua, N. (2022). The Impact of Social Media Influencers on Brand Awareness, Image and Trust in their Sponsored Content: An Empirical Study from Georgian Social Media Users. *International Journal of Marketing, Communication and New Media*, 10(18), 88-114.
44. Mohd-Nordin, M. A. S., & Baharom, S. N. (2018). A Study on Awareness of Product Placement in Malaysian Movies. *Ideology Journal*, 3(2), 103-108.
45. Ndelela, T., & Chuchu, T. (2016). Celebrity Endorsement Advertising: Brand awareness, brand recall, brand loyalty as antecedence of South African young consumers' purchase behaviour. *Journal of Economics and Behavioral Studies*, 8(2), 79-90.
46. Nordin, M. A. S. M., & Baharom, S. N. (2018). A



16.03.2023
11:00:00

Study on Awareness of Product Placement in Malaysian Movies. *Ideology Journal*, 3(2), 103-108.

47. Noris, A., Nobile, T. H., Kalbaska, N., & Cantoni, L. (2021). Digital fashion: A systematic literature review. A perspective on marketing and communication. *Journal of Global Fashion Marketing*, 12(1), 32-46.

48. Ong, C. C., Santiago, C. J., & Verdejo, C. K. (2022). Product Placement in Filipino Films: An approach to Consumer Purchasing Intention. *Journal of Business and Management Studies*, 4(1), 179-188.

49. Pancaningrum, E., & Ulani, T. (2020, January). The Effect of Product Placement on Customer Interests in Mediation by Brand Awareness. In *17th International Symposium on Management (Insyma 2020)* (pp. 177-182).

50. Parengkuan, V. J., Tulung, J. E., & Arie, F. V. (2020). Influence of product placement in movies and television programs towards brand recall of millennials. *Jurnal EMBA: Jurnal Riset Ekonomi, Manajemen, Bisnis Dan Akuntansi*, 8(1), 2085-2094.

51. Purwianti, L., & Niawati, N. (2022). Analysis of e-WOM, Brand Attitude, Brand Image on Purchase Intention. *SEIKO: Journal of Management & Business*, 5(1), 356-366.

52. Puspanathan, C. A., Jasmin, N. Z., Singh, N. S. B., Lim, S. S., & Simon, S. (2020). The Influential Characteristics of Brand Placement Towards Consumers Intention to Purchase: A Study on Youth Consumer's Intentions to Purchase in Perak: Ciri-Ciri Berpengaruh Perletakan Jenama Terhadap Niat Pembelian Pengguna dalam Kalangan Orang Muda di Perak. *Sains Insani*, 5(1), 22-33.

53. Raza, A., & Jalees, T. (2016). Measuring the effect of product placement strategy on attitudinal aspects. *Pakistan Business Review*, 18(3), 774-789.

54. Reza Jalilvand, M., & Samiei, N. (2012). The effect of electronic word of mouth on brand image and purchase intention: An empirical study in the automobile industry in Iran. *Marketing intelligence & planning*, 30(4), 460-476.

55. Russell, C. A., & Rasolofoarison, D. (2017). Uncovering the power of natural endorsements: A comparison with celebrity-endorsed advertising and product placements. *International Journal of Advertising*, 36(5), 761-778.

56. Saqif, Z., & Razi, S. (2018). Brand placements in films and television: An effective marketing communication strategy to influence customers. *International Journal of Management Excellence*, 10(3), 1423-1433

57. Saqif, Z., & Razi, S. (2018). Brand placements in films and television: An effective marketing communication strategy to influence customers. *International Journal of Management Excellence*, 10(3), 1423-1433.

58. Song, R., Meyer, J., & Ha, K. (2015). The relationship between product placement and the performance of movies. *Journal of Advertising Research*, 55(3), 322-338.

59. Srivastava, R. K. (2016). Promoting brands through product placement in successful and unsuccessful films in emerging markets. *Journal of Promotion Management*, 22(3), 281-300.

60. Statista (2023). Internet and social media users in the world 2023. Retrieved from: <https://www.statista.com/statistics/617136/digital-population-worldwide>

61. Tariq, M., Abbas, T., Abrar, M., & Iqbal, A. (2017). EWOM and brand awareness impact on consumer purchase intention: mediating role of brand image. *Pakistan Administrative Review*, 1(1), 84-102.

62. Todua, N. (2017). Social media marketing for promoting tourism industry in Georgia. In *Proceedings of the 22nd International Conference on Corporate and Marketing Communications: Challenges of Marketing Communications in a Globalized World*, Zaragoza (Spain), pp. 168-171.

63. Todua, N. (2019). Using social media marketing for attracting foreign tourists to Georgian destinations. *Globalization & Business*, 7, 39-48.

64. Todua, N., & Dotchviri, T. (2015). Anova in marketing research of consumer behavior of different categories in georgian market. *Annals of the Constantin Brancusi University of Targu Jiu, Economy Series*, (1), 183-190.

65. Todua, N., & Jashi, C. (2015). Some aspects of social media marketing (Georgian Case). *International Journal of Economics and Management Engineering*, 9(4), 1204-1207.

66. Todua, N., & Jashi, Ch. (2018). Influence of Social Marketing on the Behavior of Georgian Consumers Regarding Healthy Nutrition. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 12(2), 183-190.

67. Todua, N., & Robakidze, G. (2023a). Marketing Aspects of Product Placement and Modern Trends in its Development. *Economics and Business*, 15(2), 78-104.

68. Todua, N., & Robakidze, G. (2023b). The Impact of Product Placement on Consumer Behaviour (Case of Georgia). *International Journal of Scientific and Management Research*, 6(8), 21-29.



69. Tritama, H. B., & Tarigan, R. E. (2016). The effect of social media to the brand awareness of a product of a company. *Communication and Information Technology, 10*(1), 9-14.

70. Wei, M.-L., Fischer, E., & Main, K. J. (2008). An examination of the effects of activating persuasion knowledge on consumer response to brands engaging in covert marketing. *Journal of Public Policy & Marketing, 27*(1), 34-44.

71. Wiles, M. A., & Danielova, A. (2009). The worth of product placement in successful films: An event analysis. *Journal of marketing, 73*(4), 44-63.

72. Zhang, Z., Ye, Q., Law, R., & Li, Y. (2010). The impact of e-word-of-mouth on the online popularity of restaurants: A comparison of consumer reviews and editor reviews. *International Journal of Hospitality Management, 29*(4), 694-700.

ქართველი მომხმარებლების მიერ სოციალურ მედიაში ბრენდების განთავსების აღქმა

ნუგზარ თოდუა,

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
პროფესორი,

მარკეტინგის კათედრის ხელმძღვანელი
ელ.ფოსტა: nugzar.todua@tsu.ge
მობ: (+995 593) 32 16 55

ORCID: <http://orcid.org/0000-0002-1486-2141>

გიორგი რობაკიძე,

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
დოქტორანტი

ელ.ფოსტა: giorgi.robakidze@tsu.ge
მობ: (+995 599) 08 68 15


ORCID: <https://orcid.org/0009-0009-3704-1467>

აბსტრაქტი

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ თანამედროვე კომპანიები თავიანთი პროდუქტების ბაზარზე წინსვლისათვის აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია სოციალურ მედიაში პროდუქტის (ბრენდის) განთავსების მარკეტინგული სტრატეგიების გამოყენება. სტატიაში, ლიტერატურული მასალების გაანალიზების საფუძველზე, ჩამოყალიბებულია სოციალურ მედიაში ბრენდების განთავსების ძირითადი დეტერმინანტები (ცვლადები), რომელთაგან აღსანიშნავია ბრენდების გათავსების მიმდებარე, განთავსებული ბრენდების შესახებ მომხმარებელთა გათვითცნობიერება, ბრენდების ვახვენება და ელექტრონული სიტყვიერი მარკეტინგი (eWOM). აღნიშნული ცვლადებისათვის ფორმულირებულია შესაბამისი დებულებები, რომელთა საფუძველზეც ჩამოყალიბებულია კვლევის ჰიპოთეზები და შემუშავებულია კვლევის კონცეპტუალური მოდელი. დასახელებული ცვლადების ქართველ მომხმარებლებზე შემოქმედების დადგენის მიზნით ჩატარებულია მარკეტინგული კვლევა, რომელიც მოიცავს 18 წლის ზევით საქართველოს მოსახლეობას. სულ გამოკითხა 654 რესპონდენტი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. კვლევის შედეგები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამა SPSS 27-ის მეშვეობით. ანალიზმა აჩვენა, რომ კვლევაში გამოყენებული საზომები სანდოობის მაღალი დონისაა. ასევე წარმოჩინდა ის ფაქტი, რომ ქართველი მომხმარებლების შეხედულებები ტრადიციულ რეკლამასთან მიმართებით იკვლევდა და ისინი მეტ ყურადღებას აქცევენ სტიმულირების არატრადიციულ მეთოდებს. ასეთად კი, კვლევიდან გამოდინარე, სოციალურ მედიაში პროდუქტის განთავსება წარმოადგენს. ჰიპოთეზების ტესტირებისა და ზემოთ დასახელებულ ცვლადებს შორის დამოკიდებულების დასადგენად გამოყენებულია რეგრესიული ანალიზი. ასეთი ანალიზის შედეგად მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რომლებიც ქართველი მომხმარებლების მიერ სოციალურ მედიაში ბრენდების განთავსებასთან დაკავშირებულ ცვლადებს შორის კავშირებს ამტკიცებს. კვლევის შედეგად მიღებული თეორიული და პრაქტიკული ხასიათის მოსაზრებები სასარგებლოა საქართველოს ბაზარზე მომუშავე კომპანიებისათვის, რომლებიც ცდილობენ, არაპირდაპირი რეკლამის მეშვეობით ადვილობრივ მომხმარებლებზე თავიანთი ბრენდების პრომოცია მოახდინონ.

საკვანძო სიტყვები: სოციალური მედია, ბრენდების განთავსება, მომხმარებელთა ქცევა, მარკეტინგული კვლევა.

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



შეხვედრა

ციფრულმა ტექნოლოგიებმა ადამიანების ქცევა მკვეთრად შეცვალა. ციფრული მედია თანამედროვე კომუნიკაციის განუყოფელი ნაწილი გახდა. თანამედროვე ონლაინსაკომუნიკაციო არხების განვითარებამ განაპირობა ახალი სოციალური მედია ინფლუენსერების გამოჩენა, რომლებსაც შეუძლიათ, გავლენა მოახდინონ თავიანთი გამოქვეყნების მყიდველობით გადაწყვეტილებების მიღებაზე (Bentley *et al.*, 2021). კომპანიები, ბაზარზე თავიანთი ბრენდების წარდგენისას, კარგად აცნობიერებენ ასეთ გავლენას და ამ ციფრულ ლიდრებს იყენებენ თავიანთი მარკეტინგული და საკომუნიკაციო სტრატეგიების მნიშვნელოვან ნაწილად (Hughes *et al.*, 2019; Norris *et al.*, 2021).

დღეისათვის ციფრული მედია აქტიურად გამოიყენება კომპანიების მიერ სხვადასხვა მარკეტინგული საქმიანობის განსახორციელებლად, მათ შორის პროდუქტის განთავსებისათვის, რომელიც მომხმარებელთა მოზიდვის არატრადიციული მეთოდია (Babin *et al.*, 2021). პროდუქტის განთავსება არის მარკეტინგული ტექნიკა, რომელიც გულისხმობს შეტყობინების, ბრენდის ლოგოს ან პროდუქტის ჩართვას ვიზუალური ან გრაფიკული გამოსახულების მეორე მედიასაშუალებებში, როგორცაა სატელევიზიო პროგრამები, ფილმები, მუსიკა, ვიდეოთამაშები, სოციალური ქსელები და სხვა (European Commission, 2021). ციფრულ მედიაში მარკეტოლოგები ახდენენ პროდუქტის განთავსებას, რათა დაფარონ თავიანთი კომერციული მიზნები. ბოლო ხანებში ასეთ მიდგომა განსაკუთრებით პოპულარულია, ვინაიდან ტრადიციული რეკლამების მეტისმეტი გამოყენება ღლის მომხმარებლებს (García, 2021). სწორედ, ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ შეუწყო ხელი პროდუქტის განთავსების ახალი ტიპის - პროდუქტის ვირტუალური განთავსების ჩამოყალიბებას. ამასთან, პროდუქტის ვირტუალური განთავსება საშუალებას აძლევს მარკეტოლოგებს, მიზნობრივი აუდიტორიის მახასიათებლების გათვალისწინებით, ციფრულ კონტენტში ბრენდის ბუნებრივად ინტეგრირება მოახდინონ. ციფრული მედიის წყალობით ბოლო ხანებში, პროდუქტის განთავსების შედეგად, ბრენდების ცნობადობა მნიშვნელოვნად გაიზარდა (Hashem *et al.*, 2022). ამიტომაც ციფრულ მედიაზე დაფუძნებული პროდუქტის განთავსება დიდ გავლენას ახდენს მომხმარებლების მიერ ბრენდების აღქმაზე (Ghosh, 2022).

ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როცა

სოციალური მედია ინფლუენსერები იყენებენ პროდუქტის განთავსების სტრატეგიას, მათი მესიჯები მომხმარებელმა ზოგჯერ შეიძლება ჩათვალოს კომერციული ხასიათის მქონედ, რაც მათ დაეჭვებს იწვევს და ასეთი მიდგომის ეფექტიანობას ამცირებს (Russell & Rasolofoarison, 2017). შესაბამისად, ციფრულ კონტენტში კომერციული ხასიათის გამჟღავნება ავტომატურად იწვევს ადამიანების დარწმუნების ეფექტის შემცირებას (De Veirman & Hudders, 2020). ამიტომ ციფრულ მედიაში პროდუქტის განთავსებისას მკვლევრები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ისეთ ცვლადებს, რომლებიც გავლენას ახდენენ პროდუქტის განთავსებადმი მომხმარებელთა დამოკიდებულებაზე (Cárdaba *et al.*, 2023). მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანებში საქართველოში ციფრულ მედიაში მომხმარებელთა ქცევის მიმართულებით შესრულებულია გარკვეული სამუშაოები (Apil *et al.*, 2009; Jashi & Todua, 2013; Todua & Dotchviri, 2015; Todua & Jashi, 2015; Todua, 2017; Todua & Robakidze, 2023a; Todua & Robakidze, 2023b), დღემდე ნაკლებადაა შესწავლილი ქართველი მომხმარებლების მიერ პროდუქტის განთავსების საკითხები, რაც სათანადო მეცნიერულ დამუშავებას მოითხოვს. წინამდებარე ნაშრომი ამ ხარვეზის აღმოფხვრის მცდელობაა, რომლის მიზანია ციფრულ მედიაში პროდუქტის განთავსების გავლენის შესწავლა ელექტრონულ WOM-ზე და შესაბამისი ახლგაუქმების შემუშავება.

**ლიტერატურის მიმოხილვა
და კვლევის ჰიპოთეზების განვითარება**

ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა ისეთი სოციალური მედია საიტების პოპულარობა, როგორებიცაა Facebook, Twitter, YouTube, Instagram და სხვა (Statista, 2023). მომხმარებლების მიერ სოციალურ მედიაში განთავსებული კონტენტის მიწოდება გავლენას ახდენს სოციალური მედიისადმი სანდოობის დონეზე. თავის მხრივ, კონტენტისადმი სანდოობა სოციალურ მედიაში ჩართულობაზე გვალენის მომხდენი ფაქტორია. კონტენტის მიწოდების, კონტენტისადმი სანდოობისა და სოციალურ მედიაში ჩართულობის დონეების გავლენას ახდენს მომხმარებლების მიერ სოციალურ მედიაში პროდუქტის განთავსების მიმდებლობაზე (Lou & Yuan, 2019).

მარკეტინგული ქმედებების განხორციელების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფილმებში პროდუქტის (ბრენდის) განთავსების

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი

მიმღებლობა, რომელიც მაღალი ეფექტიანობით მომხმარებლებზე გავლენის მოხდენას უზრუნველყოფს (Balakrishnan *et al.*, 2012; Chavadi *et al.*, 2019; Kakkar & Nayak, 2019). ბრენდის განთავსების მიმღებლობა ვიკიჩვენებს, თუ როგორ ასსოვს აუდიტორიას ბრენდი და რამდენად ზოხიტიურია მომხმარებლის მიერ ბრენდის აღქმა, რაც, როგორც ნენი, მომხმარებლის მყიდველობით განზრახვაზე გავლენას ახდენს (Barnhardt *et al.*, 2016; Saqif & Razi, 2018; Puspnanathan *et al.*, 2020).

ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება გულისხმობს მომხმარებლების უნარს, ამოიცნონ და გაიხსენონ ბრენდი სხვადასხვა სიტუაციაში (Aaker, 2009). ეს უნარი დამოკიდებულია კომუნიკაციის დონეზე ან ბრენდის შესახებ მომხმარებლების შეხედულებებზე (Nordin & Baharom, 2018). კვლევები აჩვენებს, რომ ბიზნესისთვის პროდუქტის განთავსების გასართობ მედოქში ჩართვის მთავარი მიზანია ბრენდისადმი ცნობიერების დონის ამაღლება (Wiles & Danielova, 2009; Laban *et al.*, 2020).

პანკანიგრუმისა და ულანის (Pancaningrum & Ulani, 2020), კუმარის (Kumar, 2017), მდ-ნორდინისა და ბაპარომის (Mohd-Nordin & Baharom, 2018) კვლევების თანახმად, პროდუქტის განთავსება ის ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს მომხმარებლების მიერ ბრენდის გათვითცნობიერებაზე. ამასთან, პანკანიგრუმი და ულანი (Pancaningrum & Ulani, 2020) აღნიშნავენ, რომ მომხმარებლებს შეუძლიათ ამოიცნონ ბრენდები საერთაშორისო ფილმებიდან. თუმცა, ჩანისა და სხვათა (Chan *et al.*, 2015) თანახმად, ჰონგ-კონგელ გამოკითხულებს სჯერათ, რომ დაბალი ცნობადობის მქონე ბრენდების განთავსებას მცირე გავლენა აქვს ბრენდის შესახებ გათვითცნობიერებაზე, რის მიზეზადაც მათ ინტეგრაციის პრობლემა დაასახელეს. ფილმებში კარგად ინტეგრირებული პროდუქტის განთავსებით შესაძლებელია მომხმარებლებში ბრენდის შესახებ გათვითცნობიერების მაღალი დონისა და დადებითი სტიმულების მიღწევა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ბრენდთან ცნობილი ადამიანია ასოცირებული (Kumar, 2017). ლიტერატურული მასალების საფუძველზე შევიღებავთ შემდეგი ჰიპოთეზა (H):

H1: სოციალურ მედიაში პროდუქტის განთავსების მიმღებლობა დადებით გავლენას ახდენს ბრენდის შესახებ გათვითცნობიერებაზე.

სოციალურ მედიაში პროდუქტის განთავსება უკავშირდება ბრენდის გახსენებას. ბრენდის გახსენება არის მომხმარებლის უნარი, დაიდენტიფიციროს ბრენდი, მხოლოდ მისი სახე-

ლის მინიშნებით (Lu *et al.*, 2014; Nordin & Baharom, 2018). პროდუქტის თვალსაჩინო განთავსება უზრუნველყოფს ბრენდისადმი ყურადღების მიქცევას და, შესაბამისად, ბრენდის უკეთესად გახსენებას ინვესტორებს (Hudders, 2012; Tritama & Tarigan, 2016; Parengkuan *et al.*, 2020). რაც უფრო ხშირად აქვს მომხმარებელს პროდუქტის განთავსებასთან შეხება, მით მეტად იზრდება ბრენდის შესახებ მესხიერება, რაც ბრენდის გახსენების დონის ამაღლებას საშუალებას იძლევა (Nordin & Baharom, 2018; Puspnanathan *et al.*, 2020). მომხმარებლებმა ცნობილი ბრენდები შეიძლება გაიხსენონ მაშინაც, თუ ეს ბრენდები პროდუქტის განთავსების სცენის უკანა ფონზეა განთავსებული (Gupta & Lord, 1998). ლოუ და ბრაუნი (Law & Braun, 2000) მიიჩნევენ, რომ მომხმარებლებისთვის შეუფარველად განთავსებული ბრენდების ამოცნობა და გახსენება მარტივია. თუმცა, თუკი რეკლამის შემკვეთები გარკვეულ ზღვარს გადასცდილობს და მომხმარებლებს „დაბობავენ“ თვალშისაცემი სარეკლამო მიმართებით, ამ ტექნიკამ შეიძლება ნეგატიური შედეგები გამოიწვიოს (Mandese, 2006; Wei *et al.*, 2008).

ბრენდის მოხიტიერ გახსენების მაღალი დონე დადებითი მყიდველობითი განზრახვის წინაპირობაა (Chan, 2020; Lu *et al.*, 2014; Ndlela & Chuchu, 2016). ამასთან, მომხმარებლებმა შეიძლება ბრენდი გარე სტიმულის არსებობის გარეშეც გაიხსენონ, მაგალითად, ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში (Huang & Sarigollu, 2012). ამიტომ ბრენდის გახსენება დადებითად მოქმედებს მომხმარებლების ქცევით მახასიათებლებზე, მათ შორის მყიდველობითი განზრახვაზეც (Balakrishnan *et al.*, 2012). მომხმარებლები, რომლებიც ბრენდის გახსენების მაღალი დონით გამოირჩევიან, ბრენდის შექენისკენ უფრო მეტად მიდრეკილნი არიან (Lu *et al.*, 2014; Ndlela & Chuchu, 2016). პროდუქტის განთავსება აუზყოფებს მომხმარებლების მიერ ბრენდის გახსენების დონეს, ბრენდის მიმართ შეხედულებას და მყიდველობითი განზრახვის მაჩვენებლებს, რის შედეგადაც მომხმარებლების კმაყოფილების დონე იმატებს (Srivastava, 2016). კვლევები აჩვენებს, რომ პროდუქტის მოძრაობა ყველაზე ეფექტიანი ხერხია შედარებით დაბალი განათლების მქონე მომხმარებლებში ბრენდის მაღალი გახსენების მოსაღწევად, ხოლო უფრო მაღალი განათლების მქონე მომხმარებლებში იგივე შედეგი პროდუქტის შინაარსში ჩართვის ფორმას უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ ორივე ჯგუფის მომხმარებლებში ბრენდის გახსენებისთვის ნაკლებეფექტიური ფორმას ბრენდის



მაიდენტფიციტირებელი ელემენტების გრაფიკული გამოსახვა წარმოადგენს (Kongmanon & Petison, 2022). სამხრეთ აფრიკაში (Ndlela & Chuchu, 2016), პაკისტანში (Khurram *et al.*, 2018), ფილიპინებში (Ong *et al.*, 2022) და მალაიზიაში (Jasmin *et al.*, 2023) ჩატარებული კვლევები ემპირიულად ადასტურებს პროდუქტის განთავსებასა და ბრენდის გახსენებას შორის პოზიტიური ურთიერთკავშირის არსებობას. აქედან გამომდინარე, შევიშუავეთ შემდეგი პიოთეზა:

H2: სოციალურ მედიაში პროდუქტის განთავსების მიმღებლობა დადებით გავლენას ახდენს ბრენდის გახსენებაზე.

განსაკუთრებული ხაზი უნდა გაეგვას იმ ფაქტს, რომ განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერების ზრდა იწვევს მომხმარებლების მიერ ბრენდის უკეთ გახსენებას (Ong *et al.*, 2022). შესაბამისად, ბრენდის შესახებ მომხმარებლების გათვითცნობიერება აუცილებელი პირობაა ბრენდის გახსენებლად. ამასთან, გახსენების დონე მაღალდება, როდესაც მსახიობი ახსენებს ან ვიზუალურად ჩანს, რომ იგი იყენებს ბრენდირებულ პროდუქტებს (Balakrishnan *et al.*, 2012). ბრენდის შემახებ გათვითცნობიერების ეტაპიდან მიღებულმა ინფორმაციამ, შესაძლოა, მომხმარებლებში ბრენდის გახსენების საფუძველი შექმნას და ბრენდის შესახებ მათ შეხედულებებზე გავლენა მოახდინოს (Malik & Sudhakar, 2014). ამასთან, მომხმარებლების მიერ პროდუქტის განთავსების აღქმაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალური ფაქტორი, მაგალითად, სხვადასხვა ტიპის ინტერპერსონალური ურთიერთობები, როგორცაა მეგობრები, ოჯახის წევრები ან ნაცნობები. კვლევები აჩვენებს, რომ ადამიანები, რომლებიც პროდუქტის განთავსებას მეგობრებთან ერთად ამჩნევენ, განთავსებულ ბრენდებს უკეთესად იხსენებენ (Coker & Altobello, 2018). პროდუქტის განთავსების შესახებ განხორციელებული კვლევის ფარგლებში აშკარაა, რომ ბრენდის შესახებ გათვითცნობიერებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ბრენდის გახსენებაზე (Ong *et al.*, 2022). ამასთან, თუ მომხმარებლები ინფორმირებულნი არიან პროდუქტის განთავსების შესახებ, ეს ბრენდის გახსენების დონეს გაზრდის (Mohd-Nordin & Baharom, 2018). ამ მსჯელობიდან გამომდინარე შევიშუავეთ შემდეგი პიოთეზა:

H3: სოციალურ მედიაში განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება დადებით გავლენას ახდენს ბრენდის გახსენებაზე.


მომხმარებლებს შორის ინფორმაციის გადა-

ცემის გავრცელებული პრაქტიკაა სიტყვიერი მარკეტინგი (ინგლ. Word of Mouth, ანუ WOM), რომელიც მომხმარებლების ქცევაზე გავლენის მომხდენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია (Daugherty & Hoffman, 2014). სოციალური მედიის განვითარების კვალდაკვალ, WOM-ს, მარკეტინგული კომუნიკაციის სხვა ფორმებთან შედარებით, ძლიერი გავლენა აქვს მომხმარებლების მიერ მყიდველობითი გადაწყვეტილების მიღებაზე. ეს განპირობებულია იმით, რომ სოციალური მედია ქმნის გარემოს, სადაც მომხმარებლები მოხალისე მარკეტოლოგების როლში გამოდიან და ინფორმაციას შუამავლებს გარეშე, თავიანთი ციფრული არხების საშუალებით ავრცელებენ (Goh *et al.*, 2013; Kimmel & Kitchen, 2014). ამიტომ მომხმარებლები WOM-ს გაცილებით უფრო სანდო წყაროდ მიიჩნევენ, ვიდრე ტრადიციულ საკომუნიკაციო ხერხებს (Cheung & Thadani, 2012). ამასთან, კვლევები ადასტურებს, რომ პროდუქტის განთავსება პოზიტიურ კორელაციაშია WOM-თან, კერძოდ, როდესაც მაყურებლები ფილმში ბრენდს ამჩნევენ, დიდია ალბათობა იმისა, რომ ისინი სხვებთან ბრენდის შესახებ პოზიტიურად კონტექსტში ისაუბრობენ (Song *et al.*, 2015). ასევე, აღმოჩნდა, რომ პროდუქტის განთავსებისას ბრენდის განმეორებითი გამოქვინა დადებით გავლენას ახდენს WOM-ის განზრახვაზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბრენდის ჩართვის სიხშირის ზრდა მაყურებლებს ჯებიტებს, ისაუბრონ და თუ იმ ბრენდზე (Raza & Jalebs, 2016; Saqif & Razi, 2018; Davtyan *et al.*, 2020).

ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ზრდის კვალდაკვალ, გაჩნდა ახალი ტერმინი ელექტრონული WOM (Reza Jalilvand & Samiei, 2012). ელექტრონული WOM გულისხმობს პროდუქტის ან კომპანიის შესახებ მომხმარებლების მიერ გამოთქმულ განცხადებებს, რომლებიც ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია ინტერნეტის გამოყენებით (Hennig-Thurau *et al.*, 2004). ელექტრონული WOM მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, ჩაერთონ არა კომერციულ რეკლამირებაში, ერთმანეთს გაუზიარონ და განიხილონ კონკრეტულ პროდუქტთან ან ბრენდთან დაკავშირებული საკუთარი გამოცდილება (Chevalier & Mayzlin, 2006). ელექტრონული WOM-ის გამოყენებით, ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მომხმარებლები სასარგებლო ინფორმაციას იღებენ სხვების გამოცდილების გაცნობით (Zhang *et al.*, 2010). ამიტომ მარკეტოლოგები ეძებენ და ასტიმულირებენ იმ მომხმარებლებს, რომლებსაც შეუძლიათ,

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი

ნახ. 1. კვლევის კონცეპტუალური მოდელი



დადებითი ელექტრონული WOM გააგრძელონ, რის შედეგადაც ადამიანებს ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მოტივაცია უზრუნველყოფს (Kim *et al.*, 2015). ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ახალი თაობის მომხმარებლები შეხედულებების ჩამოყალიბების პროცესში უფრო მეტად ციფრული წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას ენდობიან. ამიტომ ელექტრონული WOM დადებითი გავლენას ახდენს მოლეწილების მყიდველობით გადაწყვეტილებაზე (Givелеk & Ertemel, 2018).

კვლევები გვიჩვენებს, რომ ადამიანები პროდუქტის შესახებ ინფორმაციას სოციალურ ქსელებში ეძებენ, რათა ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება გაუმარტივდეთ (Seo & Park, 2018). შესაბამისად, მომხმარებლები ენდობიან ელექტრონული WOM-ის ინფორმაციას იმ ადამიანების გამოცდილების შესახებ, რომლებმაც პროდუქტი ონლაინ სივრცეში შეიძინეს. მკვლევრები ასკვნიან, რომ ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება დადებითი გავლენას ახდენს ელექტრონულ WOM-ზე, რაც ამალავს ბრენდის იმიჯს და მყიდველობითი განზრახვის ჩამოყალიბების წინაპირობას ქმნის (Tariq *et al.*, 2017). კვლევები ადასტურებს, რომ ელექტრონულ WOM-ს მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა აქვს მყიდველობითი განზრახვაზე (Purwianti & Niawati, 2022). აღნიშნული კვლევებიდან გამომდინარე შევიმუშავეთ შემდგომი ჰიპოთეზები:

H4: სოციალურ მედიაში განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება დადებითი გავლენას ახდენს ელექტრონულ WOM-ზე;

H5: სოციალურ მედიაში განთავსებული ბრენ-

დის გახსენება დადებითი გავლენას ახდენს ელექტრონულ WOM-ზე.

ზემოთ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზების საფუძველზე შეიძლება შევიმუშაოთ კვლევის კონცეპტუალური მოდელი, რომლის სტრუქტურა ნაჩვენებია 1-ელ ნახაზზე.

კვლევის მეთოდოლოგია

მოცემულ კვლევაში ცვლადები და საზომი დებულებები ჩამოყალიბებულია შესაბამისი ლიტერატურიდან დედუქციური მეთოდის საფუძველზე (იხ. ცხრილი 1). კვლევა განხორციელდა მომხმარებელთა გამოკითხვის მეთოდით, ხოლო კვლევის ინსტრუმენტად შევარჩიეთ ანკეტა, რომელიც ამდენიმე სტრუქტურული კითხვისგან შედგებოდა. ანკეტა მოიცავდა ინფორმაციას რესპონდენტის თანხმობისა და კონფიდენციალურობის შესახებ, აგრეთვე, კვლევის განმარტებებს და შევსების ინსტრუქციებს. ანკეტაში გამოყენებულია ლიკერტის ხუთბალიანი სკალა. გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონული ინტერვიუს მეთოდით. კვლევაში გამოვიყენეთ თვითადმინისტრირებადი გამოკითხვის მეთოდი, რათა თავიდან აგვეცილებინა ინტერვიუერის სუბიექტურობით გამოწვეული შეცდომები. შერჩევის ფორმირება მოხდა საალბათო მეთოდის საფუძველზე. 95%-იანი სანდო ალბათობისა და 4%-იანი ცდომილების გათვალისწინებით, სულ გამოკითხვა 18 წელზე მეტი ასაკის 654 რესპონდენტი (მთ შორის მამაკაცი იყო 280, ქალი - 374). მიღებული შედეგები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამა SPSS-ის საშუალებით. ცვლადებს შორის კავშირთიერთობის დასადგენად გამო-

ცხრილი 1. კვლევის კონსტრუქცია და საზომები

ცვლადები	დებულებები	წყარო
სოციალურ მედიაში ბრენდის განთავსების მიმღებლობა	<ol style="list-style-type: none"> 1. ვთვლი, რომ სოციალურ მედიაში ბრენდის განთავსება ტრადიციული რეკლამის კარგი ალტერნატივაა 2. ჩემთვის მისაღებია სოციალურ მედიაში პროდუქტის (ბრენდის) განთავსება 3. ჩემი აზრით, ბრენდის განთავსება სოციალურ მედიაში აღრმავებს მომხმარებლის შთაბეჭდილებას ამ პროდუქტის შესახებ 	Balakrishnan et al. (2012); Saqif & Razi (2018); Chavadi et al. (2019); Kakkar & Nayak (2019); Puspanathan et al. (2020)
ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება	<ol style="list-style-type: none"> 1. მე ვაჩვენებ, რომ სოციალურ მედიაში განთავსებულია სხვადასხვა პროდუქტი (ბრენდი) 2. მე ყურადღებას ვაქცევ სიტუაციას, როცა სოციალურ მედიაში უამრავ ბრენდულ პროდუქტზე ლაპარაკობენ 3. სოციალურ მედიაში პროდუქტის განთავსება მეხმარება, მივიღო მეტი ინფორმაცია სხვადასხვა პროდუქტის (ბრენდების) შესახებ 4. მე, ძირითადად, ცნობილი ბრენდების განთავსებას ვაჩვენებ 	Chan et al. (2015); Kumar (2017); Mohd-Nordin & Baharom (2018); Nordin & Baharom (2018); Laban et al. (2020); Pancaningrum & Ulani (2020); Ong et al. (2022)
ბრენდის გახსენება	<ol style="list-style-type: none"> 1. მე ადვილად ვაჩვენებ სოციალურ მედიაში განთავსებულ ბრენდებს 2. პროდუქტის განთავსების მეშვეობით მე შემიძლია, ზოგიერთი ბრენდები გავიხსენო 3. სოციალურ მედიაში ბრენდების უწყვეტად განთავსება ამ ბრენდებს ჩემთვის ნაცნობს ხდის 4. პროდუქტის განთავსების საშუალებით მე შემიძლია ერთი ბრენდი მეორისაგან განვასხვავო 5. მე მახსოვს პროდუქტის განთავსება, რომელიც სოციალურ მედიაში ბოლო დროს შემხვდა 6. მე მახსოვს თითქმის ყველა ის პროდუქტი, რომელიც სოციალურ მედიაშია ნახსენები 	Balakrishnan et al. (2012); Tritama & Tarigan (2016); Nordin & Baharom (2018); Puspanathan et al. (2020); Parengkuan et al. (2020); Ong et al. (2022)
eWOM	<ol style="list-style-type: none"> 1. ბრენდები, რომლებიც ჩნდება სოციალურ მედიაში, მათ მიმართ ჩემს დამოკიდებულებას ცვლის 2. ხშირად სოციალურ მედიაში განთავსებული ბრენდების ნახვის შემდეგ მინდა შეეცვალო ჩემი მჯობინებები, რათა დავიცვა სოციალური ნორმები ან ტრენდები 3. სოციალურ მედიაში განთავსებულ პროდუქტს დადებითად დავახასიათებდი სხვებთან 4. სოციალურ მედიაში განთავსებულ პროდუქტის შეძენას სხვებს ვურჩევ 5. სოციალურ მედიაში განთავსებული პროდუქტის შესახებ სოციალურ ქსელებში დადებით რამეებს დავწერ 	Raza & Jalees (2016); Saqif & Razi (2018); Davtyan et al.(2020)

ვიყენებ რეგრესიული ანალიზის მეთოდს, ხოლო შერჩეული ცვლადების ცალკეული დებულებების სანდოობის გასაზომად - კრონახის აღფა. ცალკეული ცვლადი ან დებულება შეიძლება ჩაითვალოს სანდოდ, თუ მისი მნიშვნელობა აღემატება 0,60-ს (Malhotra, 2010). კრონახის აღფას მნიშვნელობე-

ბი მოცემულია მე-2 ცხრილში. (წყარო: ავტორები)

კვლევის შედეგები

კვლევამ აჩვენა, რომ ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულება ტრადიციულ რეკლამასთან მიმართებით, თანდათანობით იცვლება.

ცხრილი 2. სანდოობის სტატისტიკა

ცვლადები	დებულულების რაოდენობა	კრონბახის ალფა	შედეგი
სოციალურ მედიაში ბრენდის განთავსების მიმღებლობა	3	0.816	სანდოა
ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება	4	0.625	სანდოა
ბრენდის გახსენება	6	0.864	სანდოა
eWOM	5	0.888	სანდოა
სულ	18	0.886	სანდოა


მათი აზრით, რეკლამის ტრადიციული პრაქტიკა დროთა განმავლობაში კარგავს ეფექტიანობას. ამიტომ დღეისათვის პროდუქტის განთავსების პრაქტიკა, ტრადიციულ რეკლამასთან შედარებით, უფრო მიმზიდველია, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს ციფრულ მედიასთან დაკავშირებით ხორციელდება. ჩვენ მიერ გამოკითხული რესპონდენტების უმეტესობა თვლის, რომ ბრენდების განთავსების პრაქტიკა ციფრულ მედიაში ნაკლებად სახიფათოა ქვეცნობიერზე ზემოქმედების თვალსაზრისით, ასევე უფრო მეტად დასამახსოვრებელია და სანდოა, ვიდრე მათი ტრადიციული რეკლამირება (იხ. ნახ. 2).

ჩვენთვის საინტერესო ჰიპოთეზების შემონ-მებისათვის გამოვიყენეთ რეგრესიული ანალიზი. წინამდებარე ნაშრომში რეგრესიული ანალიზის

მეშვეობით დავადგინეთ დამოუკიდებელ, შუალედურ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის ურთიერთკავშირი. მოცემულ კვლევაში დამოუკიდებელ ცვლადს წარმოადგენს სოციალურ მედიაში პროდუქტის განთავსების მიმღებლობა, შუალედურ ცვლადებს - განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება და ბრენდის გახსენება, ხოლო დამოკიდებულ ცვლადს - eWOM.

პირველ რიგში, დავადგინეთ დამოუკიდებელი ცვლადის, სოციალურ მედიაში პროდუქტის განთავსების მიმღებლობის გავლენა შუალედურ ცვლადებზე - განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერებაზე და ბრენდის გახსენებაზე (იხ. ცხრილი 3). აღმოჩნდა, რომ ეს გავლენა საკმაოდ მნიშვნელოვანია ($P < 0.005$). შესაბამისად, პირველი და მეორე ჰიპოთეზები დამტკიცებულია.

ნახ. 2. რესპონდენტთა მოსაზრებები ტრადიციული რეკლამირებისა და ციფრულ მედიაში პროდუქტის განთავსებასთან მიმართებით





ცხრილი 3. ბრენდის შესახებ გათვითცნობიერებასა და ბრენდის გახსენებაზე ციფრულ მედიაში პროდუქტის განთავსების მიმღებლობის გავლენის რეგრესიული ანალიზი

		კვადრატების ჯამი	DF	საშუალო კვადრატი	F	P
ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება	რეგრესია	1009.754	1	1009.754	175.319	.000
	ცდომილება	3760.972	653	5.760		
	ჯამი	4770.727	654			
ბრენდის გახსენება	რეგრესია	1906.045	1	1906.045	111.382	.000
	ცდომილება	11174.541	653	17.113		
	ჯამი	13080.586	654			

წყარო: ავტორები

ცხრილი 4. ბრენდის გახსენებაზე განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერების გავლენის რეგრესიული ანალიზი

		კვადრატების ჯამი	DF	საშუალო კვადრატი	F	P
ბრენდის გახსენება	რეგრესია	3468.621	1	3468.621	235.645	.000
	ცდომილება	9611.966	653	14.720		
	ჯამი	13080.586	654			

წყარო: ავტორები

ცხრილი 5. eWOM-ზე ბრენდის შესახებ გათვითცნობიერებისა და ბრენდის გახსენების გავლენის რეგრესიული ანალიზი


		კვადრატების ჯამი	DF	საშუალო კვადრატი	F	P
ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება	რეგრესია	1133.203	1	1133.203	86.705	.000
	ცდომილება	8534.501	653	13.070		
	ჯამი	9667.704	654			
ბრენდის გახსენება	რეგრესია	1725.375	1	1725.375	141.856	.000
	ცდომილება	7942.329	653	12.163		
	ჯამი	9667.704	654			

წყარო: ავტორები

შემდგომ გამოვიკვლიეთ, შუალედური ცვლადის, განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერების გავლენა მეორე შუალედურ ცვლადზე - ბრენდის გახსენებაზე (იხ. ცხრილი 4). აღმოჩნდა, რომ ეს გავლენა საკმაოდ მნიშვნელოვანია ($F=235.645$, $P<0.005$) და მესამე შიპოთეზაც დამტკიცებულია.

რეგრესიული ანალიზი გამოვიყენეთ იმის შესამოწმებლად, თუ როგორ მოქმედებს შუალედური

ცვლადები - ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება და ბრენდის გახსენება დამოკიდებულ ცვლადზე - eWOM-ზე (იხ. ცხრილი 5). შედეგები ცხადყოფს, რომ ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება და ბრენდის გახსენება მნიშვნელოვან როლს ასრულებს eWOM-ის ჩამოყალიბებაზე. ზემოთ მოცემული ცვლადებისათვის $P<0.005$, შესაბამისად, მეოთხე და მეხუთე შიპოთეზები დამტკიცდა.

**დასკვნები**

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ქართველი მომხმარებლები დადებითად აღიქვამენ სოციალურ მედიაში ბრენდის განთავსებას, თუმცა, მას საშუალო დონეზე აფასებენ. ამასთან, სოციალურ მედიაში ბრენდის განთავსების მახასიათებლების გაველენა ქართველი მომხმარებლების აღქმაზე საკმაოდ მაღალია. სტატისტიკური ანალიზი კი ცხადყოფს კვლევაში გამოყენებული მოდელის სანდოობას. კვლევა ცხადყოფს, რომ სოციალურ მედიაში პროდუქტის განთავსება ეფექტიანი მარკეტინგული ინსტრუმენტია, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლების მიერ ბრენდების შესახებ გათვითცნო-

ბიერებისა და გახსენების ამაღლებას. ამ დროს გასათვალისწინებელ უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს სოციალურ მედიაში პროდუქტის განთავსების შედეგად ბრენდების შესახებ დადებითი WOM-ის ფორმირება. ამიტომ, კვლევიდან გამომდინარე, მარკეტოლოგები, რომლებიც ეყენებენ სოციალურ მედიაში ბრენდის განთავსებას, უნდა დარწმუნდნენ, რომ ეს ინსტრუმენტი მოსწონთ მიზნობრივ ჯგუფებს. ამასთან, წინამდებარე კვლევის შედეგებს გათვალისწინება დაეხმარება მარკეტოლოგებს, რათა სოციალურ მედიაში პროდუქტის განთავსება გამოიყენონ თავიანთი ბრენდების შესახებ დადებითი ხმების გასავრცელებლად.

"ACADEMIC CORRUPTION" – COMPENSATION, COMPETITION AND ASSESSMENT SYSTEM

Copyright © 2023 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: August 29, 2023
Published: September 20, 2023
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC18032023-29



George Goroshidze
PHD, psychology
Invited Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ORCID ID: <https://orcid.org/0000-0002-6244-2942>
E-mail: goroshidze@gmail.com
Cell: (+995) 597382317



Lasha Mgeladze
PHD, economics
Assistant-Professor

Technical University of Georgia
ORCID ID: <https://orcid.org/0000-0003-4608-7255>
E-mail: lmgeladze@gmail.com
Cell: (+995) 577229889

ABSTRACT

For any system, its highest significance lies in how effectively it operates within the institutional framework, how much it contributes to the efficient functioning of the "established" or "operational" institutions within the system, their capabilities (how well they respond quickly and effectively to the existing needs/emerging problems) and the quality of their management and established knowledge or service.

Considering the aforementioned factors, our research aims at identifying proposing pathways for improving the efficiency of the system of education, particularly in the highest educational institutions, analyzing the system of evaluation, competitors and providing pathways to address existing challenges/problems. We believe that the efficient functioning of the system of the highest education has great significance for the efficient operation of the three components mentioned above – scholarships, assessment and competitions.

The research object is the institutional structure of the state's highest educational institutions, the existing/active stimuli in the institutions, the motivation system and the normative basis for regulating labor relations.

For this purpose, we used "Practice in the Regulation of Academic Personnel in the Normative Base of the Academic Curriculum"- Analysis, Synthesis and Critical Evaluation Methods.

The research explores the risks of corruption in the system of education, particularly focusing on the regulation of interactions among academic personnel. It critically assesses the models of scholarships, competitions and evaluations existing in the education system. Identified problems are discussed and pathways for the problem-solving are proposed.

Finally, the study provides 10 recommendations for addressing the issue.

Keywords: education system, academic curriculum, corruption, academic personnel, freedom of work, labor contracts, effectiveness of education, scholarship system, evaluation system.



REFERENCES:

1. **Bedianashvili, G., Bichia, Q., & Natsvlishvili, E. (2021).** Development of Entrepreneurial Activity, Labor Market and Modern Challenges of Higher Education. *Globalization and Business*. 12, 21-31. (In Georgian). <https://doi.org/10.35945/gb.2021.12.002>.
2. **Descartes Rene (2006).** A Discourse on the Method. Translated by Ian Maclean. Oxford University Press.
3. **Freud Sigmund (1923).** Introductory lectures on psycho-analyses (J. Riviera, Trans.). London, Allend & Unwin.
4. **Goroshidze G. (2017)** Prospects to Improve the Effectiveness of Bachelor Programs. "Internet-academy"/Georgian electronic reviewed scientific journal "GESJ", education sciences and psychology. N3 (45), p. 128-142. (In Georgian).
5. **Goroshidze G. (2018)** Organizational Climate of Educational Institutions and Ways of Optimization Attitudes Towards Academic Staff (Principles and Procedures for the Occupation of Academic Positions). "Internet-academy"/Georgian electronic reviewed scientific journal "GESJ"/education sciences and psychology, N3 (49), p. 84-97. (In Georgian).
6. **Goroshidze G. (2018)** The Organizational Models of Higher Education. "Internet-academy"/Georgian electronic reviewed scientific journal "GESJ"/education sciences and psychology. N2 (48), p. 102-113. (In Georgian).
7. **Goroshidze G. (2019)** Prospects for Improving Organizational Behavior in Higher Education. "Internet-academy"/Georgian electronic reviewed scientific journal "GESJ"/education sciences and psychology. N2 (52), p. 55-73. (In Georgian).
8. **Goroshidze G. (2019)** Human Resource Evaluation and Management Models in the Education System. "Internet-academy"/Georgian electronic reviewed scientific journal "GESJ"/education sciences and psychology. N3 (53), p. 76-90. (In Georgian).
9. **Goroshidze G. (2019)** The Need of Use the "Progressive Model" of Organizational Behavior in the Higher Education System. (Academic Staff Competition-Attestation Assessment). "Internet-academy"/Georgian electronic reviewed scientific journal "GESJ"/education sciences and psychology. N4 (54), p. 50-63. (In Georgian).
10. **Goroshidze G. (2020)** Organizational Pathologies in the Higher Education System. "Internet-academy"/Georgian electronic reviewed scientific journal "GESJ"/education sciences and psychology. N3 (57), p. 37-45. (In Georgian).
11. **Goroshidze G. (2021)** Leadership Models and Organizational Pathologies in the Education System. "Internet-academy"/Georgian electronic reviewed scientific journal "GESJ" education sciences and psychology, N2 (59), p. 83-94. (In Georgian).
12. **Goroshidze G. (2021)** Improving Leadership Effectiveness in the Higher Education System. "Internet-academy"/Georgian electronic reviewed scientific journal "GESJ"/education sciences and psychology, N3 (60), p. 136-143. (In Georgian).
13. **Goroshidze G. (2022)** Moral Crime and Organizational Pathologies in the Education System. "Internet-academy"/Georgian electronic reviewed scientific journal "GESJ"/education sciences and psychology, N4 (65), p. 73-80. (In Georgian).
14. **Gvlesiani, M., & Veshapidze, S. (2016a).** European Values: What Can We Implement from Them and How Can We Implement Them in Georgia. *Globalization & Business*. (1). 40-46. (In Georgian).
15. **Gvlesiani, M., & Veshapidze, S. (2016b).** Values: Limits and Contradictions. *Globalization & Business*, (1). 35-39. (In Georgian).
16. **Menshikov, V., Bedianashvili, G., Ruza, O., & Kokin, I. (2021).** Mobility in the context of entrepreneurial potential of students under the conditions of the COVID-19 pandemic (Latvia, Georgia). *ENTREPRENEURSHIP AND SUSTAINABILITY ISSUES*. 9(1), 574-589. [https://doi.org/10.9770/jesi.2021.9.1\(36\)](https://doi.org/10.9770/jesi.2021.9.1(36))
17. **Mgeladze, L. (2017).** The Challenges Georgia Faces in the Fight Against Corruption, *Journal Business-Engineering*, 2017, #4, pp. 20-25 (In Georgian).
18. **Mgeladze, L. (2018).** Public Service Challenges and Ways of Solving Them, "World of Lawyers" Tbilisi, Book, pp. 2567. (In Georgian).
19. **Mgeladze, L. (2019).** National Currency in Georgia, an instrument that impedes or facilitates economic development, *Journal The New Economist*, #3-4, pp. 7-20. (In Georgian).
20. **Mgeladze, L. (2021).** Development Plan of The Country and Some OF Its Aspects, DOI suffix: 36962/NEC62-6303-04202120, #3-4(62-63), Vol. 16, Issue 3, pp. 20-32. (In Georgian).
21. **Papava, V. (2013).** *Economic reforms in post-communist Georgia: twenty years after*. Nova Science Publishers, Incorporated.
22. **Papava, V. (2020).** *Becoming European:*



Challenges for Georgia in the Twenty-First Century. iUniverse.

23. Shengelia, T. (2018). Social capital of dominant ethnic groups and its impact on business.

24. Shengelia, T. (2019). Research methodology and the impact of social entrepreneurship on the solution of social problems in Georgia.

25. Sichinava, A., Chikava, M., Veshapidze, S., Sekhniashvili, D., & Pailodze, N. (2013). Realities of internationalization of higher education in Georgia.

26. Veshapidze, S., (2017). THE TRADITIONS ORIENTATED ON EUROPEAN VALUES IN GEORGIA. Sciences of Europe. VOL 4, No 13 (13)

27. Veshapidze, S. (2022). Ilia Chavchavadze on the Methodological Aspects of Economic Processes Research and Modernity. Conference: VII International Scientific Conference. At: Tbilisi, Georgia.

28. Veshapidze, S. (2023). About the dangers of academic competition. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press

29. Veshapidze, S., & Karchava, L. (2022). Contradictions of Globalization under the COVID-19 Pandemic. Bull. Georg. Natl. Acad. Sci, 16(4).

30. Veshapidze, S., & Mgeladze, L. (2023). Some aspects of protection of labor freedom in higher education institution. The New Economist 18 (1)

31. Veshapidze, S., & Putkaradze, R. (2023). International economic relations of Georgia at the modern stage of globalization. "Ekonomisti" #1, 58-69.

32. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2021). Institutional Evolution of Higher Education in Georgia. The New Economist, 16(2), 1-1. DOI: <https://doi.org/10.36962/NEC6102202133>

33. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022a). On State Intervention in the Economy through the Budget in Georgia. *WORLD ECONOMY AND INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS*. - *International Scientific*

lection - Vol. 5. Kyiv – CUL. <https://doi.org/10.5281/zenodo.5807500>

34. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022b). Value Choices of the Community in the Context of the COVID-19 Pandemic. DOI: <https://doi.org/10.5281/zenodo.6373197>.

35. Veshapidze, S., Babuadze, N., & Beridze, T. (2015). EUROPEAN VALUES AND CHOICE OF GEORGIA (HUMAN DIGNITY, LAWFUL SOVEREIGNTY, DEMOCRACY AND WELLBEING). *ACTUAL PROBLEMS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF NATIONAL ECONOMIES*. (10-11 July, 2015). PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY. Tbilisi, 79-83.

36. Veshapidze, S., Zubiashvili, T., & Chiabrishvili, K. (2021). Globalization and New Opportunities for Georgia. *Globalization and Business*. 12, 32-36.

37. Veshapidze S., Otinashvili R., Gvarutsidze A., Abuselidze G., Zoidze G. (2022). Modern technologies to overcome the challenges of globalization. *Entrepreneurship*, 10 (2), 22-32 DOI: 10.37708/ep.swu.v10i2.2

38. Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022a). The Modern Economy and Values. *Cambridge Scholars Publishing*. P. 125.

39. Constitution of Georgia (1995). Georgia, Tbilisi (in Georgian).

40. Organic law of Georgia, Labor Code of Georgia (2010). Georgia, Tbilisi (in Georgian).

41. Georgian Law About higher education (2004). Georgia, Tbilisi (in Georgian).

42. Statute of Ivane Javakhishvili Tbilisi State University (2013). Tbilisi (in Georgian).

43. DECLARATION OF HUMAN RIGHTS

44. INTERNATIONAL COVENANT ON ECONOMIC, SOCIAL AND CULTURAL RIGHTS

45. THE EUROPEAN SOCIAL CHARTER.

THE NEW ECONOMIST / 36.540 36.060800.00



„აკადემიური კორპორაცია“ - ანაზღაურების, კონკურსების და შეფასების სისტემა

გიორგი გოროშიძე

ფსიქოლოგიის დოქტორი
მონვეული პროფესორი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ. ფოსტა: goroshidze@gmail.com
ტელ.: (+995) 597382317

ლაშა მგელაძე

ეკონომიკის დოქტორი
ასისტენტი-პროფესორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ელ. ფოსტა: lmgeladze@gmail.com
ტელ: (+995) 577229889

აბსტრაქტი

ნებისმიერი სისტემისთვის უდიდეს მნიშვნელობა აქვს როგორ ინსტიტუციურ საფუძველზეა აგებული იგი, რამდენად უწყობს ხელს სისტემაში არსებული „ოპერირებადი“ ინსტიტუტების ეფექტიან ფუნქციონირებას, მათ მოქნილობას (რამდენად ქმნის არსებულ საჭიროებებზე/წინამოჭრილ პრობლემებზე სწრაფად და ეფექტიანად რეაგირების შესაძლებლობას) მენეჯმენტისა და ნარმოებული საქონლისა თუ მომსახურების მაღალ ხარისხს.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ჩვენი კვლევის მიზანია - განათლების სისტემაში, ეკრძოდ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში, არსებული ანაზღაურების კონკურსებისა და შეფასების სისტემის ანალიზი, აღნიშნული მიმართულებით არსებული გამოწვევების/პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების შემოთავაზება. ვფიქრობთ რომ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ზემოხსენებულ სამი კომპონენტის - ანაზღაურების, შეფასებისა და კონკურსების გამართულად ფუნქციონირებას.


კვლევის ობიექტია - სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური სტრუქტურა, დაწესებულებებში არსებული/მოქმედი სტიმულები, მოტივაციის სისტემა, შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა.

გამოყენებულია - აკადემიური პერსონალის შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის პრაქტიკა-ია განხორციელების, ინსტიტუციური სტრუქტურის და შრომითი ურთიერთობების ფუნქციონირების ანალიზის, სინთეზის და კრიტიკული შეფასების მეთოდები.

ნაშრომი, მათ შორის, ეხება კორუფციის რისკებს განათლების სისტემაში. განხილულია და კრიტიკულად არის შეფასებული განთლების სისტემაში არსებული ანაზღაურების, კონკურსებისა და შეფასების მოდელი. იდენტიფიცირებულია არსებული პრობლემები და შემოთავაზებულია სიტუაციის გამოსწორების გზები.

ბოლოს, დასკვნის სახით შემოთავაზებულია პრობლემის გადაჭრის ათი რეკომენდაცია.

საკვანძო სიტყვები: განათლების სისტემა, აკადემიური კორუფცია, კორუფცია, აკადემიური პერსონალი, შრომის თავისუფლება, შრომითი ხელშეკრულება, სწავლების ეფექტიანობა, ანაზღაურების სისტემა, შეფასების სისტემა.



შესავალი

თანამედროვე პირობებში, როდესაც მსოფლიო ძალიან სწრაფად და დინამურად ვითარდება - იქმნება ახალი დარგები, ახალი პროფესიები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი განვითარების არნახულ მასშტაბებს აღწევს - უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება განათლების სისტემის ეფექტიანობას. კიდევ უფრო აქტუალური ხდება სწორ ორიენტირებზე დაფუძნებული, ახალ გამოწვევებზე ადეკვატურად

და დროულად რეაგირებადი, მაქსიმალურად მოქნილი განათლების სისტემის არსებობა. მოქმედი განათლების სისტემა ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს და სულ უფრო მწვევად დგება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი განათლების სისტემა გვესაჭიროება, როგორ უნდა მოხდეს არსებული სისტემის მოდერნიზება ან/და სრულმასშტაბიანი რეფორმირება, რომ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლების სისტემა შეიქმნას ქვეყანაში.

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



სანამ უმაღლესი განათლების სისტემის სრულ-მასშტაბიანი მოდერნიზება/რეფორმა განხორციელდება ზემოხსენებული გამოწვევის საპასუხოდ, დიდ მნიშვნელობას იქნის არსებული სისტემის დახვეწა და ისეთი კონკრეტული მიმართულებების განვითარება, როგორებიცაა: კადრების დაქირავების/სამსახურში აყვანის რეგულირების სისტემა, შრომის ანაზღაურების მექანიზმი, საკადრო პოლიტიკის ჰუმანიზაცია, განათლების მინორდების ფორმების გაუმჯობესება და სხვ. თუკი ამ მიმართულებების დახვეწა მაინც მოხდება, ეს იქნება ნინ გადადგმული ნაბიჯი, რომელიც უმაღლესი განათლების სისტემაში შექმნის ჯანსაღ სტიმულს, როგორც პროფესორ-მასწავლებლებისთვის, ისე სტუდენტებისთვის და მოხდება თანამედროვე გამოწვევებზე მეტ-ნაკლებად ადეკვატური რეაგირების შედეგად მთლიანი სისტემის დახვეწა.

სტატიაში შევეცდებით წარმოვაჩინოთ არსებული განათლების სისტემაში, კერძოდ სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (მომავალში უსდ), კადრების მართვის კუთხით არსებული ხარვეზები, გამოვეკვიტოთ არსებული ნეგატიური ტენდენციები და დაესახოთ მათი გა-მოსწორების გზები.

ძირითადი ტექსტი

ანაზღაურების სისტემა

როგორც ცნობილია, სახელმწიფო უნივერსიტეტების ბიუჯეტის ხელფასების გრავაში ყველაზე მეტი თანხებია მობილიზებული და ამიტომ იგი ყველაზე მეტად იპყრობს მავანთა ყურადღებას. იქიდან გამომდინარე, რომ სისტემა ცენტრალიზებულია - განერილია სახელფასო ბიუჯეტის მაქსიმუმი, მასზეა მორგებული საშტაბო განრიგი და საერთო სახელფასო ფონდის ცვლილება/გაზრდა რთულ პროცედურებთან არის დაკავშირებული. დიდი იმის ალბათობა, რომ გარკვეული მიზნების (სარგებლის მიღების) მისაღწევად თანამშრომელთა სამსახურიდან დათხოვნა შესაბამის პასუხისმგებელი პირებისათვის ერთგვარ დაინტერესების საგანსაც წარმოადგენდეს. საკითხს აქტუალობას მატებს ისიც, რომ ზემოხსენებული საგანმანათლებლო დაწესებულებები სახელმწიფო ორგანიზაციებია და, შესაბამისად, საქმის მალაზხარისხიანად კეთების სურვილი მხოლოდ მენეჯმენტის და თანამშრომლის კეთილსინდისიერებაზე დამოკიდებული. სხვა ტიპის საბაზრო სტიმულები ფაქტობრივად ნულს უტოლდება. სამაგიეროდ სტიმული - იმოქმედო „პირადი გამორჩენისთვის“ - საკმარისად მაღალია.

განათლების სისტემაში შექმნილი არასწორი სტიმულების გამო, მაინც რა ტიპის სარგებელი შეიძლება მიიღოს მენეჯმენტმა სამსახურიდან აკადემიური კადრის უკანონო განთავისუფლებით? ეს შეიძლება იყოს სამართლებრივად სრულყოფილ დაუშვებელი სულ მცირე ისეთი 4 სახის სარგებელი, რომლებსაც შეიძლება მოქცენით რეალური საფუძველი და რომელთა ამოქმედებით არსებულმა ვითარებამ შეიძლება შეიძინოს „აკადემიური კორუფციის“ ხასიათი. ესენია:


1. განთავისუფლებული შტატი შეიძლება გამოყენებული იყოს ახლობლის ან „გამოსადეგი“ ადამიანის სამსახურში მისაღებად (ე.წ. „პროტექციონიზმი“, და „ნეპოტიზმი“). ცხადია, მერკანტილიზმის გარეშე ეს, როგორც წესი, არ ხდება.

2. განთავისუფლებული შტატის შესაძლო ანულირების შემდეგ მისი სახელფასო ბიუჯეტი შეიძლება გამოყენებული იყოს გარკვეული პირების (მაგალითად დეკანატის წევრების) ხელფასების მოსამატებლად (ე.წ. „თანამდებობის ბოროტად გამოყენება“).

3. შტატის შესაძლო გაუქმების შედეგად გამოთავისუფლებული მთელი სახელფასო ბიუჯეტის თანხები შეიძლება უშუალოდ იყოს მითვისებული რომელიმე თანამდებობის პირის მიერ, რასაც რიგითი თანამშრომელი ვერანაირად ვერ მოახერხებს სათანადო იურიდიული მექანიზმების და უფლებამოსილების უქონლობის გამო (ე.წ. „თანამდებობის ბოროტად გამოყენება“ და „ფინანსური დანაშაული“).

4. გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტები სახელმწიფო დაფინანსების ნაწილს ღებულობენ ე.წ. „უფასო სპეციალობებისთვის“ (სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული სპეციალობებისთვის), მაღალია პოლიტიკური ნიშნით კორუფციის არსებობის ალბათობაც, როგორცაა პოლიტიკური ნიშნით კადრების გათავისუფლება („პოლიტიკური კორუფცია“), რომლითაც ერთის მხრივ, იმ ადამიანის „მოორქვება“ ხდება, რომელიც არ ემხრობა უნივერსიტეტის და მოქმედი ხელისუფალის პოლიტიკას, ხოლო მეორეს მხრივ იქმნება „ჭკუის სწავლების“ პრეცედენტი სხვა თანამშრომლებისთვის, რათა ისინი იყენენ პოლიტიკურად ლოიალურები როგორც ხელისუფლების, ისე უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიმართ. ამის მარტივად განხორციელების საშუალებას კი აკადემიურ სფეროში მოქმედი უმთავრესად მიკრო-პუბლი კონკურსების სისტემა იძლევა, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულების ბიუჯეტის სახელფასო ნაწილში იმდენად დიდი ხასხრების მობილიზება ხდება, რომ სამსახურიდან კადრების გათავისუფლების ღონისძიებების მიმართ დიდი მიზიდულობა ჩნდება და ამიტომ საკმაოდ ძლიერია იმის ცდუნება, რომ შესაბამისი პასუხისმგებელი პირი კანონის დარღვევაზეც კი მიდიოდეს იმისთვის, რომ თანამშრომელთა ხელფასების არამიზნობრივად გამოყენების გზით სახელფასო სისტემა გაიხადოს ადვილი და მომგებიანი ბიზნეს საქმიანობად. შესაბამისად, აუცილებელია შეიქმნას ისეთი ადეკვატური და ეფექტიანი მართვის სისტემა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს ზემოაღნიშნული კორუფციული გარემოებების განსახორციელებლად საჭირო სტიმულებს და შესაძლებლობებს.

კონკურსები

უმაღლესი განათლების სისტემაში დამკვიდრებულია ვადიანი ხელშეკრულებისა და კონკურსების ხელახლა გავლით სამსახურში აყვანის სისტემა. რომლის მიხედვითაც აკადემიური თანამდებობის დაკავება პროფესორს შეუძლია მხოლოდ გარკვეული ვადით, რომლის ამონურვის შემდეგ, იმისათვის რომ შესაძლებელი გახდეს მუშაობის გაგრძელება, პროფესორმა უნდა გაიაროს ახალი შეფასება-შერჩევის კონკურსი. ეს ეფუძნება იმ არასწორ წარმოდგენას, რომ შრომითი ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდეგ პროფესორი თანამდებობიდან განთავისუფლებულად უნდა ითვლებოდეს, რაც შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებს არ ითვალისწინებს. აღნიშნულმა პირმა თავის აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის გასაგრძელებლად, ისე როგორც უცხო პირმა, ახალ კონკურსში უნდა მიიღოს მონაწილეობა.

მიდგომა, რომლის მიხედვითაც შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლისთანავე პირი ითვლება სამსახურიდან გათავისუფლებულად, არ არის მართებული და არც რომელიმე კანონმდებლობის ნორმით არის დასაშვები. ასევე თუ პირს სამსახურში დარჩენა სურს, რისთვისაც მან თავიდან უნდა გაიაროს შეფასება/შერჩევის ახალი საკონკურსო პროცედურა, ემსახურება მუდმივად ამ პირის მიმართ „უნდობლობის“ გამოცხადებას, რაც იწვევს მისი შრომითი კმაყოფილების შემცირებას, ისპობა სტიმულები, იზრდება სწავლის პროცესის ხარისხის გაუარესების ალბათობა; ასევე იზრდება პროფესორზე ზეწოლა, იზღუდება მისი აკადემიური თავისუფლება, უარესდება სალექციო მუშაობის

ხარისხი, კლებულობს სალექციო თემატიკის უმაღლა-გალრმავებისა და აზრის შემოქმედებითად განვითარების ინტერესი. აღნიშნული შემზღუდავი ზეწოლა მთლიანად აქვეითებს აკადემიური კადრის მუშაობის ტონუსს და ძალაუფლებლად იწვევს მისი შრომის ეფექტიანობის შემცირებას.

ამრიგად, აკადემიური კადრების შრომითი ურთიერთობების რეგულირების სისტემაში ცველავური კარგად გამართული არ არის, ითხოვს კანონების უფრო ღრმა გააზრებას, კომპლექსურად და არანინალმდებლობრივად მათ ადეკვატურ გამოყენებას და არსებული არასახარბიელო ვითარების გამოსწორების გზების დასახვას. კერძოდ:

1. თუკი „პროფესორი“ მთელი სახელმეკრულეობო ვადის განმავლობაში პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობებს, იცავს შინაგანაწესს, ატარებს კვალიფიციურ და შინაარსობრივად გამართულ ლექციებს, თანამშრომლებს და სტუდენტებს შორის სარგებლობს პატივისცემით და არ გამოთქვამენ მის მიერ ჩატარებული ლექციის შესახებ პრეტენზიებს (სრულად თავსებადია სილაბუსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან), მაშინ რატომ ხდება სამსახურიდან კარგად მომუშავე პროფესორის განთავისუფლება და რატომ ინიშნება ახალი კონკურსი? რატომ არ უგრძელდება შრომითი ხელშეკრულება უკვე დასაქმებულ და უნაკლო ლექტორს? თუკი პროფესორს მუშაობაში ნაკლი არ აღენიშნება, მაშინ მისთვის ახალი კონკურსების დანიშნება სამსახურის გაგრძელების მიზნით არავითარი აზრი არ აქვს! მაგრამ ვინაიდან მაინც ინიშნება, სწორედ ამაშია მიეღი გაუგებრობა და ბუნდოვანება. ამიტომ აუცილებელია, რომ შრომითი ურთიერთობა რეგულირდებოდეს შრომის კოდექსით, როგორც არის აღნიშნული „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში“. ეს საშუალებას გვაძლევს, რომ შრომითი ურთიერთობის საკითხის გარკვევისას დავეყრდნობო შრომის კოდექსის **მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის ნორმას**, რომელიც განაშუქავს შემდეგ რეგულაცია: **„კონკურსები უნდა ტარდებოდეს 30 თვემდე უწყვეტი გამოცდილების მქონე კადრებისთვის, ხოლო 30 თვეზე უფრო მეტი უწყვეტი გამოცდილების მქონე კადრებისთვის უნდა ხდებოდეს სამსახურის გაგრძელება უფადოდ“**. მხოლოდ ასეთია კორექტული და არანინალმდებლობრივი ინტერპრეტაცია.

2. საკითხის ბუნდოვანებას მატებს შემდეგი გარემოებაც - გაუგებარია რა მოწმდება კონკურსით? პროფესორი თუ შეესაბამება თანამდებობისთვის განკუთვნილ მოთხოვნებს და ამას შესარჩევი (სა-



კონკურსო) კომისია ერთხელ უკვე დაადგენს, ოთხ ან ექვს წელიწადში უნარ-ჩვევები დაეკარგება თუ საგნის შინაარსი დააყენდება?

2.1. გაუგებარია, რაგორ შეიძლება 4-6 წლის წინ ადამიანი აკმაყოფილებდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და ოთხი წლის შემდეგ ვეღარ დააკმაყოფილოს იგივე საგანთან/საკითხთან მიმართებაში განსაზღვრული მოთხოვნები მაშინ, როდესაც 4-6 წელი პრაქტიკულ აკადემიურ საქმიანობას ეწევა, ლექციებს კითხულობს შესაბამის სფეროში და უფრო უმაღლდება კვალიფიკაცია.

წლებთან ერთად პროფესორი აგროვებს გამოცდილებას, ეცნობა სიახლეებს, კითხულობს საგანთან დაკავშირებული ამა თუ იმ მასალას, ლიტერატურას და იღრმავებს ცოდნას იმ საგანში, რომელიც კითხულობს ლექციას. შესაბამისად, უფრო და უფრო შინაარსობრივ და საინტერესო ხასიათს იძენს ლექცია. ეხმარება მაგისტრანტებს და დოქტორანტებს ნაშრომების დანერგასა და პროფესიული უნარების გაუმჯობესებაში; კრიტიკული და თავისუფალი აზროვნების განვითარებაში; ამა თუ იმ საკითხის/პრობლემის, მოვლენის მრავალმხრივად დანახვასა და გააზრებაში; შინაარსიანი, ღირებული დასკვნების ჩამოყალიბებაში და პრაქტიკისთვის ადეკვატური და მიზანშეწონილი რეკომენდაციების შესამუშავებლად საჭირო უნარების გამომუშავებაში და ა.შ.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით აგრეთვე შეიძლება ითქვას, რომ პირი რომელიც აკმაყოფილებს ამა თუ იმ თანამდებობისთვის ნაყენებულ მოთხოვნებს, აღჭურვილია შესაბამისი უნარებით, ხოლო სამსახურში აყვანის შემდეგ კარგავს შესაბამის უნარ-ჩვევებს ან უარესდება მისი მუშაობის ხარისხი, ეს ნიშნავს იმას, რომ შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების/უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკა და სწავლების პროცესის ინსტიტუციური მოდელი არ არის ეფექტიანი. სხვა შემთხვევაში გაუგებარია, თუკი აკადემიური კადრი ზემოთ განხილული საქმიანობით არის დაკავებული, როგორ შეიძლება დაკარგოს ან გაუუარესდეს უნარ-ჩვევები ან „დაუქეითდეს“ კვალიფიკაციის დონე.

3. მოქმედი მოდელის არაეფექტიანობიდან გამომდინარე იზრდება იმის ალბათობა, რომ გეგმიური პერიოდულობით ჩატარებული შერჩევა-შეფასების საკონკურსო პროცედურა ტარდებოდა ფორმალურად (დებულობდეს ფორმალურ ხასიათს), მხოლოდ იმიტომ, რომ ამას ითხოვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ნებსდები,

რომელსაც არ აქვს არც „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონზე“ და არც შრომის კოდექსზე (ორგანიზალ კანონზე) უპირატესობის მოპოვების არანაირი უფლება და უსაძლებლობა.

პროფესორი უნივერსიტეტში მუშაობისას სრულად ავლენს თავის თავს და შეიძლება ითქვას ხდება „გამჭვირვალე“ - ძნელია ვერ შეაფასო/დარინახო ადამიანის კვალიფიკაცია და მუშაობის ხარისხი, როცა ის სულ მცირე 4-6 წელი შენს გვერდით მუშაობს. შესაბამისად, უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციასა და დასაქმებულის გარემოცვას უკვე ზუსტი წარმოდგენა აქვს ამა თუ იმ პროფესორის მუშაობის ხარისხზე. სწორად მომუშავე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ეცდება კვალიფიციური პროფესორის შენარჩუნებას, მისთვის უფრო მეტად კომფორტული გარემოს შექმნას, რომ სხვა სასწავლებელში სამუშაოდ გადასვლის სურვილი არ გაუჩნდეს. შეფასება-შერჩევის საკონკურსო პროცედურა დებულობს უფრო ფორმალურ ხასიათს - ტარდება იმიტომ, რომ კანონი ითხოვს ამას და არა იმიტომ, რომ რეალურად ჩატარების საჭიროება არსებობს. საინტერესოა რა უნარები უნდა შეუფასდეს ადამიანს მაშინ, როდესაც მასთან მუშაობის შედეგად სრული წარმოდგენა შექმნილი მის კვალიფიკაციასა და უნარებზე.

4. აღნიშნული მიდგომა ზრდის მოტივაციის შემცირების და გაქრობის ალბათობას იმის ნაცვლად რომ წარმატებული მუშაობის შედეგად პროფესორი ნახალისდეს, ავტომატურად გაუგრძელდეს შრომითი ხელშეკრულება ახალი ვადით, დანიშნუდეს სამსახურში, გაეზარდოს ხელფასი; ამ დროს სტიმულისა და ხარისხის ამაღლების მიზნით იქმნება პარადოქსული „სადამსჯელო“ მექანიზმები - შეფასება-შერჩევის ხელახალი საკონკურსო პროცედურის გავლა და სამსახურიდან განათავისუფლება.

5. უმაღლესი განათლების სისტემა, შეიძლება ითქვას, ერთადერთი სფეროა, სადაც მსგავსი გაუმართავი მოდელი ფუნქციონირებს. ძალიან გაჭირდება სადმე კადრებთან შრომითი ურთიერთობის ისეთი ოფიციალური და დაკანონებული მოდელის მოძებნა, რომლის საფუძველზეც ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, დამსაქმებელს მომუშავე ესაჭიროებოდა, მაგრამ მაინც ათავისუფლებდეს სამსახურიდან და მისგან შეფასება/შერჩევის კონკურსის გავლას ითხოვდეს.

6. უმაღლესი განათლების სისტემაში აკადემიური კადრების დასაქმების არსებული მოდელი ითვალისწინებს ყოველწლიურად და პერიოდულად

პროფესორ-მასწავლებლების მიერ ისეთი მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას, როგორცაა: მაგ. სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება, დოქტორანტის ან მაგისტრანტის ხელმძღვანელობა, სასწავლო კურსის თემატიკის დახვეწა, აქტუალური საკითხებზე კლავის ჩატარება და ა.შ. ანუ პროფესორის კვალიფიკაცია კონკურსის გარეშე მონმდება მის მიერ ვანული საქმიანობის საფუძველზე. ეს კიდევ უფრო ამაყარებს ჩვენ პოზიციას საკონკურსო პროცედურის მიზანშეწონილობის, არაეფექტიანობისა და ფორმალურობის შესახებ.

6.1. კანონმდებლობიდან გამომდინარე, მავალითა და იგანვე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული აკადემიური პერსონალს, რომელსაც შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობა დაუდგინდა განსაზღვრული ვადით, უკვე 1 წელი ან მეტი ხანა რაც მუშაობენ, ასრულებენ მინიმალური კვლევითი სტანდარტებით განსაზღვრულ სამუშაოებს და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ კიდევ სხვა ვალდებულებებს, უნდა გაუფორმდეთ უვადო შრომითი ხელშეკრულება. მათი მალე საფეხურზე გადაყვანა უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ შრომითი სტაჟისა და კომპეტენციის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესის მიხედვით. მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა საფეხურის აკადემიურ პერსონალს, შრომის ანაზღაურების დონეებს შორის სხვაობა განესაზღვროთ მკაფიოდ და გონიერულობის ფარგლებში, შეერთებული სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე და აგრეთვე დამკვიდრებული მონივნად საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

7. განსაზღვრული ვადით ახალი შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების და პერიოდულად ხელახალი კონკურსების ჩატარების დისკრეციული უფლება, რომელიც ეძლევა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტებს და აკადემიურ საბჭოებს მათივე წესდების (და არა კანონის) საფუძველზე იმ მიზნით, რომ პერიოდულად აკონტროლონ აკადემიური პერსონალი - არ არის არაეფექტიანი. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალზე ზეწოლის, მისი თავისუფლების შეზღუდვის, მანიაქული ფიქსის, ფაქორიტების, ნეპოტიზმის და კორუფციის საფრთხეების წარმოშობას. იზრდება იმის ალბათობა, რომ უნივერსიტეტების აკადემიურმა საბჭოებმა და ფაკულტეტების საბჭოებმა ყოველგვარი ობიექტური კრიტერიუმების შემუშავების, დანესების გარეშე

მიიღონ ამა თუ იმ პირის საქმიანობის ვაგრიტელების გადაწყვეტილება; შეიმუშაონ კრიტერიუმები არაობიექტურად და ეს კრიტერიუმები მოარგონ ამა თუ იმ პირს პერსონალურად; უკანონოდ და უსამართლოდ იმოქმედონ ორმაგი სტანდარტებით.

8. სრულიად გაუგებარია კონკურსების ხშირი ჩატარების მიდგომის შინაარსი, დასაზღვრულია შინაარსობრივი თვალსაზრისით რა პრობლემის გადაჭრას ემსახურება პერიოდული შერჩევა-შეფასების ვალდებულება - რა პრობლემას მოაგვარებს ის ან რა პრობლემის წარმოქმნისგან დააზღვევს უმაღლესი განათლების სისტემას და ა.შ. [30].

გამოცდილი კადრებისთვის სამსახურის გასაგრძელებლად მხოლოდ კონკურსების თავსმოხვევა ქმნის მათი უპატეცემულობის, ვალდებულ დევნის და უფასებლობის, მათი ძვირადღირებული გამოცდილების იგნორირების საფრთხეს, რაც უარყოფითად აისახება როგორც მათ სულიერ მდგომარეობაზე, ისე სწავლის მიმართ სტუდენტების დამოკიდებულებაზეც სწავლის ეფექტიანობის შემცირებით. სტუდენტები სწავლით უფრო მონადინებულები იქნებიან იმ შემთხვევაში, თუკი მათი პროფესორები უფრო მეტად არიან დაფასებულები უნივერსიტეტში ვიდრე ადმინისტრაციის მუშაკები, რომლებიც სტაბილურად იმყოფებიან თავთავიანთ პოზიციებზე და კონკურსები მონაწილე, მონაცვლე აკადემიურ კადრებზე უფრო საჭიროდ და მნიშვნელოვნად მიიჩნევენ თავიანთ თავს; აკადემიურ კადრებზე უფრო „აღმატებულებად“ გრძობენ თავს. ეს კი, თავის მხრივ უარყოფითად აისახება როგორც სასწავლო პროცესზე, ისე საბოლოო ჯამში უნივერსიტეტის ეფექტიანობაზეც. ამისთან ერთად, აღნიშნული მიდგომა, ჩვენი აზრით, დისკრიმინაციულ ხასიათსაც ატარებს.

უნივერსიტეტებში მთავარ სუბიექტებს პროფესორები და სტუდენტები წარმოადგენენ და ყველაზე მეტად დაფასებულებიც სწორედ ისინი უნდა იყვნენ. სისტემა მათთვის მიმზიდველი გარემოს შესაქმნელად უნდა იყოს მომართული. ზემოაღნიშნული მიდგომა კი უნივერსიტეტებში საპირისპირო სტიმულებს აჩენს, რაც ანომალური მოვლენა და ითხოვს აუცილებელ გამოსწორებას. ვითარების გამოსწორება აკადემიური კადრების მიმართ დამოკიდებულების გაუმჯობესების და მეტი ხელშეწყობის სახით უნივერსიტეტში დაამყარებს წესრიგს, შეამცირებს „აკადემიურ კორუფციას“, შეამცირებს ასევე კანონდარღვევებს და მიმართვიანობას სასამართლოში, რაც მოემსახურება საზოგადოებაში უნივერსიტეტების პრესტიჟის ამაღლებასაც და



მათი ორგანიზაციული მაჩვენებლების გაუმჯობესებასაც.

შეფასების სისტემა

ჩვენი აზრით აკადემიური კადრების შეფასების სისტემა მნიშვნელოვნად დასახვეწია. შეიძლება ითქვას, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაწესებია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან მისადაგებელი კადრების შეფასების ახალი სისტემა. შეფასება კონკრეტული თანამშრომლის მუშაობაში ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში მის თანამდებობიდან დათხოვნას კი არ უნდა ემსახურებოდეს, არამედ მიზნად უნდა ისახავდეს დასაქმებული პერსონალის მუშაობაში სუსტის მხარეების იდენტიფიცირებას და მათი გამოსწორების უზრუნველყოფას. შეფასება პერსონალის კვალიფიკაციის ზრდაზე და მათი პროფესიული უნარების ამაღლებაზე უნდა იყოს ორიენტირებული და არა პერსონალის სამსახურიდან დათხოვნაზე.

მაინც როგორი შეიძლება იყოს კადრების შეფასების სისტემა? ჩვენი აზრით, კადრების შეფასების სისტემა შემდეგ პრინციპებზე უნდა იყოს დაფუძნებული:

- კადრების შეფასება უსდ-სთვის უნდა იყოს ნებაყოფლობითი. შეფასების ჩატარება კანონმდებლობით არ უნდა მოითხოვებოდეს.
- შეფასება უნდა სწარმოებდეს პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაწყვეტის გზების დასახვისთვის;
- არსებობს შეფასების ძირითადად ორი აპრობირებული მოდელი:

o ეგრეთ წოდებული „360 გრადუსის“ მოდელი (სადაც ყველა ყველას აფასებს. მათ შორის უმაღლესი რანგის მენეჯერებს; შეფასება ანონიმურია და არ ხდება შემფასებლის იდენტიფიცირება)

და
o შეფასება შესასრულებელი სამუშაოს „მიზნების მიხედვით“ [19].

ჩვენი აზრით შეფასების „360 გრადუსის“ მოდელი უფრო ეფექტიანი იქნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის. ეს მოდელი (სასწავლებლების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე) მოგვცემს პრობლემების უკეთ იდენტიფიცირების საშუალებას, რითიც, თავის მხრივ, ხარვეზების აღმოფხვრას დაეხმება საფუძვლად.

გამართული შეფასების სისტემის დაწესებულებაში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებას, რაც, თავის მხრივ, კო-

ურფციული გარიგებების ალბათობის შემცირებისა და სისტემის ეფექტიანობის ამაღლების საწინდარი გახდება.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში“ წერია მხოლოდ **აკადემიური თანამდებობის დაკავების** შესახებ, ხოლო არაფერია ნათქვამი **დაკავებულად ადემიურ თანამდებობაზე მუშაობის გაგრძელების** შესახებ, რაც ცხადია იგივე არ არის. შესაძლებელია იქმნება ინტერპრეტაციების ფართო დიაპაზონი, რაც ზრდის პროცესის არასწორად წარმართვის ალბათობას. შეფასების თანამედროვე სისტემის აქტიური დანერგვით კი აღნიშნული პრობლემა საბოლოოდ აღმოფხვრება.

სპეციალურ განხილვას იმსახურებს აგრეთვე ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორცაა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების „ავტონომია“, რომელიც განაზღვრებულია ქვეყნის კანონმდებლობის ყველა დონეზე დაწესებული კონსტიტუციიდან. ავტონომია უნდა იძლეოდეს აკადემიური თავისუფლების და სხვა კანონიერი აქტივობების ავტონომიურად განხორციელების შესაძლებლობას, მაგრამ ძალიან ხშირად ადგილი აქვს არამიზნობრივად მის გამოყენებას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წესდებათა ნორმების ზემოაღმდეგობის (ყველა ზემდებელი კანონზე უფრო მაღლა დაყენებას), აქედან გამომდინარე გარდაცდომებს და ზოგადად საქართველოს კანონმდებლობის მთელი სისტემის უმთავრეს მოთხოვნათა გაუთვალისწინებლობას. უსდ-ს ავტონომია არ უნდა ახდენდეს ზემოაღნიშნული პრიმიტიული და სუბიექტური ნორმების მხარდაჭერას და ანგარიშს უნდა უწევდეს კონსტიტუციის, ორგანული კანონის (შრომის კოდექსის) და უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს და ნორმებს. სწორედ ავტონომიის არასწორად გააზრების შედეგად ხდება კანონმდებლობის, სამართლიანობის და ეთიკის ნორმების დარღვევა.

ავტონომიის არამიზნობრივი, უკანონო და არაკეთილსინდისიერი გამოყენებიდან გამომდინარეობს აგრეთვე ზემოთ განხილული **აკადემიური კორუფცია**. იგის ხედავთ მანკიერებებთან ერთად დღას აგრეთვე კადრების ასაკობრივ შეზღუდვაზეც, რომელიც დღეისთვის უკვე გაუქმებულია (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1681; 22.02.2023 წ.). ეს უდაოდ წინ გადადგმული ნაბიჯია და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს უმაღლეს საგანმანათლებლო და-

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



წესებულებებში აკადემიური კადრების მოტივაციის ამაღლებას. ამ დანებებულებებში შეიქმნება ძვირადღირებული ინტელექტუალური პოტენციალის შენარჩუნებისთვის ხელშემწყობი გარემო, რომელიც, თავის მხრივ, მოემსახურება უმაღლეს საგანმანათლებლო დანებებულებების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და მათი შემოსავლების ზრდას.

შრომის კოდექსის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით: „ეს კანონი ანებსრებებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულია არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით“, სპეციალურ კანონს ეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ მისით განისაზღვროს დასაქმებულის სახელმწიკრულებო ვადები. ამ ნორმას, როგორც წესი, იყენებენ კონტრაქტისგან მოწყვეტილი და დიდი ვადატარებით დასაქმებულის საზიანოდ. იმავე მუხლის მე-3 პუნქტში კი წერია, რომ: „შრომითი ხელშეკრულებით არ შეიძლება განისაზღვროს ამ კანონით გათვალისწინებული ვაგან განსხვავებული ნორმები, რომლებიც აუარესებს დასაქმებულის მდგომარეობას“. ეს ნორმა მხედველობაში თითქმის არსოდეს მიიღება, მიუხედავად იმისა, რომ იგი დასაქმებულს იცავს დამსაქმებლის არაკანონიერი „ძალმომრეობისგან“, რაც დაუშვებელია. ამ ნორმის სრული იგნორირება უფრო დასაქმებულთა უფლებების დარღვევის ინდიკატორია, ვიდრე ანგარიშგასანევი სამართლებრივი ნორმა და ამიტომ სხენებული მე-3 პუნქტის გამოყენების მვეთრი გააქტიურება სრულიად აუცილებელია.

„უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ 35-ე მუხლში ფიგურირებს დასაქმებულის სამსახურებრივი ვადის დადგენის ნორმა უსდ-ს წესდების საფუძველზე, რომელსაც უმაღლესი საგანმანათლებლო დანებებულებები მომუშავეთა მდგომარეობის არაკანონიერი გაურესებისთვის იყენებენ. საბოლოოდ იქმნება ადამიანთა უფლებების დარღვევის ერთიანი სისტემა, რომელიც ყველანაირად ცდილობს ამ არაკანონიერი სიტუაციის შენარჩუნებას. ცხადია, ეს გარკვეული მოტივაციის ფიგურირების გარეშე არც იარსებებდა. ეს კი მხოლოდ ნეგატიური შედეგების გამოწვევია, ვინაიდან, როგორც წესი, დაუსაბუთებელი შეზღუდვების მომრავლება ხელს უწყობს კორუფციულ პროცესების აღმოცენებას. რაც უფრო მეტია შეზღუდვები, მით უფრო მეტად ვითარდება კორუფცია, რაც აქსიომატურ დებულებად უნდა

მივიჩნიოთ შემდეგ მოსაზრებათა საფუძველზე. რაც უფრო მეტია არარეგულირებული, გაუმართლებელი შეზღუდვა, მით უფრო მეტია მისთვის გვერდის ავლის მოტივაცია. ეს ეხება როგორც დამსაქმებულს, ისე დასაქმებულს. გვერდის ავლა კი დადგენილი წესიდან გადახვევაა. იგი ისეთი დარღვევაა, რომელიც სხვადასხვა დონის და ხასიათის კორუფციის წარმოშობის წყაროს წარმოადგენს დამსაქმებულებშიც და დასაქმებულებშიც თავთავიანთი კომპეტენციების ფარგლებში. დამსაქმებლის კორუფციული ქმედებები ძლიერ იმპულსს აღძრავს დასაქმებულებში კორუფციული პროცესების განვითარებისთვის, ვინაიდან ადამიანი დაბადებით ეჩვევა უფროსებისგან მაგალითების გადმოღებას, მათ მიბაძვას (ეს მიბაძვა ევოლუციურად გამოიშუავებული ძლიერი მექანიზმია) და საკუთარ სამიქმედო გარემოში თავდაცვ აკეთებს იგივეს. ეს მიბაძვა რეალობაში დამკვიდრებისთვის ყველაზე უფრო ეკონომიური მექანიზმია და ძალიან დიდი გამოყენებითაც სარგებლობს ადამიანებში მთელი მათი ცხოვრების მანძილზე. ამიტომ კანონმდებლობაში მაქსიმალურად თავის არიდება უნდა ხდებოდეს არარეგულირებული და გაუმართლებელი შემზღუდავი ნორმების დადგენისთვის, რაც ბუნებრივად ვრცელდება უსდ-ს წესდებით დადგენილ დასაქმების სახელმწიკრულებო ვადებზეც. ამდენად, აღნიშნული ვადების დაწესებისთვის უარის თქმა კორუფციული პროცესების განვითარების ძლიერი შემზღუდავი ფაქტორი გახდება.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონთან“ შედარებით უსდ-ს წესდებები დასაქმების ვადებთან მიმართებით უფრო ძლიერი შეზღუდვებით გამოირჩევიან და მუშაობის გაუმჯობესების ნაცვლად ვლებულობთ ისეთ სტრესულ სიტუაციას, რომელიც საგრძნობლად ამცირებს დასაქმებულთა მუშაობის ეფექტიანობას. ყოველთვის, როდესაც ვინილავთ ხელეწიურს და არარეგულირებულ შემზღუდვებს, ყოველთვის წინა პლანზე გამოდის მათი მადეზორგანიზებული და ეფექტიანობის დამაქციებელი მოქმედება, რაც საბოლოოდ უსდ-ს მკვეთრად უზრდის დანახარჯებს, რაც ყველასთვის მიუღებელია. აქედან გამომდინარე, უსდ-ს წესდებ უნდა კორექტირდებოდეს ამჟამდემოქმედი შეზღუდვების შემცირების გზით ისე, რომ მაქსიმალურად დაცული იყოს დასაქმებულის ინტერესები (როგორც არის მოცემული „შრომის კოდექსში“), შეზღუდვას კორუფციის განვითარების შესაძლებლობები და მოხდეს მონინავე საერთაშორისო პრაქტიკასტან



მაქსიმალური დაახლოება. ნათქვამი არ ეხება ფუნქციურ შეზღუდვებს, არამედ ეხება მხოლოდ დასაქმებულის სახელმეკრულებო ვადების შეზღუდვებს, რომლებიც ყველაზე უფრო დრამატულია სხვა შეზღუდვებთან შედარებით.

ჩვენი განხილვა უფრო მეტ დამარწმუნებლობას შეიძენს, თუკი არსებითი მსჯელობები გამყარებული იქნება გამოყენებული კანონებიდან ამონარიდებითაც. ასე მაგალითად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების და მისთვის შრომითი ხელშეკრულების გაფორმების ნესი, რეგულირდება კანონმდებლობით. კერძოდ: **უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის** (აკადემიური თანამდებობის დაკავების ნესი) **1-ლი პუნქტის** თანახმად, „აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის ნესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის თანახმობისა და სამართლიანი კონკურსის პრინციპებს, ხოლო მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობის დაკავება ხდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დადგენილი ნესით.“

ამავე კანონის **36-ე მუხლის** (აკადემიური პერსონალის შრომითი ურთიერთობები) **1-ლი პუნქტის** საფუძველზე: „აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება საქართველოს შრომის კანონმდებლობით განსაზღვრულ ნესით.“

საქართველოს ორგანულ კანონში (შრომის კოდექსში) კი შრომითი ხელშეკრულების დადების ნესი განიმარტება შემდეგნაირად:

„**მუხლი 12. შრომითი ხელშეკრულების დადება**
1. შრომითი ხელშეკრულება იდება ზეპირი ან წერილობითი ფორმით, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით.

2. თუ შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა 1 თვეს აღემატება, აუცილებელია შრომითი ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადება.

3. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შრომითი ხელშეკრულების ვადა არის 1 წელი ან 1 წელზე მეტი, შრომითი ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით იდება მხოლოდ შემდეგ საფუძვლის არსებობისას:

- ა) შესასრულებელია კონკრეტული მოცულობის სამუშაო;
- ბ) შესასრულებელია სეზონური სამუშაო;
- გ) სამუშაოს მოცულობა დროებით იზრდება;
- დ) ხდება შრომითი ურთიერთობის შექრების

საფუძვლითი სამუშაოზე დროებითი არმყოფი და საქმეების ჩანაცვლება;

ე) შრომითი ხელშეკრულება ითვალისწინებს „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შრომის ანაზღაურების სუბსიდირებას;

ვ) არსებობს სხვა ობიექტური ვარემობა, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების განსაზღვრული ვადით დადებას.


4. თუ შრომითი ხელშეკრულების ვადა 30 თვეზე მეტია, ან თუ შრომითი ურთიერთობა ვადიანი შრომითი ხელშეკრულების მიმდევრობით ორჯერ ან მეტჯერ დადების შედეგად გრძელდება და მისი ხანგრძლივობა 30 თვეს აღემატება, მიიჩნევა, რომ დადებული უფადო შრომითი ხელშეკრულება, ვადიანი შრომითი ხელშეკრულები მიმდევრობით დადებულად ჩაითვლება, თუ არსებული ვადიანი შრომითი ხელშეკრულება მისი ვადის გასვლისთანავე გაგრძელდა ან მომდევნო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება პირველი ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 60 დღის ვადაში დაიდო.

5. თუ განსაზღვრული ვადით შრომითი ხელშეკრულება დადებულია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის გარეშე, მიიჩნევა, რომ დადებული უფადო შრომითი ხელშეკრულება.

6. ვადიანი შრომითი ხელშეკრულების დადებაზე ამ მუხლის დანახვები შეზღუდვები არ ვრცელდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მენარმეზე, თუ მისი სახელწიფო რეგისტრაციიდან 48 თვე არ გასულა (დამწყობი სანარმო) და იგი აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ დამატებით პირობებს (ასეთი პირობების დადგენის შემთხვევაში), იმ პირობით, რომ ამ პუნქტის მიზნებისთვის ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 3 თვეზე ნაკლები.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება იმ მენარმეს სუბიექტზე, რომელიც შექმნილია როგორ განიზაცის შედეგად, სხვა მენარმეს სუბიექტის აქტივების საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემის ან თვალთმაქცური გარიგების საფუძველზე.

8. გარდა შრომითი ხელშეკრულების ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ - „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით დადების შემთხვევისა, თუ შრომითი ურთიერთობა დანახვებულია ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ 48-თვიან



პერიოდში, ამ ვადის ამონაწერის შემდეგ მიიჩნევა, რომ დადებული უვადო შრომითი ხელშეკრულება.

9. დამსაქმებელი ვალდებულია განსაზღვრული ვადით დასაქმებულ პირს აცნობოს არსებული ვაკანსიების შესახებ, რათა მას ჰქონდეს, სხვა დასაქმებულის მსგავსად, უვადო შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში არსებული პოზიციების დაკავების თანაბარი შესაძლებლობა."

მაშასადამე, როდესაც აკადემიური პერსონალი კონკურსში მონაწილეობს მიიღებს, რომლის დროსაც მონმდებმა კონკურსანტის უნარები რამდენად ეფექტიანად შეუძლია დაკისრებული მოვალეობების შესაბამისად წარმართოს სწავლების პროცესი, **ორგანული კანონის (შრომის კოდექსის) მე-12 მუხლის** მიხედვით, რომელსაც ეყრდნობა "უმალესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი", კონკურსში გამარჯვებულ აკადემიურ პერსონალს უნდა გაუფორმდეს ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით, თუკი მათი წარმატებული მუშაობის ხანგრძლივობა აღემატება 30 თვეს. არ არსებობს სხვა რაიმე ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს ასეთ შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულების განსაზღვრული ვადით დადებას.

„აკონსტიტუციონალიზაციის და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი შრომით ურთიერთობას განმარტავს შემდეგნაირად:

„მუხლი 7

წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობები, რაც, კერძოდ, გულისხმობს:

- a) ანაზღაურებას, რომელიც ყველა მშრომელს უზრუნველყოფს სულ მცირე:
 - i) სამართლიანი ხელფასითა და ტოლფასოვანი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურებით რაიმე ნიშნით განსხვავების გარეშე, კერძოდ, ქალებისათვის ქმნის შრომის ისეთი პირობების გარანტიას, რომელიც მამაკაცის შრომის პირობებზე უარესი არ იქნება, და თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების შესაძლებლობას;
 - ii) მასა და მის ოჯახს ღირსეული არსებობის შესაძლებლობებით, წინამდებარე პაქტის დებულებათა შესაბამისად.
 - b) უსაფრთხო და ჯანსაღი შრომის პირობებს;
 - c) თითოეულისათვის უფრო მაღალი სამსახურდარი საფეხურზე დანიშნულების თანაბარ შესაძლებლობას, მხოლოდ და მხოლოდ შრომითი სტაჟისა და კომპეტენციის შესაბამისად;
 - d) დასვენების, თავისუფალი დროის ქონის და

სამუშაო საათების გონივრული შეზღუდვისაზე, რეტივე პერიოდული ანაზღაურებადი შევსებების შესაძლებლობას ისევე, როგორც ანაზღაურებას საზოგადოებრივი უმჯობესი დღეებისათვის.

საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ნორმებიდან და საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ აკადემიურ პერსონალთან, რომელთა შრომითი ხელშეკრულების ვადა 30 თვეზე მეტია, ან თუ შრომითი ურთიერთობა ვადიანი შრომითი ხელშეკრულების მიმდევრობით ორჯერ ან მეტჯერ დადების შედეგად გრძელდება და მისი ხანგრძლივობა 30 თვეს აღემატება, მიიჩნევა, რომ დადებული უვადო შრომითი ხელშეკრულება. (ამასთან, ორგანული კანონი შრომის კოდექსის მუხლი 12–ს თანახმად, ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები მიმდევრობით დადებულად ჩაითვლება, თუ არსებული ვადიანი შრომითი ხელშეკრულება მისი ვადის გასვლისთანავე გაგრძელდა ან მომდევნო ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 60 დღის ვადაში დაიდო.) ე. ი. ასეთ აკადემიურ პერსონალს, კანონით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, უნდა გაუფორმდეთ უვადო ხელშეკრულება. მათი მაღალ საფეხურზე გადაყვანა უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ შრომითი სტაჟისა და კომპეტენციის შესაბამისად, უმაღლესი საკანონმდებლო დანსებულების ნესდებით დადგენილი წესით".

"უმალესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის" **35-ე მუხლში** უსდ-ს ნესდებისთვის დაშვებულია აკადემიური პერსონალის კონკრეტული სახელშეკრულებო ვადების დაწესების შესაძლებლობა, რომელსაც ადგილებზე გადაჭარბებული მონდომებით იყენებენ. მაგალითად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ნესდების 29-ე მუხლის („აკადემიური პერსონალის არჩევის პროცედურა“)** თანახმად, სრული, ასოცირებული, ასისტენტ-პროფესორთა და ასისტენტთა სახელშეკრულებო ვადები განისაზღვრება შესაბამისად **10, 7, 4, და 4 წლებით**. სრულიად გაუგებარია რას ეყრდნობა ასეთი დიფერენცირებული მიდგომა, რომელიც აშკარა დისკრიმინაციის ელემენტებს შეიცავდა.

ამით უნივერსიტეტების აკადემიურ საბჭოებს და ფაკულტეტების საბჭოებს ეძლევათ იმის საშუალება, რომ პერიოდულად მკაცრად აკონტროლონ აკადემიური პერსონალი, რაც ხელს უწყობს ამ

მომუშავეებზე ზეწოლის მოხდენის, მათი აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის, მანიპულირების, ფავორიტიზმის, ნეპოტიზმის, კორუფციის, დისკრიმინაციის საფრთხეების წარმოშობას. იზრდება იმის ალბათობა, რომ უნივერსიტეტების ფაკულტეტების საბჭოებმა ყოველგვარი ობიექტური კრიტერიუმების შემუშავების და გამოყენების გარეშე მიიღონ ამა თუ იმ პირის სასახურებრივი საქმიანობის გაგრძელების ან შეწყვეტის გადაწყვეტილება; შეფასების კრიტერიუმები შეიმუშაონ არაობიექტურად და მთარაონ უშუალოდ ამა თუ იმ პირს; იხელმძღვანელონ ორმაგი სტანდარტებით, შერჩევა აწარმოონ უკანონოდ და უსამართლოდ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადეკვატურად და მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მოცემულ შემთხვევაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებისა და ორგანული კანონის (შრომის კოდექსის) საფუძველზე აკადემიურ პერსონალს კანონი განსაზღვრული წარმატებული მუშაობის 30 თვიანი ვადის გავლის შემდეგ გაუფორმდეთ უფადო შრომითი ხელშეკრულება, ხოლო მათი მაღალ საფეხურზე გადაყვანა უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ შრომითი სტაჟისა და კომპეტენციის შესაბამისად უშუალოდ საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით.

ამ მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მაგალითად უნივერსიტეტის წესდებში შევიდეს ცვლილება და 29¹-ე მუხლის შემდეგ დამატოს შემდეგი შინაარსის ახალი მუხლი 29² (მოცემული შემთხვევა განიხილება როგორც თვალსაჩინო ნიმუში):

მუხლი 29². შრომითი ხელშეკრულების დადება

1. შრომითი ხელშეკრულება იდება ზეპირი ან წერილობითი ფორმით, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით.

2. თუ შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა 1 თვეს აღემატება, აუცილებელია შრომითი ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადება.

3. თუ შრომითი ხელშეკრულების ვადა 30 თვეზე მეტია, ან თუ შრომითი ურთიერთობა ვადიანი შრომითი ხელშეკრულების მიმდევრობით ორჯერ ან მეტჯერ დადების შედეგად გრძელდება და მისი ხანგრძლივობა 30 თვეს აღემატება, მიიჩნევა, რომ დადებულია უფადო შრომითი ხელშეკრულება. ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები მიმდევრობით დადებულად ჩაითვლება, თუ არსებული ვადიანი შრომითი ხელშეკრულება მისი ვადის გავლისთანავე გაგრძელდა ან მომდევნო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება პირველი ვადიანი შრომითი ხელ-

შეკრულების ვადის გავლიდან 60 დღის ვადაში დაიდო.

4. აკადემიური პერსონალის უფრო მაღალ სამსახურებრივ საფეხურზე დანიშნულება ხდება თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის დაცვით, მხოლოდ და მხოლოდ შრომითი სტაჟის ან/და კომპეტენციის შესაბამისად¹.

ასეთივე სამართლიანი სამართლებრივი ლოგიკით უნდა ვხელოძღვანელობდეთ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებთან მიმართებაშიც, რაც საბოლოოდ უდავოდ გამოიწვევს მთელი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში მკვეთრ პოზიტიურ ძეგლზე უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით. მოტივირებული აკადემიური პერსონალი არ დაამუშავებს ძალეებს მოსამზადებელი კადრების ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურების განხორციელებისთვის, მოახდენს მთელი თავისი უნარ-შესაძლებლობების და გამოცდილების მაქსიმალურ გამოყენებას როგორც კლასიკური, ისე აქტუალური პროფილების კადრების მომზადებისთვის და ხელს შეუწყობს უსდ-ს კონსურენტუნერიაობის ამაღლების საფუძველზე მისი შემოსავლების მატებას. ასევე გაუმჯობესდება სოციალური კლიმატიც მასზე განათლების სფეროს მძლავრი ზეგავლენიდან გამომდინარე, რაც დიდად დახმარება მთელი საზოგადოების განვითარების პროცესს და ქვეყნის უკეთესი მომავლის დადგომის პერსპექტივების მოახლოებას.

დასკვნა

ზემოაღნიშნული ნააღიდა გვიჩვენებს რომ უმაღლესი განათლების არსებული სისტემა ქმნის კორუფციის მაღალ რისკებს (განსაკუთრებით სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.) და მოითხოვს სისტემაში ეფექტიანი ღონისძიებების გატარებას სისტემის დახვეწის, მოტივაციის ამაღლების და კორუფციული სტიმულების/შესაძლებლობების მინიმუმად შემცირების მიზნით. საკითხის მოგვარება კი, როგორც ითქვა, ეფექტიანი ინოვაციების გატარებას მოითხოვს. აღნიშნული საკითხი მომდევნო პუბლიკაციებში იქნება განხილული, ახლა კი წარმოვადგინო ჩვენი ხედვა იმის შესახებ თუ როგორ შეიძლება ნაშრომში წარმოვიცილო პრობლემების მოგვარება:

1. როგორც უკვე ითქვა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობაში ზემოთ განხილულ ნაკლოვანებთან წარმოშობა შესაძლებელი ხდება იმის გამო, რომ უმაღლესი საგანმანათ-

ლებლო დანესებულელებებისთვის ხელისუფლების მიერ მინიჭებული ავტონომიის გააზრება ერთმნიშვნელოვნად არ ხდება. უმრავლეს შემთხვევაში იგი გაიზრდება არასამართლებრივად, სუბიექტურად და მერკანტილურ ინტერესების შესაბამისად. კონსტიტუციით უშაღეს საგანმანათლებლო დანესებულელებს გარანტირებულად აქვთ მინიჭებული ავტონომია [მუხლი 27, პუნქტი 3], რაც დიდი მიღწევაა, მაგრამ ამ ავტონომიის შინაარსი და უფლებრივი მდგომარეობა არსად არ არის გამარტებული, რაც ხელს უწყობს მისი გააზრების სხვადასხვაობას. კანონით მინიჭებული ამ სიკეთის არამიზნობრივ გამოყენებას რომ არ ჰქონდეს ადეილი, სხვადასხვა დონის ნორმატიულ აქტებში ისეთი რეგულაციის ჩანწარა უნდა მოხდეს, რომელიც ავტონომიის მნიშვნელობას შეზღუდავს კანონმდებლობით დაშვებულ ნორმებამდე და მათ ფარგლებს გარეთ ვასვლას კანონდარღვევად ჩათვლის. ამით ავტონომიას აღარ ექნება კანონდარღვევის ჩადენისთვის „ლიცენზიის“ უზრუნველყოფის ფუნქცია, რაც მკვეთრად შეამცირებს აღნიშნულ კანონდარღვევებს.

2. კანონიერი, სამართლიანი და რა თქმა უნდა ამავედროულად ყველაზე უფრო ეფექტიანი იქნება საგანმანათლებლო სისტემის აკადემიური კადრების შრომითი ურთიერთობის პრობლემური საკითხების გადაწყვეტისას აუცილებლად ხდებოდეს „შრომის კოდექსის“ (ორგანული კანონის) მიღებისა და მოთხოვნების დაცვა. ამაზე „უმადლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონშიც“ არის მითითებული [მუხლი 36, პუნქტი 1]. უმთავრეს სახელმძღვანელო პრინციპად მიჩნეული უნდა იყოს ის, რომ შრომის კოდექსის 1-ლი მუხლის 1-ლ პუნქტში დეკლარირებული უნდა იქნება ამ ორგანულ კანონის გარდა სპეციალური კანონის გამოყენების შესახებ (რომელსაც ცალმხრივად იყენებენ დასაქმებულის საზიანოდ), ბალანსდება იგივე მუხლის მე-3 პუნქტის ჩანაწერით დასაქმებულის მდგომარეობის გაუარესების არდაშვების შესახებ [„შრომის კოდექსი“ - მუხლი 1, პუნქტი 3]. ამით შრომის კოდექსი უზრუნველყოფს იერარქიულად თავის ზემდებარეობის უპირატესობას სპეციალურ კანონთან მიმართებაში და პოზიციებსაც უწყარებს დასაქმებულის ინტერესებს. სპეციალურ კანონს კი ამ მოთხოვნის იგნორირების იურიდიული მექანიზმები არ გააჩნია და თავისი სპეციალური ნორმის პრიორიტეტულობის დემონსტრირების შემთხვევაში სრულიად დემაგოგიურ ხასიათს ღებულობს, რის გამოც ვათვალისწინებთ არც კი უნდა იმსახუ-

რებდეს. უსდ-ებში, უთავრესად საექმო ზრანეების არსებობის გამო, შრომის კოდექსის (ორგანული კანონის) არაადეკვატური გამოყენება ხდება, რაც, როგორც ჩანს, მოცემული კანონის პრიორიტეტი, სუბიექტური და მერკანტილური ინტერესების ენიდან გამომდინარეობს. ასეთი მიდგომების და ნორმების გამოყენებით ფაქტობრივად ქვეყნის მთელი საკანონმდებლო სისტემის („კონსტიტუციის“, „შრომის კოდექსის“ და „უმადლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ და სხვ.) ფიქტიურად გამოცხადება ხდება, რაც სრულიად მიუღებელია.

3. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ადამიანის შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია და მისი შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით (მუხლი 26, პუნქტი 1). ე.ი. შრომითი ურთიერთობების განსაზღვრებაში შრომის კოდექსზე (ორგანულ კანონზე) უითივებს როგორც კონსტიტუცია, ისე „უმადლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი“ [მუხლი 36, პუნქტი 1]. ამდენად, შრომის კოდექსისა უმთავრესი ნორმატიული დოკუმენტი შრომითი ურთიერთობების განსაზღვრის საქმეში. გარდა ამისა, შრომის კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით 30 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ორჯერან მეტჯერ დადების შემთხვევაში თივლება, რომ დადებულია უვალო შრომითი ხელშეკრულება. ამიტომ ამ კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში ჩანწერილი ნორმა ხელშეკრულების ვადის ვასვლის საფუძველზე შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ეხება მხოლოდ 30 თვემდე სამუშაო გამოცდილების მქონე პირებს. მიუხედავად ამისა, ნორმას ავრცელებენ ვაცილებით უფრო მეტი უწყვეტი გამოცდილების მქონე აკადემიურ კადრებზეც შრომის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით. ამასთან ერთად, აკადემიური კადრების შრომითი ხელშეკრულების ვადების დადგენა არცერთ კანონში არ არის ჩანწერილი. შესაბამისად, დასაქმებულის საზიანოდ მისი დადგენა უხეშ კანონდარღვევას ნარმოადგენს. ამ გაუგებრობის და უკანონობის გამოსწორების ერთადერთ გზას ნარმოადგენს ის, რომ შრომითი ურთიერთობების რეგულაციების განსაზღვრა ხდებოდეს მხოლოდ შრომის კოდექსის საფუძველზე ან მასთან ერთად სპეციალური კანონის საფუძველზეც. თუკი იგი არ ათავრებს დასაქმებულის მდგომარეობას. ამასთანავე, შრომის კოდექსის პრიორიტეტულობა შენარჩუნებული უნდა იყოს.

4. არაკანონიერი ნორმების ასეთი უიონტრო-

ლო გავრცელების მიზეზები უნდა ევებოდნენ იმ პრობლემურ სამართლებრივ გარემოში, რომელიც არის დამკვიდრებული უმაღლესი განათლების სისტემაში. აქ მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ჩამოყალიბებულია უკრიტიკო ურთიერთობის ატმოსფერო, როდესაც ქვედა დონის ინსტანციის მიერ შეშუშავებული რაიმე ნორმა დასამტკიცებლად გადაეცემა ზემდებარე დონის ინსტანციას, რომელსაც ნებისთი უნებლიედ ეჭვი არ შეეძლება ამ ნორმის სისწორეში და ამტკიცებს მას. საბოლოოდ იგივე წესით არემა დოკუმენტების დამტკიცება უმაღლესი ინსტანციის მიერ. ამიტომ როდესაც პრობლემა აღმოცენდება, პირველ რიგში ყურადღება უნდა მახვილდებოდეს სისტემაში დამკვიდრებულ ერთგვარ „ურთიერთნდობის კოლექტიურ სინდრომზე“ - ქვედა რგოლში შემუშავებული დოკუმენტს (ნორმატიულ აქტს/სტრატეგიას/ხედვას) თითქოს უპირობოდ ენდობა ზედა რგოლი და ეთანხმება მას. ასე მიდის სხვადასხვა საკითხი დასამტკიცებლად საბოლოო ინსტანციამდე, რომელიც, რიგ შემთხვევებში, ასევე, ხსენებული „ურთიერთნდობის კოლექტიური სინდრომის“ ზეგავლენით დოკუმენტის ზედმეტი ანალიზისა და შეფასების გარეშე იღებს/ამტკიცებს მიღებულ წინადადებებს/ნორმატიულ აქტს. ეს შეიძლება იმიტომაც ხდებოდეს, რომ შეიქმნას „დემოკრატიულობის“ შთაბეჭდილება, რომელიც წესით ამ ფორმით არ უნდა ავლენდეს თავს.

როგორც მცირე ცვლილება დასაწყისში იწვევს დიდ ცვლილებებს ბოლოში [2], ისე ეს უმცირე ხარვეზები გაპარული დასაწყისი დოკუმენტში იწვევს დიდ პრობლემების წარმოშობას ბოლოში.

ამიტომ დოკუმენტები დასაწყისშივე კვალიფიციურად და კომპეტენტურად უნდა იყოს შედგენილი (მათ შორის უნდა იყოს კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში), თუმცა იერარქიის ყველა შემდგომ დონეზე უნდა ხდებოდეს მათი კრიტიკული გაანალიზება/შეფასება და დახეხვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იერარქიის ყველა რგოლში დასაქმებული პირების კვალიფიკაციასა და კომპეტენციას. პირველ რიგში, სწორედ თანამშრომელთა კვალიფიკაციაზე ბევრწლიად დამოკიდებული ის, თუ როგორი გამართულობის მქონე დოკუმენტი დამტკიცდება საბოლოო ინსტანციის მიერ. ეს კვალიფიკაცია და კომპეტენცია კი ყოველთვის სათანადო სიმაღლეზე არ დგას. შესაბამისად, ამ არასახარბიელო რთული სიტუაციის გამოსწორების გზას წარმოადგენს ის, რომ: 1)

შესაბამის სამსახურებში მუშაობდნენ ძალიან მაღალი რანგის პროფესიონალები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეფასების შედეგად უნდა ხდებოდეს სუსტი მხარეების იდენტიფიცირება. პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვის გარეშე კი იდენტიფიცირებული ხარვეზების გამოსწორება ძალიან ძნელი მისაღწევია. 2) იერარქიის ყოველ საფეხურზე უსდ-ს სათანადო სამსახურების მუშაკებს აუცილებლად უნდა მოეთხოვებოდეთ ამ დოკუმენტის კანონმდებლობასთან შესაბამისობის გადამოწმება. ასეთი ზრთი თავიდან იქნება აცილებული უბეში სამართლებრივი ლაფსუსების გაფორმება ნორმატიული აქტების სისტემაში.

5. სამართლებრივი პრობლემები და ლაფსუსები გამომდინარეობს ადამიანური ფაქტორის ხარვეზებიდან, კერძოდ, ლოგიკური ნაწამძღვრების არასწორი ინტერპრეტაციებიდან. სიტუაცია ემსგავსება ფსიქოლოგიურ ავადმყოფობას, რომელიც ითხოვს აუცილებელ „განკურნებას“, ვინაიდან ეტება ბევრ ადამიანს და პრობლემებს უქმნის მათ. ამ ავადობიდან განკურნების გზას კი წარმოადგენს ადამიანური ფაქტორის ხარვეზების გამოკვლევა და მათი გაცნობიერება. სწორედ ეს გაცნობიერება იძლევა არასასურველი ხარვეზებისგან განთავისუფლება შესაძლებლობას. გაუცნობიერებელი და შემანუხებელი ფსიქოლოგიური პრობლემების გაცნობიერების მეთოდით აღწევდა ზიგმუნდ ფროიდი [3] ადამიანთა განკურნებას. სამართლის სფეროშიც, რომელშიც ადამიანის ფსიქოლოგია უკიდურესად მნიშვნელოვანია, იგივე მეთოდი გამოსაყენებელი. აუცილებელია სამართლებრივი პრობლემებზე გახსნილი, ღია საუბრები ყოველგვარი შემოვლილი გზებისა და შეღავათების გარეშე, რათა მოხდეს მათი სრული გაცნობიერება, რომელიც შემდგომ უსაძლებლად დავდება აღნიშნული პრობლემებისგან საბოლოო განთავისუფლებას და მოწესრიგებული, არანაწამდმეგობრივი სამართლებრივი გარემოს შექმნას/დამკვიდრებას.

6. ყველაზე უფრო ეფექტიანი იქნებოდა ყველა სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უნასახელმწიფოებრიობა/პრივატიზაცია - ეს ავტომატურ რეჟიმში გააჩენდა საბაზრო სტიმულებს დაწესებულებაში, ანუ დაწესებულების ხელმძღვანელისთვის/მფლობელისთვის საქმის სწორად კეთების სტიმული არა მხოლოდ პატიოსნება იქნება არამედ გაჩნდება ჯანსაღი საბაზრო სტიმულები: „თუ სწორად არ დავგეგვებ, გავკოტრდები“, „კონკურენცია ჩამყალაპავს“, რაც უკვე სახსრების არაყაირათიანად ხარჯვასთან, და-



საქართველო
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს
საინფორმაციო ცენტრი

საქმებული პერსონალის (მათ შორის აკადემიური პერსონალის) მიმართ გულგრილ დამოკიდებულებასთან, სწავლების პროცესის არაეფექტიანობასთან დაკავშირებული რისკების მინიმუმამდე დაყვანას განაპირობებს.

7. უნდა მოიხსნას ფიქსირებული სწავლის გადასახადის ზღვრული ოდენობის დაკანონება. საგანმანათლებლო დაწესებულებამ თავად უნდა გადაწყვიტოს სწავლისთვის რა გადასახადი დააწესოს. სწავლის ფიქსირებული გადასახადის კანონით განსაზღვრა უღმობლად და მთლიანად ანგრევს დაწესებულების კონკურენტუნარიანობას, ქმნის მოუქნელ/ხისტ სისტემას და ამცირებს მალაკკალიფიციური კადრების მოზიდვის შესაძლებლობას; დარტყმას აყენებს საგანმანათლებლო დაწესებულებას, როგორც ადმინისტრაციულად ისე მატერიალურ/ტექნიკურად, საკადრო პოლიტიკის მიმართულებით და ა.შ.

8. უნდა გაუქმდეს აკადემიური პერსონალისთვის იგივე თანამდებობაზე მუშაობის ვაგრძელებისთვის პერიოდული ხელახალი კონკურსები. გაუგებარია ამით. რა მოწმდება. პროფესორი თუ შეესაბამება თანამდებობისთვის განკუთვნილ მოთხოვნებს და ამას საკონკურსო კომისია ერთხელ უკვე დაადგენს, პერიოდულად კონკურსების ხელახლა ჩატარება ყოვლად გაუმართლებელი, არაეფექტიანი და რისკების შემცველია. ამ მიდგომით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ეძლევა დისკრეციული უფლება თავის შეხედულებ

ბისამებრ და აკადემიური თავისუფლების გადამტებული შეზღუდვით „აკონტროლოს“ პერსონალი მიკერძოებული კონკურსების პერიოდულად ჩატარების მეშვეობით. ასეთი მიდგომა ზრდის და ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალზე ზეწოლის, მისი თავისუფლების შეზღუდვის, მანიპულირების, ფავორიტიზმის, ნეპოტიზმის, კორუფციის საფრთხეების წარმოშობას, რაც სრულიად დაუშვებელია [30].

9. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უნდა დაინერგოს შეფასების თანამედროვე სისტემა („360 გრადუსი“). ეს ხელს შეუწყობს დაწესებულების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას, არსებული რეალური პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათი აღმოფხვრის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავებას.

10. უნდა გაუქმდეს ენ. „უფასო სპეციალობებისთვის“ ანუ სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტულად მიჩნეული სპეციალობებისთვის გამოყოფილი სახსრების სახელმწიფო უნივერსიტეტებში „ჩახახა“ (სუბსიდირება). უნდა შეიქმნას ვაუჩერული სისტემა და ვაუჩერი გაჰყვეს სტუდენტს მის მიერ არჩეულ სასწავლებელში - ეს გაზრდის კონკურენციას და აამაღლებს სწავლების ხარისხს

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ღონისძიებების/რეფორმების გატარება მკვეთრად აამაღლებს ჩვენი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ეფექტიანობას და შეამცირებს კორუფციულ რისკებს ამ დაწესებულებებში.



THE ROLE OF E-COMMERCE TOOLS IN THE GLOBAL MARKET

Copyright © 2023 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: July 9, 2023
Published: July 21, 2023
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC18032023-45



Kristina Jganjhava

Doctor of Business Administration
Invited Professor of Ivane Javakhishvili TSU
<https://orcid.org/0009-0007-3203-890X>
E-mail: kjganjgava@yahoo.com
Cell: (+995)511 19 33 25


ABSTRACT

Electronic commerce involves the buying and selling of goods and services through electronic systems such as computer networks and the Internet. The paper analyzes the main directions of influence of new technologies in the field of e-commerce. This refers to the issue of business model innovation in trade and changes in the structure of the retail industry. Useful recommendations for creating advanced e-commerce applications that take into account both technology and consumer rights protection are developed.

Keywords: E-commerce, global market, web technologies, software tools.

REFERENCES:

1. Alexa.com. (2022). Mekawyat.com competitive analysis, marketing mix and traffic. [online] Available at: <https://www.alexa.com/siteinfo/mekawyat.com>;
2. Atase FL, Timofte C., (2004), Tehnologia afacerilor pe Internet, ASE, Bucuresti;
3. Ivanovna, N., (2020). Swot analysis: the technique. Bulletin of the Tver State University. Series:
4. Gibson Kimutai (2018), A Content Based Image Retrieval Model for E-Commerce. International Journal Of Engineering And Computer Science ISSN:2319-7242;s and Management, (4(52), pp.62-71;
5. Turban, J, Lee, D. King and H. M. Chung, 'Electronic Commerce: A Managerial Perspective', Prentice Hall, 1999;
6. Papazoglou, M.P, Ribbers, P.M.A, (2006), E-Business: Organizational and Technical Foundations, J. Wiley USA;
7. Powers, D., (2010), PHP Solutions: Dynamic Web Design Made Easy, friends of ED, USA;
8. Nixob R., (2009), Learning PHP, MySQL, and JavaScript: A Step-By-Step Guide to Creating Dynamic Websites, Wiley, USA;
9. Soran Abdulkarim Pasha (2017) Similar image retrieval in e-commerce for online shopping based on color and edge. International Journal of Scientific & Engineering Research, Volume 8, Issue 2, pp.1185-1188.



ელექტრონული კომერციის ინსტრუმენტების როლი გლობალურ ბაზარზე


ქრისტინა ჯღანჯღავა

ბიზნესის ადინისტრირების დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის თსუ-ის მონვეული პროფესორი
E-mail:kjganjgava@yahoo.com
მობ: (+995) 511 19 33 25

აბსტრაქტი

ელექტრონული კომერცია მოიცავს საქონლისა და მომსახურების ყიდვა-გაყიდვას ელექტრონული სისტემების მეშვეობით, როგორცაა კომპიუტერული ქსელები და ინტერნეტი. ნაშრომში განალიზებულია ახალი ტექნოლოგიების გავლენის ძირითადი მიმართულებები ელექტრონული კომერციის სფეროში. აღნიშნული ეხება ვაჭრობაში ბიზნესმოდელის ინოვაციის საკითხსა და ცვლილებებს საცალო ინდუსტრიის სტრუქტურაში. შემუშავებულია სასარგებლო რეკომენდაციები ელექტრონული კომერციის მონივრულ აპლიკაციების შესაქმნელად, რომელიც ითვალისწინებს როგორც ტექნოლოგიის, ასევე მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული კომერცია, გლობალური ბაზარი, ვებ-ტექნოლოგიები, პროგრამული ინსტრუმენტები.



შესავალი

ტრადიციული სავაჭრო საქმიანობა აუცილებელია მუდმივად მოერგოს ბაზრის პირობებს და ტექნოლოგიურ ცვლილებებს, რათა დარჩეს მაღალ კონკურენტუნარიან სექტორად. დღეისათვის მყიდველი გაცილებით ინფორმირებულია, უფრო მობილური და შეუფთებელია ვარემოსა და ჯანდაცვის საკითხებით, გაცილებით მომთხოვნია პროდუქციის ხარისხისა და პერსონალიზაციის თვალსაზრისით.

სავაჭრო აქტივობამ აუცილებელია რეაგირება მოახდინოს დემოგრაფიულ ფაქტორებზე, როგორცაა: მოსახლეობის მიგრაცია, ურბანიზაციის გაფართოება, მოსახლეობის საშუალო ასაკის მატება, დემოგრაფიული კლება და ა.შ. ტრადიციული კომერციული სანარმოების საოპერაციო ხარჯები იზრდება, მყიდველები ხდებიან უფრო საზრიანები, რაც დამატებით ზეგავლენას ახდენს მოგების დონეზე. ამ პირობებში ინოვაციების ზრდა და უახლესი და მონივრულ ტექნოლოგიების გამოყენება ვაჭრობის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მთავარი ფაქტორია. [Papazoglou&ribbers,2006]

ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება განაპირობებს ინოვაციურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც წარმოდგენილია კონკურენტული პროგრამული ინსტრუმენტების ვებ-ტექნოლოგიების განვითარებით. მაღალი

ის ახალი ფორმები, კომერციული ტექნოლოგიების ახალი ტიპები, ახალი მეთოდები და სტრატეგიები ბაზარზე, რომელთა განალიზებასაც ისახავს მიზნად მოცემული ნაშრომი, ხელს შეუწყობს მუტაციების მოსალოდნელ პროგნოზირებასა და ანალიზს. [Atase&Timoft, 2004]

ელექტრონული კომერციის პლატფორმის ძირითადი მოდელები

ელექტრონული კომერციის სფეროში წარმატებული ბიზნესის გასავითარებლად არსებობს პროგრამული პროდუქტების მრავალფეროვნება, რომელიც ხელს უწყობს, სრულად სტანდარტიზებული ელექტრონული მაღაზიის შექმნას და უზრუნველყოფს ყველა საჭირო მოდულით სწრაფად, მარტივად და დიდი ხარჯების გარეშე. [Povers,2010] ონლაინ მაღაზიების ორგანიზებისა და მართვისთვის, შემდეგი პროგრამული პროდუქტებია შექმნილი. ამ ტიპის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პროდუქტებია:

- მიკროპროგრამები;
- უფასო პროდუქტები.

ელექტრონული კომერციის დანერგვისა და გამართულად მუშაობისთვის არსებობს ორი გზა:

- ოფიციალური ვებ-საიტებიდან საცდელი პროგრამის ჩამოტვირთვა შეზღუდული პერიოდის განმავლობაში. ამ პროცესს ჩვეულებრივ ხელ-

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



მძღვანელობს ოსტატი. ეს სისტემა არ თავაზობს ფასიანი პროდუქტების ფუნქციებს და ამდენად მისი ფუნქციები ლიმიტირებულია.

- სერვერზე სატესტო საიტების შექმნა. ასეთ დროს პროდუქტის გამოყენება შესაძლებელია განსაზღვრული დროით (დაახლოებით 14 დღე). ამ შემთხვევაში ხელმისაწვდომი და უფასოა ჰოსტინგი. წინა შემთხვევის მსგავსად, აღნიშნული ვარიანტი გეთავაზობს ძირითადი მოდულების და პროდუქტების ფუნქციების მხოლოდ ნაწილს.

ელექტრონული კომერციის პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუმენტების ძირითადი მახასიათებლებია:

- ვებ-საიტისთვის: პროდუქციის კატალოგი, აღწერილობები, კალათა, პროდუქციის სხვადასხვა მახასიათებლების ძიება, დღე, ინვენტარი, მრავალი ვალუტა, შეკვეთების ისტორია, ინვოისის გაცემა, ელექტრონული გადახდა, დისტანციური მართვა და სხვა;- პროგრამული პროდუქტისთვის: პროგრამული უზრუნველყოფის ფასი, პლატფორმა, რომელზეც დაინსტალირდება პროგრამული სისტემა, სერვისის სკრიპტირება (ASP,PHP და სხვა). მიკროპროგრამული უზრუნველყოფა გეთავაზობს, ინსტრუმენტების კომპლექს ელექტრონული კომერციის აპლიკაციების შესაქმნელად. როგორც წესი, ამ პროდუქტებს მრავალი მოდული აქვთ და მათი ინტეგრირებული ფუნქციონალურობის დონე დამოკიდებულია არჩეულ მოდულებსა და მათ თვისებებზე. ელექტრონული კომერციისთვის ყველაზე გამოყენებულ და მძლავრ უფასო პროგრამას შორისაა: Magento, Zen Cart, Ubercart, osCommerce Online Merchant, Quick.Cart (იხ. ცხრილი 1.)

ცხრილი 1.

პროგრამული ინსტრუმენტები ელექტრონული კომერციისთვის

პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუმენტები	უფასო პროგრამული ინსტრუმენტები
CoreCommerce	Magento
Interspire Shopping	Cart Zen Cart
X-Cart	Ubercart
LiteCommerce 2.2x	osCommerce Online Merchant
EROL Business	Quick.Cart
StoreFront XE	BizHosting
	Yahoo! Merchant Solutions
	EasyStoreCreator

ელექტრონული კომერციის პროგრამული ინსტრუმენტები

ელექტრონული კომერციის ყველაზე გამოყენებად და მძლავრ პროგრამულ ინსტრუმენტებს შორისაა:

- Core Commerce
- Interspire shopping Software
- lite Commerce 2.2 x
- Erol Business
- Store Front XE და ა.შ

Core Commerce - ელექტრონული კომერციის ინსტრუმენტი, პროგრამული უზრუნველყოფა საშუალებას იძლევა სწრაფად შეიქმნას ონლაინ მაღაზიების ვებ-სიტები არსებული დიზაინის საფუძველზე ან პროფესიონალური დიზაინის მახარების გამოყენებით. Core Commerce ელექტრონული კომერციისთვის ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ინოვაციურ პროგრამად, რომელიც მუდმივად განახლებულია მომხმარებლების მიერ შემოთავაზებული ახალი ფუნქციებით. იდეალურია მცირე და საშუალო ბიზნესის ისეთი სფეროებისთვის, როგორცაა: ტანსაცმელი, ავტომობილები, ელექტრონული საქონელი, ჩამოსატვირთი პროდუქტები, საკვები და სასმელი სასუქები, სათამაშოები, სპორტი, თამაშები და ა.შ.

კომერციული ინსტრუმენტის Core Commerce დაინსტალირება და კონფიგურაცია 30 დღის განმავლობაში უფასოა. საბაზისო პაკეტი იძლევა 50-მდე პროდუქტის გაყიდვის შესაძლებლობას, თვეში 1 გ-მდე გამტარუნარიანობის გამოყენებას და სერვერზე 100გ-მდე შენახვის შესაძლებლობას. არსებობს სამი პაკეტი, რომელიც დიდფუნქციონალურია იმ პროდუქტების მაქსიმალური რაოდენობით, რომელთა გაყიდვაც შეიძლება, გამტარუნარიანობის და სერვერზე გამოყოფილი მეხსიერების რაოდენობით.

X-Cart Qualiteam Software - არის ფირმა, რომელმაც შეიმუშავა X-Cart, ელექტრონული კომერციის პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუმენტი და მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო კალათის სისტემაა. ამ პროგრამის დახმარებით მთელს მსოფლიოში მრავალი ბიზნესი გახდა წარმატებული. X-Cart საცალო მოვაჭრეებს სთავაზობს აუცილებელ ინსტრუმენტებს ონლაინ გაყიდვებისთვის: დინამიური პროდუქტის კატალოგი, საყიდლების კალათა, მარაგის ზედამხედველობის შესაძლებლობა, ინტეგრირება ნაშყვან კურიერებთან 100-ზე მეტი პორტალისა და გადახდის სისტემის მიწოდებით. ელექტრონული კომერციის ეს პროგრამული

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი

ინსტრუმენტი დაფუძნებულია შაბლონზე და კოდი არის ღია წყარო, რაც იმას ნიშნავს, რომ ფუნქციონალობა შეიძლება შეიცვალოს ან გაფართოვდეს სხვადასხვა ბიზნესის კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე. აღნიშნული პროდუქტი არ საჭიროებს ლოგიკურ შეზღუდვებს იმ პროდუქტების რაოდენობის თვალსაზრისით, რომელთა შეცვლა შესაძლებელია.

X-Cart Pro- არის ელექტრონული კომერციის შესაძლებლობა, რომელიც უფრო მეტ კომპანიას სთავაზობს პროდუქტის ონლაინ გაყიდვას იმავე ვირტუალურ მაღაზიაში, ხოლო X-Cart Gold-ის მეშვეობით, მხოლოდ ერთ გაყიდვულ შეუძლია ოპერირება ონლაინ მაღაზიაში. X-Cart

შეიძლება დაინსტალირდეს მრავალ ოპერაციულ სისტემაზე: Linux, Windows, MAC და სხვა. სერვერმა აუცილებელია უზრუნველყოს MySQL მონაცემთა ბაზის ვერსიების მხარდაჭერა 3,23-დან 5x ვერსიამდე. სერვერმა, რომელიც მასპინძლობს საიტს, უნდა დაუშვას ზოგიერთი გარე შესრულებადი ფაილის გაშვება, როგორცაა Pearl, HTTPS და სხვა მოდულები. რეკომენდირებულია SSL სერთიფიკატის აღება ონლაინ ტრანზაქციის უზრუნველსაყოფად.


Magento - არის უფასო ელექტრონული პლატფორმა, რომელიც მოვაჭრეებს აძლევს მოქნილობას და ასევე უპრეცედენტო კონტროლს მათი ვირტუალური მაღაზიის ინტერფეისზე და შინაარსზე. Magento ავლენს მძლავრ მარკეტინგულ ინსტრუმენტებს, საძიებო სისტემების ოპტიმიზაციას (SEO) და პროდუქტების კატალოგების მართვას, რომლის მეშვეობითაც მოვაჭრეებს ეძლევათ შესაძლებლობა შექმნან ვებსაიტები თავიანთი ბიზნესის უნიკალურ საჭიროებებზე მორგებულ. Magento უფასოდაა ხელმისაწვდომი და ჩამოტვირთვადია ღია წყაროს სახით (OSL) 3.0 ლიცენზიით მომსახურების სფერო გლობალური განზომილებაა. გაყიდვები ონ-

ლაინ, მსოფლიოს ნებისმიერ ნერტილში უფრო და უფრო მეტ პროდუქტს ყიდიან ელექტრონული კომერციის საშუალებით. გლობალიზაცია ართულებს ბაზარზე სახიფათო პროდუქტების შემოსვლის იდენტიფიცირებას. საქონელი და მომსახურება სულ უფრო დახვეწილი და მორგებული ხდება, მომხმარებლის ტრადიციული უფლებები სულ უფრო ნაკლებად იქნება მორგებული ციფრულ ეპოქას. აღნიშნული ზრდის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სირთულეებს და შესაბამისად, საჭიროა ბაზრის ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველყოფა, აუცილებელია სამომხმარებლო პოლიტიკა უკეთ მოერგოს ამ რეალობას. აღნიშნულის გაუმჯობესებაში აუცილებელია მომხმარებელთა კმაყოფილების, კითხვარების ჩართვა ელექტრონული კომერციის პლატფორმაზე. ეს საკითხები მოიცავს პრაქტიკულ ძალისხმევას, ეკონომიკური, საინფორმაციო, ინსტიტუციური და შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად, რომელიც სრულად იქნება გამოყენებული მომხმარებელთა უფლებების დასაცავად, კანონით გაანტიფიცირებული და ვებ-ტექნოლოგიებით განხორციელებული.

დასკვნა


მდგრადი ბიზნესის პერსპექტივიდან გამომდინარე, ელექტრონული კომერციის განაალიზებით შეგიძლია დავასკვნათ, რომ სტაბილური ონლაინ ბიზნესკონცეფციის შემუშავებას სჭირდება ბიზნესსაზროვნების შეცვლა, ყველა დაინტერესებული მხარისა და პარტნიორებისგან.

აღნიშნული ეხება ბიზნესის პოლიტიკურ გაგებას, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვას პარტნიორულ თანამშრომლობაში. ეს ფუნქციები მჭიდროდ იზიდავს ბიზნესის მონიტორინგს და ასევე ვირტუალური ბიზნესის მთელ სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, შესაბამისი პროგრამული ინსტრუმენტების დახმარებით.



NEW DEVELOPMENTS IN THE GLOBAL WORLD: CHALLENGES AND OPPORTUNITIES FOR GEORGIA

Copyright © 2023 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: September 9, 2023
Published: September 29, 2023
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC18032023-49



Shota Veshapidze

Doctor of Economic Sciences, Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ORCID iD: <https://orcid.org/0000-0003-0933-3648>
E-mail: shota.veshapidze@tsu.ge
Cell: (+995) 599 51 80 84

ABSTRACT

The main purpose of this article is to analyze the features of the current reality of globalization, to identify the created opportunities and threats, and to reveal the ways to overcome it. The object of research is the current economic and political processes in the world, as well as, especially, geopolitical issues and the Ukrainian crisis. The work is based on the analysis of various fundamental literature, synthesis, specific statistical data, components of globalization index. The work draws conclusions using the cause-and-effect relationship of facts. Based on the trend of strengthening the multipolar world order, important conclusions and recommendations are presented about the possibilities and threats caused by the modern new reality of globalization, and taking advantage of it.

The new, modern trend of strengthening the multipolar world order not only brings visible positive results, also creates acute problems of protecting national priorities within the framework of international cooperation. Ensuring the country's security is significantly influenced by the growth of interdependence between the subjects of international relations, new events in the global world, the increased openness of the economy of the world's most countries, the development of joint programs to solve contemporary, important problems.

Key words: sources of globalization, modern tendency of strengthen the multipolar world order, globalists, anti-globalists.

REFERENCES:

1. Bedianashvili, G. (2021). Macroeconomic and Cultural Determinants of the COVID-19 Pandemic Crisis. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 15(2):191-197.
2. Bedianashvili G. (2023). Macrosystemic Challenges of Uncertainty under the Conditions of Confrontational Globalization. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*. 17(2), 174-179.
3. Bedianashvili, G., Bichia, Q., & Natsvlishvili, E. (2021). Development of Entrepreneurial Activity, Labor Market and Modern Challenges of Higher Education. *Globalization and Business*. 12, 21-31. (In Georgian). <https://doi.org/10.35945/gb.2021.12.002>.
4. Boli, J., & Thomas, G. M. (1997). World culture in the world polity: A century of international non-governmental organization. *American sociological review*, vol. 62. No. 2. Pp. 171-190.
5. Bowers, C. A. (1999). The Cultures of Globalization, Frederic Jameson and Masao Miyoshi, editors, Durham, NC: Duke University Press, 1998. Reviewed by



CA Bowers. *Journal of Political Ecology*, 6(1), 165-168.
6. Castells, M., & Cardoso, G. (1996). The network society. *Blackwell*. Oxford.

7. Gvelesiani, M., & Veshapidze, S. (2016a). European Values: What Can We Implement from Them and How Can We Implement Them in Georgia. *Globalization & Business*. (1). 40-46. (In Georgian).

8. Gvelesiani, M., & Veshapidze, S. (2016b). Values: Limits and Contradictions. *Globalization & Business*, (1). 35-39. (In Georgian).

9. Mekvabishvili, E. (2009). Globalization of the economy: directions, challenges, prospects. *Innovation*. Tbilisi. (In Georgian).

10. Meyer, J. W., Boli, J., Thomas, G. M., & Ramirez, F. O. (1997). World society and the nation-state. *American Journal of sociology*, 103(1), 144-181.

11. Nettl, J. P., & Robertson, R. (1968). International systems and the modernization of societies: The formation of national goals and attitudes. *Basic Books*. New York, Pp. 216.

12. Otinashvili, R., Veshapidze, S., & Zoidze, G. (2021). IMPACT OF ECONOMIC CRIME ON THE SUSTAINABLE DEVELOPMENT OF THE STATE. *Three Seas Economic Journal* 4 (1), 10-17

13. Papava, V. (2016). Georgia's Choice: The European Union or the Eurasian Economic Union. GFSIS, Expert Opinion, 57, <https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/57-expert-opinion-eng.pdf>

14. Papava, V. (2018). The Economics in Crisis and the Main Directions for Transformation of Economic Science. *Transformations*, 3-4(98-99), 90-108

15. Papava, V. (2020a). Georgia's European Way During the Period of Pandemic Deglobalization. *Rondeli Blog*, August 6, <https://gfsis.org.ge/blog/view/1091>.

16. Papava, V. (2020b). Becoming European: Challenges for Georgia in the Twenty-First Century. *iUniverse*. Bloomington.

17. Papava, V. (2021). On Pseudo De-Globalization, Silk Road Of Global Value Chains And Role Of Georgia – OpEd. <https://www.eurasiareview.com/18102021-on-pseudo-de-globalization-silk-road-of-global-value-chains-and-role-of-georgia-oped/>

18. Papava, V. (2022a). Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization. *Eurasia Review*, May 23, <https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/>

19. Papava, V. (2022b). On Sanctionomics. *Eurasia*

Review, March 14. Available at: <https://www.eurasiareview.com/14032022-on-sanctionomics-oped/>

20. Robertson, R. (1991). The globalization paradigm: Thinking globally. Religion and social order. *JAI Press*. Greenwich.

21. Robertson, R. (1992). Globalization: Social theory and global culture. *Sage*. London.

22. Ross, R. J., & Trachte, K. C. (1990). Global capitalism: The new leviathan. *SUNY Press*. New York.

23. Schwab, K. (2016). The Fourth Industrial Revolution. *World Economic Forum*. Switzerland.

24. Shengelia, T. (2022). INFLUENCE OF MULTICULTURAL FACTORS ON INNOVATIVE DEVELOPMENT OF THE COUNTRY. *Sciences of Europe*, (107), 15-19.

25. Shengelia, T., & Berishvili, K. (2020). METHODOLOGY OF SOCIAL ENTREPRENEURSHIP RESEARCH AND ITS INFLUENCE ON COUNTRIES WITH SMALL ECONOMY. *International Journal of Social and Humanities Sciences*, 4(3), 181-190.

26. Shengelia, T., Berishvili, K., & Jganjgava, K. (2021). Anti-crisis strategy caused by uncertainty of the small businesses under the COVID-19 pandemic. *Sciences of Europe*, (81-2), 3-6.

27. Silagadze, A., Atanelishvili, T., & Silagadze, N. (2022). Covid Depression and Search for a New Paradigm. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci*, 16(1).

28. Stiglitz, J. E. (2017). Globalization and its discontents revisited: Anti-globalization in the era of Trump. *WW Norton & Company*. New York. Pp. 472.

29. Veshapidze, S., (2017). THE TRADITIONS ORIENTATED ON EUROPEAN VALUES IN GEORGIA. *Sciences of Europe*. VOL 4, No 13 (13)

30. Veshapidze, S. (2022). Iliia Chavchavadze on the Methodological Aspects of Economic Processes Research and Modernity. Conference: VII International Scientific Conference. At: Tbilisi, Georgia.

31. Veshapidze, S., & Karchava, L. (2022). Contradictions of Globalization under the COVID-19 Pandemic. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci*, 16(4).

32. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2021). Institutional Evolution of Higher Education in Georgia. *The New Economist*, 16(2), 1–1. DOI: <https://doi.org/10.36962/NEC6102202133>

33. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022a). On State Intervention in the Economy through the Budget in Georgia. *WORLD ECONOMY AND INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS*. - *International Scientific Collection* - Vol. 5. Kyiv - CUL. <https://doi.org/10.5281/zenodo.5807500>

34. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022b). Value Choices of the Community in the Context of the COVID-19 Pandemic. DOI: <https://doi.org/10.5281/zenodo.6373197>.

35. Veshapidze, S., Babuadze, N., & Beridze, T. (2015). EUROPEAN VALUES AND CHOICE OF GEORGIA (HUMAN DIGNITY, LAWFUL SOVEREIGNTY, DEMOCRACY AND WELLBEING). ACTUAL PROBLEMS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF NATIONAL ECONOMIES. (10-11 July, 2015). PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY. Tbilisi, 79-83.

36. Veshapidze, S., Zubiashevili, T., & Chiabrishvili, K. (2021). Globalization and New Opportunities for Georgia. Globalization and Business. 12, 32-36. <https://doi.org/10.35945/gb.2021.12.003>

37. Veshapidze S., Otinashvili R., Gvarutsidze A., Abuselidze G., Zoidze G. (2022). Modern technologies to overcome the challenges of globalization. Entrepreneurship, 10 (2), 22-32 DOI: 10.37708/ep.sw.v10i2.238.

38. Wallerstein, I. (1974). The rise and future demise of the world capitalist system: Concepts for comparative analysis. *Comparative studies in society and history*, 16(4), 387-415.

39. Wallerstein, I. (2011). The modern world-system I: Capitalist agriculture and the origins of the European world-economy in the sixteenth century (Vol. 1). *Univ of California Press*. Berkeley, Los Angeles, London.

40. Wallerstein, I. (2011). The modern world-system III: The second era of great expansion of the capitalist world-economy, 1730s-1840s (Vol. 3). *Univ of California Press*. Berkeley, Los Angeles, London.

41. Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022a). The Modern Economy and Values. *Cambridge Scholars Publishing*. P. 125;

42. Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022b). Transformation of Economic Policy Priorities Under Covid-19. *Three Seas Economic Journal*, 3(2), 35-43.

გლობალური მსოფლიოს ახალი მოვლენები: გამოწვევები და შესაძლებლობები საქართველოსთვის

შოთა ვეშაპიძე


ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Shota.veshapidze@tsu.ge 599 51 80 84

აბსტრაქტი

ამ სტატიის ძირითადი მიზანია გლობალიზაციის ამჟამინდელი რეალობის თავისებურებების გაანალიზება, შექმნილი შესაძლებლობებისა და საფრთხეების იდენტიფიცირება და მისი დაძლევის გზების გამოვლენა. კვლევის ობიექტს შეადგენს როგორც მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები, ასევე, განსაკუთრებით გეოპოლიტიკური საკითხების და უკრაინის კრიზისი. ნაშრომი ფუძნდება სხვადასხვა ფუნდამენტური ლიტერატურის ანალიზს, სინთეზს, კონკრეტულ სტატისტიკურ მონაცემებს, გლობალიზაციის ინდექსის შემადგენლებს. ნაშრომი აკეთებს დასკვნებს ფაქტების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოყენებით. მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის განმტკიცების ტენდენციიდან გამომდინარე, წარმოდგენილია მნიშვნელოვანი დასკვნები და რეკომენდაციები გლობალიზაციის თანამედროვე ახალი რეალობით განპირობებული შესაძლებლობებისა და საფრთხეების, მისთვის ალღოს აღების შესახებ.

მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის განმტკიცების ახალ, თანამედროვე ტენდენციას, არა მარტო თვალსაჩინო დადებითი შედეგები მოაქვს, არამედ საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში ეროვნული პრიორიტეტების დაცვის მწვავე პრობლემებს ქმნის. ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტების ურთიერთდამოკიდებულების ზრდა, გლობალური მსოფლიოს ახალი მოვლენები, მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების ეკონომიკის გაზრდილი რიპოა, ერთობლივი პროგრამების შემუშავება ჩვენი დროის მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაჭრელად.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაციის წყაროები, მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის განმტკიცების თანამედროვე ტენდენცია, გლობალისტები, ანტიგლობალისტები.



შესავალი

„გლობალიზაცია“ არის პროცესი რომლის განხორციელების შედეგად მსოფლიო გარდაიქმნება ერთან სისტემად, რა დროსაც ხდება ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და რეგიონალური სფეროების ინტეგრაცია. მეოცე საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საფუძველი ჩაეყარა მსოფლიოში მრავალმხრივ სტრუქტურას, რომლის ბაზაზეც ჩამოყალიბდა მსოფლიო გლობალური პროცესები. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია ეკონომიკურმა და სოციალურ-ინსტიტუციონალურმა ობიექტურმა ნაწარმდებებმა განაპირობა. მათ მიეკუთვნება: ტრანსნაციონალური კომპანიების როლის გაძლიერება; მსოფლიო ინფორმაციულ-კომუნიკაციური განვითარება; მსოფლიო ბაზრების განვითარება; მსოფლიო ეკონომიკური ცენტრების შექმნა; მსოფლიო მმართველობის სტრუქტურის ჩამოყალიბება; ახალი ეკონომიკური აზროვნებისა და მასობრივი კულტურის წარმოშობა; გეოპოლიტიკური გარდაქმნები, რომელსაც მსოფლიო ეკონომიკის ახალი ცენტრების წარმოშობა უკავშირდება.

21-ე საუკუნის მესამე ათწლეულის დასაწყისში განვითარებულმა მსოფლიო მოვლენებმა, საფუძველი დაუდო ახალი რეალობის ჩამოყალიბებას. გამოიკვეთა მსოფლიო ნებისმიერ განმტკიცების ახალი ტენდენცია, რომელმაც ახალი წინააღმდეგობები, საფრთხეები, შესაძლებელი და შესაძლებლობები წარმოშვა. (Gvelesiani, & Veshapidze, 2016; Veshapidze, & Karchava, 2022; Zoidze, & Veshapidze, 2022a; 2022b).

ძირითადი ნაწილი

გლობალიზაციის ბუნებისა და არსის გაგებას ეძღვნება მსოფლიო კულტურის, მსოფლიო მმართველობის, მსოფლიო სისტემათა, გლობალური კაპიტალიზმის, ქსელური საზოგადოების თეორიებში.

მსოფლიო კულტურის თეორია (world culture Theory), ისევე, როგორც ტერმინი „გლობალიზაცია“, ამერიკელი სოციოლოგის რ. რობერტსონის სახელს უკავშირდება. აღნიშნული თეორიის მიხედვით, გლობალიზაციის ბუნების კვლევისას პრიორიტეტი ენიჭება კულტურას. ძირითად საკითხად მიიჩნევა ის, თუ როგორ შეუძლია გადარჩენა გლობალური კულტურის ფორმირების პირობებში ინდივიდსა და ეროვნულ იდენტურობას (Nettl S., Robertson R., 1968; Robertson R., 1991,1992).

მსოფლიო მმართველობის თეორიაში (world polity theory) გლობალიზაცია განიხილება როგორც საყოველთაო ფასეულობათა ზრდა და მათი

ყველგან კანონიერი ძალით დამკვიდრება (Korten, 1987). მსოფლიო მმართველობის აღმნიშვნელია მრავალფეროვან კონფლიქტურ და დეცენტრალიზებულ მსოფლიოში გლობალიზაცია უზრუნველყოფს აზროვნებასა და მოქმედების საერთო მოცულებას. საყოველთაო მმართველობის საფუძველს შეადგენს რაციონალური ფასეულობები (Boll S., Thomas G., 1997; Meyer S., 1980; Meyer S., Boll S., Thomas G., Ramirez F., 1997).

მსოფლიო სისტემათა თეორიას (world systems theory) საფუძველი ჩაეყარა 1970-იან წლებში ი. ვალერსტაინის შრომებით. აღნიშნული თეორია გლობალიზაციას განიხილავს როგორც კაპიტალიზმის გავრცელების პროცესს მოცულ მსოფლიოში, რომელიც გრძელდება რამდენიმე საუკუნის განმავლობაში და დასრულდა XX ს.-ის ბოლოს. მისი მომხრეები თანამედროვე ეპოქის შინაარსს ხედავენ გლობალური მოცულობის არსებობის სისტემაში – მსოფლიო კაპიტალიზმური ეკონომიკიდან – სხვა, გლობალურ სისტემაზე გადასვლაში, რომლის მახასიათებლები ჯერ კიდევ არაა განსაზღვრული (Wallerstein I., 1974a, 1974b, 1989, 1995).

გლობალური კაპიტალიზმის თეორიის (global capitalism theory) მომხრეები გლობალიზაციას მიაკუთვნებენ არა მარტო გლობალური ტრანსნაციონალური კაპიტალის მფლობელ ეკონომიკურ ძალებს, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც. (მაგალითად, მსოფლიო ბანკი, სსფ). აგრეთვე, სახელმწიფო ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, რომელიც სახელმწიფო კაპიტალს ემყარება. გლობალურ პოლიტიკურ ელიტას ისინი მიაკუთვნებენ გაეროს, არასახელმწიფო ორგანიზაციებს, გლობალურ საქმიან ორგანიზაციებს, მსო-ს, პოლიტიკურ პარტიებს. აგრეთვე, ინტეგრაციულ დაჯგუფებებს (მაგალითად, ევროკავშირს), რომლებიც განიხილება როგორც ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ტრანსეროვნული სახელმწიფოები (Ross R., Trachte K., 1990; Sklair L., 1995; Sameson F., Miyoshi. M., (eds.) 1998).

ქსელური საზოგადოების თეორიაში გლობალიზაცია ინფორმაციული საზოგადოების კონტექსტში შეინაველება, „ტექნოლოგიური“ მიდგომის საფუძველზე, რასაც ე. კასტელის ტექნოლოგიური პროგრესის კანონზომიერებები ხსნიან. მას მიაჩნია, რომ კაპიტალიზმს სისტემაში, თავისი უპირატესობების გამოყენებით „ინფორმაციული კაპიტალიზმის“ მოდელი შექმნა, რომელიც ქსელური საზოგადოების თეორიაში განიხილება, როგორც „ახალი ეკონომიკა.“ მისთვის დამახასიათებელია

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



1512-4649
2667-9752

შემდეგი ნიშნები: არის ინფორმაციული, ანუ ცოდნაზე დაფუძნებული; გლობალურია, რადგან ნარმოება, რომელიც დაფუძნებულია ახალ ტექნოლოგიებზე, გლობალურ ხასიათს ატარებს; ის არის ქსელური, რადგან გლობალური ქსელების წყალობით ფუნქციონირებს, რომელიც ურთიერთქმედებას უზრუნველყოფს.

ქსელური საზოგადოების თეორია გლობალურ ეკონომიკას განსაზღვრავს, როგორც სისტემას, რომელსაც შეუძლია იმუშაოს ერთიანი მთლიანის სახით, პლანეტარულ დონეზე. ეს სისტემა მოიცავს გლობალურ ფინანსურ და სასაქონლო ბაზრებს, საერთაშორისო სანარმოო სისტემების გაფართოებას, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების გაფართოებას. მისი ძირითადი სუბიექტი არის „ქსელური სანარმო“, რომელიც განსხვავდება ტრადიციული იერარქიული სტრუქტურებისგან. ქსელური საზოგადოების თეორიის მიხედვით, გლობალურ ინფორმაციულ ეკონომიკაში, მოქნილმა საერთაშორისო ქსელებმა, რომლებიც კომპანიებისა და მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების ურთიერთქმედებას უზრუნველყოფენ, გვიანტური ტრანსნაციონალური კორპორაციების მოქველებული ცენტრალიზებული სტრუქტურები უნდა შეავიწროვოს (Manuel Castells, 2010).

ცალკე აღებული თეორიები გლობალიზაციის გამოვლინების კონკრეტული ფორმებია. ყველა ზემოაღნიშნული მიდგომა გლობალიზაციის განსაზღვრულ მხარეს ასახავს და ამ გაგებით, ჭეშმარიტია და სასარგებლო. ყველა მათგანის გარეშე სინამდვილეს სწორად ვერ გავიგებთ, არ გვეცოდნება, რა განსაზღვრავს ეპოქის მაჯისცემას, როგორ უნდა ვიმოქმედოთ, რომ ქვეყნისთვის, თითოეული ადამიანისთვის სიკეთე და კეთილდღეობა მოგვექონდეს.

გლობალიზაციის პროცესების განვითარებამ 21-ე საუკუნეში, მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის განმტკიცების ახალი ტენდენციის ჩამოყალიბება განაპირობა, რაც ახალ შესაძლებლობებსა და საფრთხეებს ნარმოშობს.

გლობალიზაციის შესაძლებლობებისა და საფრთხეების გამოსავლენად, მნიშვნელოვანია მისი წყაროების ანალიზი. გლობალიზაციის წყაროებია: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი; მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაცია; ტრანსნაციონალიზაცია; საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა; კულტურული ტრადიციების გაერთიანება.

მსოფლიო ეკონომიკასთან დამოკიდებულებებში გლობალიზაცია ვლინდება, როგორც: ფრმამათა და

ინდივიდთა მზარდი ჩართულობა საერთაშორისო ვაჭრობასა და ინვესტიციებში; კაპიტალის ნაკადთა ზრდა, სამუშაო ძალის მიგრაცია; მრავალეროვნული კორპორაციების გავლენის მასშტაბები; ტექნოლოგიათა სტანდარტიზაცია; ცვილილებათა და ახალ იდეათა სწრაფი გავრცელება. (Gvelesiani, & Veshapidze, 2016a; Veshapidze, 2017; Veshapidze, & Zoidze, 2021; 2022a, 2022b; Veshapidze, at all 2015, 2021, 2022).

გლობალიზაციის აღნიშნული გამოვლინებები იმის მაჩვენებელია, რომ საზოგადოებები და ქვეყნები სულ უფრო და უფრო ინტეგრირებული ხდება. გლობალიზაცია მოიცავს კაცობრიობის ცხოვრების ყველა სფეროს. ეკონომიკაში იგი პოვებს ასახვას შემდეგ პროცესებში: საერთაშორისო ვაჭრობა იზრდება ნინმსწრები ტემპებით მპმ (MBP)-ის ზრდასთან შედარებით; მომდინარეობს კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის მნიშვნელოვანი ზრდა, განსაკუთრებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების; შეინიშნება ეკონომიკური ბარიერების შესუსტება ქვეყნებსა და მათ სუვერენიტეტებს შორის საერთაშორისო შეთანხმებების ზრდასთან დაკავშირებით, რაც საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნას განაპირობებს; ხდება გლობალური ფინანსური სისტემის განვითარება; იზრდება მსოფლიო ეკონომიკის წილი, რომელიც იმყოფება მრავალეროვნული კორპორაციების კონტროლქვეშ; იზრდება ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების როლი, როგორებიცაა: მსო (BTO), მსოფლიო ბანკი, სსფ (MBF), საერთაშორისო ვაჭრობის განხორციელებაში; საერთაშორისო შრომის დანაწილების გაღრმავებამ ნარმოების ფრაგმენტაციის ფორმით განაპირობა მრავალეროვნული სანარმოების მიერ ბიზნესის ნარმოების ახალი მეთოდების გამოყენების ზრდა, ისეთების, როგორიცაა, მაგალითად, აუტსორსინგი (გარეშე წარდი).

ქვეყნის ეკონომიკაზე გლობალიზაციის ზეგავლენის აკოსთები აისახება გლობალისტების და ანტიგლობალისტების შეხედულებებში.

გლობალისტები პოზიტიურ მხარეებზე საუბრისას ხაზს უსვამენ გლობალიზაციის როლს ინტეგრაციის გზით ერებსა და სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვ. კავშირების გაღრმავებასა და განხორციელებაში. ეკონომიკური ასპექტით გლობალიზაციას, რაც გულისხმობს მსოფლიოს თავისუფალი ბაზრის შექმნას, უდავოდ მრავალი სიკეთის მოტანა შეუძლია თითოეული ქვეყნის ეკონომიკისათვის: ხელმისაწვდომს ხდის კაპიტალს, ტექნოლოგი-

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



ეკონომიკური
კვალიფიკაცია

ებს, უფრო იაფ იმპორტსა და გაცილებით ფართო საექსპორტო ბაზრებს; აადვილებს, აიაფებს და აჩქარებს საერთაშორისო ეკონომიკურ გარიგებათა განხორციელებას; კონკურენცია საშუალებას აძლევს ქვეყნებს ძალისხმევა მოახმარონ იმას, რაც მათ უკეთესად გამოსდით.

ანტიგლობალისტების აზრით, გლობალიზაცია ხელს უწყობს ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითარსებობისა და თვითმყოფადობის შესუსტებასა და ნივთიერება-გაერთსახოვნებას, რადგან: საერთაშორისო ორგანიზაციები აჩარბებენ თვინათ უფლებამოსილებებს, ხელს უწყობენ კულტურათა არასასურველ აღრევას უნივერსალური ნორმების შექმნით; გლობალიზაცია შეიცავს გლობალური მონოპოლიზმის სტიქიური საბაზრო ურთიერთობების და აქედან გამომდინარე, არასამართლიანი კონკურენციის წარმოშობის საფრთხეს; საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით ხდება ეკონომიკური პროცესების ეფექტიანი, გლობალური, ზეეროვნული რეგულირება.


საქართველოს ეკონომიკაზე გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციის ზეგავლენის შესაფასებლად, ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსი მნიშვნელოვანი წყაროა. ინდექსის თანახმად, საქართველო გლობალიზაციის დონით მსოფლიოში 53-ე ადგილზეა 71.4 ქულით, ცალკე აღებული ეკონომიკური გლობალიზაციით კი მას 22-ე ადგილი

უჭირავს. გლობალიზაციის საერთო დონით 55-ე ადგილი იმით არის განპირობებული, რომ სოციალური გლობალიზაციით საქართველო 73-ე ადგილზეა, ხოლო პოლიტიკური გლობალიზაციით 125-ე ადგილზე. გასულ წელს საქართველოს გლობალიზაციის ქულა 0.2-ით მაღალი, 71.6 იყო. საქართველოს ეკონომიკურ გლობალიზაციაში 100-დან 81.5 ქულა აქვს. ეკონომიკური გლობალიზაციის კომპონენტებში - საერთაშორისო ვაჭრობაში 84.3 ქულა აქვს, ხოლო ფინანსურ გლობალიზაციაში - 78.7. საქართველო მაღალ პოზიციას საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალური პოლიტიკა და უცხოური კაპიტალის თავისუფლად შემოსვლის შესაძლებლობა განაპირობებს.

პოლიტიკურ გლობალიზაციაში საქართველოს 100-დან 59.4 ქულა აქვს, შედარებით დაბალ ქულას მნიშვნელოვნად განაპირობებს ის ფაქტი, რომ საქართველოში ბევრი ქვეყნის საელჩო არ არის და პირიქით, საქართველოს საელჩოები ბევრ ქვეყანაში არ არის.

სოციალურ გლობალიზაციაში საქართველოს 100-დან 73.4 ქულა აქვს. საქართველოს მაღალი ქულები აქვს ტურიზმში, ემიგრანტების რაოდენობაში, ფულად გზავნილებში, მაგრამ დაბალი ქულები აქვს საერთაშორისო აეროპორტების რაოდენობაში, სამოქალაქო უფლებებში, ჰუმანურ კაპიტალსა და პერსონალური მომსახურებით ვაჭრობაში. ნული

საქართველოს პოზიცია გლობალიზაციის ინდექსში, ადგილი



წყარო: ციურისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, გლობალიზაციის ინდექსი

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



ქულა აქვს „იკეას“ მალაზიების არსებობაში, რადგან ეს ცნობილი შევედური ბრენდი საქართველოში ჯერ არ შემოსულა.

ქვეყნის გლობალიზაციის დონე გვიჩვენებს, რამდენად არის ქვეყანა ინტეგრირებული მსოფლიოში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კუთხით. გლობალიზაციის მაღალი დონე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ხელშეწყობა ფაქტორად მიიჩნევა.

მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის განმტკიცების თანამედროვე ტენდენციის მოქმედების შედეგად წარმოიშობა ახალი შესაძლებლობები: პირველი, ტერიტორიითა და მოსახლეობით მცირე ქვეყნისთვის გლობალურ, საერთაშორისო ბაზრებთან ინტეგრირება ძალიან მნიშვნელოვანია. ეს იძლევა საშუალებას, მენი ეკონომიკის საზღვრები ქვეყნის ფიზიკურ საზღვრებთან არ სრულდებოდეს, წარმოებული პროდუქციის მომხმარებელი მხოლოდ საკუთარი, მცირერიცხოვანი მოსახლეობა არ იყოს. მეორე, საერთაშორისო ვაჭრობა ქვეყანას აძლევს საშუალებას, გამოიყენოს ე.წ. შედარებითი უპირატესობა, ანუ სხვა ქვეყნიდან შემოიტანოს (იმპორტი) ის საქონელი და მომსახურება, რისი წარმოებაც ქვეყნის შიგნით უფრო ძვირია, ვიდრე საზღვარგარეთ, და პირიქით, სხვა ქვეყნებში გაიტანოს (ექსპორტი) ის საქონელი და მომსახურება, რომლის წარმოებაც თვითონ უფრო იაფი უჯდება, ვიდრე სხვა ქვეყნებს. საბოლოო ჯამში, ქვეყანა იგებს როგორც ექსპორტიდან, ასევე იმპორტიდან. მარტივად რომ ვთქვათ, ვყიდულობთ იაფად და ვყიდით ძვირად. ეს კი ზრდის მოსახლეობის დანაზოგებს, რაც ინვესტირებისა და ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა.

გლობალიზაციის თანამედროვე რეალობა ასევე წარმოშობს ახალ პრობლემებს, რაც განპირობებულია კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებით, სამუშაო ძალის მიგრაციით, ლეგალური და არალეგალური მიგრაციული ნაკადების სწრაფი ზრდით, პოლიტიკურ დეზინტეგრაციით.

2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით - „ჩვენი სამყარო გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. ეს დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას. მდგრადი განვითარების მიზნები (SDG) და ამოცანები გლობალური ბუნების და უნივერსალური გამოყენებისა არიან, რადგან ითვალისწინებენ განსხვავებულ ეროვნულ თვისებებს, შესაძლებლობებს და განვითარების

დონეს და პატივს სცემენ ეროვნულ პოლიტიკას და პრიორიტეტებს. ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი არ არიან - მათი განხორციელება ინტეგრირებულად უნდა მოხდეს. ახალი მიზნები ორიენტირებულია მდგრადი განვითარების სამართიერთადაკავშირებულ ელემენტზე - ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა მნიშვნელოვანი მიზნებია: ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერჯის საყოველთაო ხელმისაწვდომობა; სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის; მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიული ზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა; ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის უთანასწორობის შემცირება.

დღევანდელ პირობებში, გლობალური ეკონომიკა ეროვნული უსაფრთხოების ახალ ეპოქაში შეიქცა. COVID-19 პანდემიამ ცხადი გახადა დაუცველობა, რომელიც გამოწვეულია უკიდურესი დამოკიდებულებით მიწოდების გლობალურ ჯაჭვზე და გლობალურ ჯანმრთელობის რისკებთან ბრძოლის კოორდინაციის არარსებობაზე. მაგრამ რამაც ყველაზე მეტად გვაშინოვს ეს ახალ ეპოქა, ეს არის უკრაინის კრიზისი, მსოფლიო ეკონომიკის საბოტაჟი, სასურსათო ომი და ენერგეტიკული ომი. გარდა ადამიანური და ეკონომიკური დანაკარბებისა, უკრაინის ომმა მკვეთრად გააძლიერა უთანხმოება დასავლურ და აღმოსავლურ გეოპოლიტიკურ ბლოკებს შორის, რომელიც, შეიძლება ითქვას შემოკრებილია, შესაბამისად შეერთებული შტატების და ჩინეთის ირვლევ. (Papava, 2016, 2018, 2020a, 2020b, 2021, 2022a, 2022b).

თანამედროვე მსოფლიოში, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, დამოკიდებულია როგორც საშინაო, ასევე საგარეო ფაქტორებზე. ამიტომ, თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობებში, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, საქართველოს მდგრადი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ის ხელს უწყობს სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებას, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის, სამრეწველო გამოცდილების გაცვლას, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების და საქონლითა და სერვისებით

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



მსოფლიო ვაჭრობის დაჩქარებულ განვითარებას.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მთავარი მიზანია მსოფლიო თანამეგობრობისის ერობლივი ეკონომიკური პოტენციალის უპირატესობების მაქსიმალური გამოყენება. ამავდროულად, აუცილებელია გავაცნობიეროთ, რომ ქვეყნები ამ პროცესში სხვადასხვა როლს ასრულებენ და ნებისმიერი ქვეყნის ან მისი ცალკეული რეგიონის საერთაშორისო მნიშვნელობა ემყარება არსებულ ბუნებრივი რესურსებს, ეკონომიკური განვითარების დინამიკას, მის ადგილს საქონლისა და მომსახურების ნარმოების მსოფლიო სისტემაში და ფინანსური რესურსების არსებობას, მის ხელმისაწვდომობას.

საქართველო, აქტიურადაა ჩართული მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობაში, ზრდის საექსპორტო პოტენციალს, აფართოებს ეკონომიკურ თანამშრომლობას მსოფლიოს ქვეყნებთან. ქვეყანას გაცნობიერებული აქვს ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობების დამყარება რუსეთის ფედერაციასთან, ევროკავშირთან და ევროპიდ დანარჩენ ქვეყნებთან, აშშ-სთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, თურქეთთან, ჩინეთთან, ყაზახეთის და შუა აზიის რესპუბლიკებთან, იაპონიასთან, აზიისა და ოკეანეთის სხვა ქვეყნებთან, აღმოსავლეთის რეგიონისა და აფრიკის ქვეყნებთან, ლათინური ამერიკის ქვეყნებთან, კანადასთან სრულიად მსოფლიო თანამეგობრობასთან, რომელიც არის საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირების მიზნით ურთიერთიმქმედი სუბიექტების ერთობლიობა.

დასკვნა

გლობალური მსოფლიოს ახალი მოვლენების სისტემური გააზრება აუცილებელია საქართველოს მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობაში ინტეგრაციისთვის. ამიტომ მნიშვნელოვანია პერმანენტულად გამოვარკვით თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური სივრცის გლობალური პროცესების თანმდევი ტენდენციები და მათი გავლენა ჩვენი ქვეყანაზე. მნიშვნელოვანია შეფასდეს, საით მიემართება საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს სამომავლო განვითარება, რა გზებით შეიძლება ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებისა და კეიობდღეობის უზრუნველყოფა, რა არის მისი

პრიორიტეტები, როგორია ქვეყნის განვითარების საგარეო ორიენტრები.

მსოფლიო ეკონომიკის დინამიური განვითარების შედეგად, ახალ ათასწლეულში გლობალიზაციის ხასიათი შეიცვალა. მასზე გადამწყვეტი ზეგავლენა იქონია COVID-19 პანდემიის გლობალურმა გავრცელებამ და რუსეთის აგრესიამ უკრაინაში, რასაც ეკონომიკური აგენტების უმეტესობის ქცევაში მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ცვლილებები მოსდევს. შედეგად, ახალი რეალობა ერთ-ერთ მთავარ ტენდენციად უნდა ჩაითვალოს, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის ამჟამინდელ განვითარებას განსაზღვრავს. გამოიკვეთა მრავალპოლარული მსოფლიო ნუსრდის განხილვის ტენდენცია. გაჩნდა ახალი ტენდენციები საქონლის, მომსახურების, კაპიტალის და სამუშაო ძალის საერთაშორისო მოძრაობაში, ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ბაზარზე, მიწოდების გლობალური ჯაჭვებში, დიგიტალიზაციის ზეგავლენის ზრდაში. (Bedianashvili, 2021, 2023; Bedianashvili at all, 2021; Silagadze, at all, 2022).

საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონე, მნიშვნელოვნად დამოკიდებული ხდება არა მსოფლიოს ერთ მთავარ პოლუსზე, არამედ მსოფლიოს ყველა დიდ და პატარა სახელმწიფოებთან, მთლიანად მსოფლიო თანამეგობრობასთან, ეკონომიკურ გაერთიანებებთან ურთიერთკავშირის ხარისხზე.

საქართველო ბოლო წლებში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ეკონომიკის, სოციალური, საგარეო-პოლიტიკური, დემოკრატიის მშენებლობისა და სხვა მიმართულებებით. ამასთანავე, კორონავირუსის პანდემიამ და უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესიამ მსოფლიო და საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა, რაც გლობალური კრიზისით არის განპირობებული. ამ მოვლენებმა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე უარყოფითად იმოქმედა. ახალი რეალობა პრობლემებთან ერთად, ახალ შესაძლებლობებს ქმნის. ტექნოლოგიების განვითარებისა და გლობალური კონკურენციის ახალ პირობებში საკუთარი პოტენციალის მაქსიმალური გამოყენებით შესაძლებელია ქვეყნის წინაშე წარმოშობილი გამოწვევების წარმატებით დაძლევა.

შენიშვნა:

სტატია გამოქვეყნებულია V რეგული სამეცნიერო კონფერენციის - „საქართველოს ეკონომიკის პოზიციონირება კონფერენტული გლობალიზაციის პირობებში“ - კრებულში, თბ. 2023.



MODERN APPROACHES AND CHALLENGES OF MANAGERIAL ACCOUNTING

Copyright © 2023 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: September 99, 2023
Published: September 29, 2023
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC18032023-57



Salome Akhvediani

PhD Student in Business Administration; Tbilisi State University
Invited Lecturer at Business and Technology University
ORCID-ID: 0009-0005-6602-5280
E-mail: salome_akhvediani@yahoo.com
Tel: (+995) 571 100 600

ABSTRACT

The article discusses modern approaches and challenges of managerial accounting. In the conditions of the market economy, modern global approaches to managerial accounting of operational processes play a special role in the process of perfect functioning of the company. Today, when overcoming the financial crisis is an urgent problem, it is necessary to form a management accounting system adapted to the strategy.

The relevance of the study of managerial accounting issues is also indicated by the fact that in the conditions of growing competition, it is necessary to develop certain standards and management methods.

In the process of strategic decisions, such as the expansion of the company, the development of policies to improve the financial situation and sustainability, it is impossible to achieve without having a perfect management accounting system.


Using management accounting techniques, it is possible to reduce costs, increase revenues, improve operational management and control of the organization. It provides an objective view of organizational performance and helps companies make effective decisions based on accurate information.

Key words: managerial accounting, effective management, modern approaches to managerial accounting.

REFERENCES:

1. Akhvediani S., Financial ratios and key performance indicators for hotel operations. Jur. "The New Economist", vol., (1, 2021), p. 88-94
2. Bauchadze B., Evolution of management accounting, Jur. "Economic profile", 1(23), 2022, p. 74-83
3. Management Accounting (2019) ACCA Handbook, Book F2. international practice. Translation into English, Tbilisi
4. Chiladze, I., Management accounting, fifth revised edition, "Meridian" publishing house, 2018, 413 p.
5. Charles T. Horngren, Srikant M. Datar, Madhav V. Rajan, Cost Accounting, Global Edition, England, 2012
6. Paper F9 Financial Management, ACCA, 2019
7. Sturman, M., Corgel, J., The Cornell School of Hotel Administration on Hospitality, "John Wiley & Sons, Inc", New Jersey, 2011.
8. American Hotel & Lodging Educational Institute <https://www.ahlei.org/resources/uniform-system-of-accounts-for-the-lodging-industry/> (last accessed 30.09.2023).
9. Chron – Small Business Accounting <https://smallbusiness.chron.com/modern-management-accounting-techniques-67384.html> (last accessed 09/28/2023).

THE NEW ECONOMIST / სახალხო მეცნიერებათა



- 10. Corporate Finance Institute (CFI)
<https://corporatefinanceinstitute.com/resources/accounting/managerial-accounting/> (last accessed 28.09.2023).
- 11. Innovation BRO – Accounting and Finance Service
<https://innovationinc.com/the-3-accounting-systems-cost-managerial-and-financial-accounting/> (last accessed 28.09.2023).
- 12. Health Finance & Governance
<https://www.hfgproject.org/management-ac->

- counting-systems-hospitals-mash-manual/ (last accessed 30.09.2023).
- 13. Microsoft official page
<https://powerbi.microsoft.com/en-us/> (last accessed 30.09.2023).
- 14. The Essay Writing Experts - Future Developments in Management Accounting
<https://www.ukessays.com/essays/accounting/future-developments-in-management-accounting.php> (last accessed 28.09.2023).

მენეჯერული აღრიცხვის თანამედროვე მიდგომები და გამოწვევები

სალომე ახვლედიანი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი
 ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მონვეული ლექტორი
 ORCID-ID: 0009-0005-6602-5280
 ელ-ფოსტა: salome_akhvlediani@yahoo.com
 ტელ: (+995) 571 100 600

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია მენეჯერული აღრიცხვის თანამედროვე მიდგომები და გამოწვევები. თემის აქტუალობას განაპირობებს სხვადასხვა მიზეზი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, კომპანიის სრულყოფილი ფუნქციონირების პროცესში განსაკუთრებულ როლს თამაშობს საოპერაციო პროცესების მენეჯერული აღრიცხვის თანამედროვე გლობალური მიდგომები. დღეს, როცა აქტუალური პრობლემაა ფინანსური კრიზისის დაძლევა, აუცილებელია სტრატეგიაზე მორგებული მენეჯერული აღრიცხვის სისტემის ფორმირება. მენეჯერული აღრიცხვის საკითხების კვლევის აქტუალობაზე ასევე მიუთითებს ის, რომ მზარდი კონკურენციის პირობებში, აუცილებელია გარკვეული სტანდარტებისა და მართვის მეთოდების შემუშავება. სტრატეგიული გადაწყვეტილებების პროცესში, როგორცაა კომპანიის ვაჭართობა, ფინანსური მდგომარეობის და მდგრადობის გაუმჯობესების პოლიტიკის შემუშავება, სრულყოფილი მენეჯერული აღრიცხვის სისტემის არსებობის გარეშე მიღწევა შეუძლებელია. მენეჯერული აღრიცხვის ტექნიკის გამოყენებით შესაძლებელია ხარჯების შემცირება, შემოსავლების ზრდა, ორგანიზაციის საოპერაციო მართვისა და კონტროლის გაუმჯობესება. ის უზრუნველყოფს ორგანიზაციული საქმიანობის ობიექტურ ხედავას და ეხმარება კომპანიებს, მიიღონ ეფექტური გადაწყვეტილებები ზუსტი ინფორმაციის საფუძველზე. **საკვანძო სიტყვები:** მენეჯერული აღრიცხვა, ეფექტიანი მართვა, მენეჯერული აღრიცხვის თანამედროვე მიდგომები.

შესავალი

მენეჯერული აღრიცხვა აერთიანებს ფინანსური აღრიცხვიდან, ხარჯთაღრიცხვიდან, ბიუჯეტირების პროცესიდან და გადახრების ანალიზიდან მიღებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფს მენეჯმენტს ორგანიზაციის ტაქტიკური თუ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო სააღრიცხვო

ინფორმაციით. ფინანსური აღრიცხვისგან განსხვავებით, რომელიც ძირითადად კონცენტრირებულია კომპანიის ფინანსური ოპერაციების კოორდინაცია-სა და ანგარიშგებაზე გარე მომხმარებლებისთვის, მენეჯერული აღრიცხვა ორიენტირებულია შიდა ანგარიშგებაზე, რათა დაეხმაროს მენეჯმენტს მომგებიანი გადაწყვეტილებების მიღებაში. [10]

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



ძირითადი ტექსტი

მენეჯერული აღრიცხვის ფუნქციასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს: მეცნიერების ერთი ნაწილი მენეჯერულ აღრიცხვას ადგიერფიციენტურად წარმოუბნის აღრიცხვასთან და ხარჯების აღრიცხვასთან. მეორე ნაწილი თვლის, რომ მენეჯერული აღრიცხვა ბუღალტრული აღრიცხვის ქვესისტემაა. მესამე ნაწილი თვლის რომ მენეჯერული აღრიცხვა ერთიანებას ბუღალტრულ აღრიცხვას, ანალიზს, დაგეგმვას, კონტროლს და ა.შ. [2]

მრავალი უცხოელი ავტორის მიერ (კაბლანი, ატიკინსონი, გარისონი და სხვები) მომზადებულ მენეჯერული აღრიცხვის ნივნებში, გარდა წარმოების დანახარჯების კლასიფიკაციის, მათი აღრიცხვის ხერხების, პროდუქტის (მომსახურების) ერთეულის თვითღირებულების კალკულაციის მეთოდების, პრინციპებისა და ტექნიკისა, განხილულია წარმოების მართვისა და ორგანიზაციის საკითხები, როგორც: დანახარჯებისა და მოგების დაგეგმვა, კაპიტალდაბანდების დაგეგმვა, მოგება/ზარალის და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზი, ინდექსები და სხვ. ამდენად, გაერთიანებული აღრიცხვის, დაგეგმვის და ფინანსური ანგარიშგების ანალიზის საკითხები. [4]

დღესდღეობით მენეჯერული აღრიცხვის მიმართულებით მუშავდება სხვადასხვა ტექნიკები, მიდგომები და მეთოდები პოულარული ხდება. მენეჯერული აღრიცხვა ფასდება როგორც მეცნიერებისა და საქმიანობის პრაქტიკული სფეროს ერთობლიობა. ბიბლიოგრაფიული კვლევისა და ემპირიული მასალების ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ მენეჯერულ აღრიცხვას აქვს თავისი მიზანი, საგანი, ობიექტები, ამოცანები და პრინციპები, რაც განასხვავებს მას ბუღალტრული აღრიცხვისგან. [2, გვ.80]

მიუხედავად იმისა, რომ მენეჯერული აღრიცხვის საფუძვლები არ შეცვლილა ბოლო 100 წლის განმავლობაში, თანამედროვე გლობალურმა ცვლილებებმა გამოიწვია მეტი ტექნოლოგიების ჩართვა მენეჯერული აღრიცხვის მიმართულებით. დღესდღეობით მონაცემთა აღრიცხვის მიზნით გამოიყენება სხვადასხვა პროგრამული ხელსაწყოები, როგორცაა Cloud ERP, SAP. საერთაშორისო პრაქტიკა აღრიცხვის შედეგების წარდგენა და ვიზუალიზაცია BI (Business Intelligence) პლატფორმის გამოყენებით, რომელიც Microsoft-ის პროდუქტია და მონაცემთა ვიზუალიზაციის, ავტომატიზაციისა და ინტერაქტიულობის გამოყენება, ამასთანავე,


რეალურ დროში აჩვენებს სააღრიცხვო მონაცემებს და მომენტალურად არის შესაძლებელი გადახრების ანალიზი, შედეგების შეფასება.

თანამედროვე მენეჯერული აღრიცხვის მიდგომები ეფუძნება არა მხოლოდ ფინანსურ შედეგებს, არამედ ითვალისწინებს მომხმარებელთა კმაყოფილების დონეს, რამდენად კარგად ასრულებს კომპანია სტრატეგიულ მიზნებს. გამოართული სააღრიცხვო სისტემები უზრუნველყოფს შესრულების ძირითადი მაჩვენებლების (Key Performance Indicators - KPI) შემუშავებას. KPI შეიძლება გამოყენებულ იქნას მთელი კომპანიის, მისი ინდივიდუალური განყოფილებისა და კონკრეტული თანამშრომლების მუშაობის შესაფასებლად. ამ სისტემის გამოყენებით შესაძლებელია არა მხოლოდ შესრულებული ქმედებების ეფექტურობის შემოწმება და შეფასება, არამედ ეფექტური მართვის სისტემების შექმნა. [1] აქტივობაზე დაფუძნებული მენეჯერული აღრიცხვა არის შედარებით ახალი მიდგომა მენეჯერული აღრიცხვის მიმართ. ორგანიზაციის ხარჯები გაანალიზებულია მისი სხვადასხვა აქტივობების მიხედვით და ჩაშლილია დეპარტამენტებისა და განყოფილებების დონეზე, ე.წ. პასუხისმგებელი ცენტრების მიხედვით. [7]

საქართველოში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება მომსახურების სფეროს მენეჯერული აღრიცხვის სისტემა. ამასთანავე, მომსახურების სფეროში მენეჯერული აღრიცხვის საკითხების მწირი კვლევები და მასალები არსებობს, სამეცნიერო ნაშრომებში ძირითადი აქცენტი გადატანილია ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებზე. მენეჯერული აღრიცხვის თემატიკიდან ძირითადი კვლევები ეთმობა წარმოების სფეროს, ნაკლები კვლევები მომსახურების სფეროს მიმართულებით და კიდევ უფრო იშვიათია შერეული წარმოება-მომსახურების მიმართულებით.

საქართველოში მომსახურების სექტორში მოღვაწე კომპანიებს არ აქვთ შემუშავებული მენეჯერული აღრიცხვის ერთიანი სისტემები, რომლებიც აპრობირებულია მსოფლიოში. მაგალითად, როგორც არის განთავსების ინდუსტრიის აღრიცხვის ერთიანი სისტემა (USALI - Uniform System of Accounts for the Lodging Industry), საავადმყოფოების მენეჯერული აღრიცხვის ერთიანი სისტემა (MASH - Management Accounting Systems for Hospitals).

USALI წარმოადგენს მსოფლიოში აპრობირებულ აღრიცხვის ერთიან სისტემას სტუმარ-მასპინძლობის ინდუსტრიაში, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1926 წელს. ის სასტუმროს მფლო-



ბელებს, მენეჯერებსა და სხვა დანატრენებულ მხარეებს სთავაზობს საცხოვრებელი ინდუსტრიის საოპერაციო საქმიანობის აღრიცხვის მეთოდებს. დღესდღეობით მასზე საავტორო უფლება აქვს USALI-ს მთავარ კონტრიბუტორს დაარსების დღიდან, HPTP-ს (Hospitality Financial & Technology Professionals), რომელიც აერთიანებს მსოფლიო მასშტაბით სტუმარ-მასპინძლობის სფეროში მოღვაწე ფინანსური და ტექნოლოგიური განათლების მქონე პროფესიონალებს. [8]

MASH წარმოადგენს საავადმყოფოების მენეჯერთა აღრიცხვის ერთიან სისტემას. მისი განვითარება უკავშირდება იორდანის სახელმწიფო საავადმყოფოების სისტემას. MASH გამოიყენება სამედიცინო დანებებულების სერვისების, რესურსების, ხარჯების კონტროლისა და ანალიზისთვის. [12]

ერთიანი აღრიცხვის სისტემების შემუშავებას, რა თქმა უნდა, აქვს თავისი სირთულეები. სისტემის კომპანიაზე მორგების, დანერგვის, მონიტორინგისა და შეფასების პროცესი მოითხოვს დიდ დროს, ადამიანურ, ტექნიკურ და ფინანსურ რესურსს, თუმცა სარგებელი გაცილებით მაღალია. მენეჯმენტის ექვევა შესაძლებლობა გამოიყენონ ისტორიული ინფორმაცია, ფინანსური კოეფიციენტები და შესრულების ძირითადი მაჩვენებლები (KPI), რათა უკეთ გაიგონ, სად იყო ფირმა ფინანსურად, როგორ განვითარდა და რა შედეგებზე შეიძლება გავიდეს. მათ, ასევე, შეუძლიათ გააკეთონ უფრო დეტალური გამოთვლები, როგორცაა დისპერსიული და კორელაციური ანალიზი, ხარჯების მოცულობის, მოგების შეფასების ან გაყიდვების პროგნოზირებისთვის.

ბიზნესის სტრატეგიული გადაწყვეტილებების ფორმირების პროცესში მნიშვნელოვანია შედეგიანობის შეფასება და გადახრების ანალიზი. შედეგიანობის შეფასება ბიუჯეტების და მიზნების მონიტორინგია ფაქტობრივ შედეგებთან მიმართებაში, იმისთვის, რომ განისაზღვროს რამდენად კარგად ფუნქციონირებს კომპანია და მისი თანამშრომლები მთლიანობაში და ინდივიდუალურად. შედეგიანობის შეფასების მეთოდებიდან (ფინანსური, არაფინანსური, დაბალანსებულ მაჩვენებელთა სისტემა, ბენჩმარკინგი) დღესდღეობით მეტად აქტუალური ხდება ბენჩმარკინგის მეთოდის გამოყენება. ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ

ორგანიზაციის შედეგიანობის შეფასება მოხდება მისი პროდუქტების, მომსახურების, შედეგიანობისა და პრაქტიკის (გამოცდილების) შედარებით რომელიმე „საუკეთესო“ მაგალითთან. ბენჩმარკინგი კომპანიებს ეხმარება ისწავლონ სხვებისგან საკუთარი შედეგიანობის გასაუმჯობესებლად, მიიზიარონ კონკურენტული ზღვარი, გააუმჯობესონ მომსახურება და მიიღონ შეტყობინება ცვლილებების საჭიროებასთან დაკავშირებით. [3]

დასკვნა

ამრიგად, დღესდღეობით ჩამოსაყალიბებელია ახალი მეთოდები და მიდგომები, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება მენეჯერული აღრიცხვის თეორიული და პრაქტიკული საკითხების სინთეზი. ამისთვის, საჭიროა, ჩატარდეს მენეჯერული აღრიცხვის ეკონომიკური ხასიათისა და შინაარსის სრულყოფილი თეორიული საფუძვლების სიღრმისეული კვლევები. [2]

საქართველოში მომსახურების სფეროში მოღვაწე კომპანიებმა უნდა დანერგონ თანამედროვე მენეჯერული აღრიცხვის სისტემები, რომელიც ხელს შეუწყობს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას შიდა რეზერვების ძიებას, კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის გაუმჯობესებას. აღნიშნული სისტემის შემუშავება აუცილებელია ყველა დეპარტამენტისთვის, რათა დეტალურად, დეპარტამენტების დონეზე, გამოვლინდეს და შეფასდეს კომპანიის შინაგანი ფარული რეზერვები და მათ გამოსაყენებლად დასახულ იქნას ქმედითი ღონისძიებები.

ვფიქრობ, რომ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სტრუქტურებმა აუცილებლად უნდა შეისწავლონ მენეჯერული აღრიცხვის საკითხები, რადგან აღნიშნულის ცოდნის გარეშე თანამედროვე კონკურენტულ გარემოში ბიზნესის სტრატეგიული მიზნების განხორციელება წარმოუდგენელია. ამასთანავე, მნიშვნელოვანია მენეჯერული აღრიცხვის სწავლების პროცესი ეყრდნობოდეს პრაქტიკულ მაგალითებს. სტრუქტურებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ცოდნა მენეჯერული აღრიცხვის საკითხების პროგრამული აღრიცხვის და ვიზუალიზაციის მიმართულებით, როგორც ERP სისტემების საშუალებით, ისე Microsoft-ის პროდუქტების Excel-ისა და Power BI-ის გამოყენებით.

EFFECTIVENESS AUDIT IN THE STATE PROCUREMENT MANAGEMENT SYSTEM

Copyright © 2023 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: September 21, 2023
Published: September 29, 2023
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC18032023-61



Beka Patsatsia
PhD student at Sukhumi State University
ORCID-ID-0009-0004-5832-1066
E-mail:patsatsiabeka@yahoo.com

ABSTRACT

The article discusses the possibilities of efficiency audit in the field of state procurement of Georgia. Taking into account the competitive environment in the modern tender market, in order to ensure the fair and efficient use of budget funds, a special place in the management of public finances is occupied by the efficiency audit.

The purpose of the study is to analyze the state of competitiveness in the state procurement process in Georgia based on the efficiency audit and to evaluate its relationship with the decrease in the tender price. In order to achieve the set goal, in the process of the research, the author has processed the factors that affect such a dependent variable as - "decrease in price". A regression analysis has also been conducted to check the influence of independent factors.

Based on the necessity of competition in state procurement, the article also discusses the issues related to the challenges still existing in Georgia in this direction. At the same time, approaches are proposed that ensure the improvement of competition in the procurement process. The article highlights the importance of efficiency audit in the state procurement system, which is primarily a prerequisite for optimal use of state funds and effective management of the public management process.

Keywords: public procurement, efficiency audit, competitiveness price, SPA tender with reverse auction.

REFERENCES:

1. Drozd I., Pismenna M., et al. Audit Assessment of the Effectiveness of Public Procurement Procedures. Independent Journal of Management&Production (Special Edition ISE, S&P), Vol. 12, N. 3(2021);
2. Snopok A. Audit of efficiency of the Account Chamber of Russian Federation. Journal "Innovation and Investment", 2019;
3. Shmygol N. Modern approaches to public procurement efficiency audit. Приазовский экономический вестник, 2022;
4. SIGMA (2016), Audit of Public Procurement,

Brief 28, OECD Publishing;

5. Zdyrko N.H., Ostapchuk S.M. Analysis and State Audit of Public Procurement: The criteria of effectiveness. Облік і фінанси, №1 (87), 2020;
6. Jalagonia D.; Efficiency audit in the system of state financial control, Samtskhe-Javakheti State University is 25 years old; Inter-university scientific conference "Current problems of economy and business" 2015
7. Jalagonia D.; Efficiency audit as a mechanism for managing public finances; XII International Scientific Conference, Education and Economics, Wloclawek-Kaniewo (Poland), 21-24 May, 2015.



ეფექტიანობის აუდიტის სახელმწიფო შესყიდვების მართვის სისტემაში

ბეკა ფაცაცია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი,
ORCID-ID-0009-0004-5832-1066
ელ.ფოსტა: patsatsiabeka@yahoo.com

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ეფექტიანობის აუდიტის შესაძლებლობები საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში. თანამედროვე სატენდერო ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს გათვალისწინებით, საბიუჯეტო სახსრების სამართლიანად და ეფექტიანად გამოყენების უზრუნველსაყოფად, საჯარო ფინანსების მართვაში განსაკუთრებული ადგილი სწორედ, ეფექტიანობის აუდიტს უკავია.

კვლევის მიზანია ეფექტიანობის აუდიტის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების პროცესში საქართველოს კონკურენტული გარემოს მდგომარეობის ანალიზი და ტენდერის ფასის კლებასთან მისი კავშირის შეფასება. დასახული მიზნის მისაღწევად, კვლევის პროცესში ავტორს დამუშავებული აქვს ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ისეთ დამოკიდებულ ცვლადზე, როგორცაა - „ფასის კლება“. ჩატარებული აქვს აგრეთვე რეგრესიული ანალიზი დამოუკიდებელი ფაქტორების გავლენის შესამოწმებლად.

სახელმწიფო შესყიდვებში კონკურენციის აუცილებლობიდან გამომდინარე სტატიაში, ასევე, განხილულია საკითხები, რომლებიც უკავშირდება ამ მიმართულებით საქართველოში ჯერ კიდევ არსებულ გამოწვევებს. ამასთან, შეთავაზებულია მიდგომები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესყიდვების პროცესში კონკურენციის გაუმჯობესებას. სტატიაში გამოკვეთილია ეფექტიანობის აუდიტის მნიშვნელობა სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში, რაც უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო სახსრების ოპტიმალურად გამოყენებას და საჯარო შენეჯმენტის პროცესის ეფექტიანად მართვის საინდარია.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო შესყიდვები, ეფექტიანობის აუდიტი, კონკურენტუარეობის პრინციპი, SPA ტენდერი რევერსიული აუქციონი.

ძირითადი ტექსტი

საჯარო ფინანსები სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი წყაროა. სწორედ, მისი მემკვიდრეობით ხორციელდება ფინანსური რესურსების გამოყენება - მათი აკუმულირება, განაწილება და გადახანგრძობა. საჯარო ფინანსების გამოყენების ერთ-ერთი ასეთი სახეა საქონლის და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები, რომელიც სახელმწიფო სახსრების ხარჯვის სპეციფიკური ფორმაა და მოქმედებს სახელმწიფო საბიუჯეტო პოლიტიკის ინსტრუმენტის სახით, ამასთან, ფინანსური უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის მნიშვნელოვანი შემადგენელია და ხორციელდება ფინანსების განაწილებისა და კონტროლის ფუნქციების მეშვეობით.

დაკისრებული დანიშნულებიდან გამომდინარე, საჯარო ფინანსების რაციონალურად ხარჯვისა და კორუფციული გარიგებებისგან პრევენციის უზრუნველსაყოფად, აუცილებელი ხდება სახელმწიფო შესყიდვებზე წინასწარი მკაცრი კონტროლის საწესება.

სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიანი მართვა და მიზანდასახულობის საფუძვლიანი შემოწმება

სახელმწიფოს მიერ შესაძლებელია მხოლოდ მისი სოციალურ - ეკონომიკურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ფუნქციების შესრულების მუდმივი მონიტორინგითან ერთად ეფექტიანობის აუდიტის პროცედურების გამოყენებით. აღნიშნულ პროცესში, უპირველესად, იგულისხმება სახელმწიფო სუბიექტების მიერ სახელმწიფო შესყიდვების სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებაზე, წინასწარვე მათი ეფექტიანობისა და შედეგანობის განსაზღვრა.


საკითხის მნიშვნელობა და მისი სიღრმისყოფილი გააზრების აუცილებლობა, სახელმწიფო შესყიდვების საერთაშორისო სტატისტიკის მონაცემებით დასტურდება. 2018-2021 წ. მონაცემები ცხადყოფს, რომ სახელმწიფო შესყიდვების წილი მშპ-ში საკმაოდ დიდია და მისი გლობალური მაჩვენებელი საშუალოდ 11 %-ს უტოლდება. 2020 წლის მონაცემებით კი, სახელმწიფო შესყიდვებზე დანახარჯები მსოფლიო ბანკის მიერ შეფასებულია დაახლოებით 9,5 ტრლნ. აშშ დოლარის ღირებულებით (გრფ. 1). გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხე-

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



გრაფიკი 1

გლობალური სახელმწიფო შესყიდვების დინამიკა პროცენტულად მთლიან შიდა პროდუქტთან (%)



წყარო: www.worldbank.com; www.oecd-ilibrary.org; ავტორის გათვლები

ბის საბჭოსთან (ECOSOC) არსებული არასამთავრობო, ავტონომიური, დამოუკიდებელი უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციამ (INTOSAI-International Organization of Supreme Audit Institutions), რომლის წევრიც საქართველო გახდა 1992 წელს, შეიმუშავა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტები. ამ სტანდარტების მიხედვით ეფექტიანობის აუდიტი, როგორც სახელმწიფო ფინანსური კონტროლის შედარებით ახალი სახე, წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრების მართვის ისეთ მეთოდს, რომლის დახმარებითაც შეისწავლება ორგანიზაციებზე და დაწესებულებებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროგრამული დაფინანსებით გასაცემი ფულადი რესურსების ხარჯვის ეფექტიანობა.

აღნიშნული სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის სამ სახეობას, რომელიც ტარდება სახელმწიფო შესყიდვების დარგში (SIGMA, 2016):

- სასერტიფიკაციო აუდიტი - მიმართულია წარდგენილი ფინანსური და საბიუჯეტო ანგარიშების, მათში ასახული ოპერაციების, ფინანსური შედეგების, აქტივებისა და ვალდებულებების სისწორების, სისრულისა და საიმედოობის დასადასტურებლად;

- შესაბამისობის აუდიტი - ადგენს არაკანონიერად და შეცდომით გაფორმებულ ოპერაციებს. ამასთან, აფასებს, დაწესებულ საბიუჯეტო შეზღუდვების ფარგლებში თუ რამდენად შეესაბამება ფინანსური ჩანაწერები საკანონმდებლო მოთხოვნებს. ასეთი ტიპის აუდიტს საქმე აქვს საბიუჯეტო ოპერაციების ფორმალურ მხარესთან.

ზოგადად, შესაბამისობის აუდიტი მოიცავს

აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონიერებისა და მიზნობრიობის შემოწმებას, შეფასებას, აუდიტის ანგარიშის გაცემას;

ეფექტიანობის აუდიტი - ესაა აუდიტის ობიექტის საქმიანობის განმარტებული პროგრამების/პროექტების ეკონომიურობის, პროდუქტიულობის და ეფექტიანობის წინასწარი შემოწმება, შეფასება და შედეგებზე აუდიტის ანგარიშის გაცემა.

სახელმწიფო შესყიდვებში ეფექტიანობის აუდიტი მთლიანად ეფუძნება საბაზრო ლოგიკას და შესყიდვის ობიექტი ფასდება ეკონომიურობის, ეფექტიანობის და შედეგიანობის მიხედვით.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გვხვდება ეფექტიანობის აუდიტის სხვადასხვა განმარტება. ასე მაგალითად, აუდიტის მიზანი სახელმწიფო სახსრების გამოყენების ეფექტიანობის განსაზღვრა (Snopok A., 2019); ეფექტიანობის აუდიტი წარმოადგენს მმართველობით კომპონენტს, რომელიც მიიღწევა სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობის შემოწმება ფინანსური რესურსების ხარჯვასა და სახელმწიფო ქონების შენარჩუნებაზე (Shmygel N., 2022); ცალკეულ ავტორებს კი მაინაიათ, რომ ეფექტიანობის აუდიტით სახელმწიფო რესურსების ეფექტიანად მუშაობისა და ამ რესურსების ეკონომიკურად გამოყენების შეფასება და გარანტიების უზრუნველყოფა შესაძლებელი (Drozd I., Pysmenna M., 2021, et al.); არის მოსაზრება, რომ ეფექტიანობის აუდიტით საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის, სახელმწიფო ქონების მართვის პროცესის ეფექტიანობისა და ეკონომიურობის შეფასება შესაძლებელი (Zdyrko N., Ostapchuk S., 2020).

მიგვაჩნია, რომ ცალკეული ავტორების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებში ცალსახად არაა გა-

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



მოკვეთილი ეფექტიანობის აუდიტის განმარტებისადმი ერთიანი და მკაფიო მიდგომა. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს აუდიტის ზოგადი ეფექტურობის ჩამონათვალი, როგორცაა, მაგალითად, სახელმწიფო რესურსების და საბიუჯეტო სახსრების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება, არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი ფორმულირება, რომელიც უზრუნველყოფდა მის სრულ და ზუსტ დეფინიციას. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩამოვყალიბოთ ეფექტიანობის აუდიტის შემდეგი განმარტება: **სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიანობის აუდიტი არის სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის სისტემატური, ობიექტური და მიზნობრივი შემოწმება, რომლის მიზანია საბიუჯეტო რესურსების გამოყენების ეფექტიანობის, შედეგიანობის, ეკონომიურობის მიღწევა, მიმართულია სახელმწიფო მართვის პრაქტიკის გაუმჯობესებაზე, სახელმწიფო რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციაზე, სახელმწიფო შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფაზე.**

საქართველოში, ეფექტიანობის აუდიტის განხორციელების სამართლებრივ რეგულირება ხდება სხვადასხვა, მათ შორის: საქართველოს კანონებით: „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“; „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“; „საჯარო სამსახურის შესახებ“, სადაც ნათქვამია და მკაფიოდაა განსაზღვრული ეფექტიანობის, პროდუქტიულობის და ეკონომიურობის პრინციპების არსი შესაბამისი მუხებით.

ეფექტიანობის აუდიტთან დაკავშირებით სამეცნიერო წრეებში არსებული წინააღმდეგობრივი მიდგომების დაზუსტებისთვის მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის მიერ, ეფექტიანობის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 3000) საფუძველზე მომზადებულ სახელმძღვანელოს - „ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელო საქართველოს საჯარო სექტორის შიდა აუდიტორებისათვის“¹

საქართველოში, ეფექტიანობის აუდიტის შემოღება და დანერგვა, შედარებით ახალი მიმართულებაა. ამაზე მეტყველებს კვლევით მიღებული შედეგებიც, რომლის მიხედვითაც ეფექტიანობის აუდიტის პრინციპის დაცვა საჯარო პრაქტიკის ყველაზე ზუსტი ნერტილია. ამასვე ადასტურებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიში, რომლის მიხედვითაც საჯარო სექტორისთვის ეფექტიანობის აუდიტის შედეგად გატყვეული რეკომენდაციების შესრულებამ, 2023 წლის მონაცემებით შეადგენდა მხოლოდ 23 %-ი, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია

აუდიტის სხვა სახეობებთან შედარებით, პრობლემის აქტუალობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ეფექტიანობის აუდიტის რეკომენდაციების 70 %-ი ისეთი კატეგორიისაა, რომელიც დიდ ზეგავლენას ახდენს საჯარო სექტორში, მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებულ პროცესებზე. პრობლემის ერთ-ერთი მთავარი ქვაკუთხედი არის საჯარო ორგანოების მიერ ეფექტიანობის ცნების არასათანადო გააზრება, რის გამოც აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულება წარმოადგენს რთულ და კომპლექსურ პრობლემას.

საჯარო ფინანსების სისტემურად და ეფექტიანად მართვაში ეფექტიანობის აუდიტის აუცილებლობამ, მისი მნიშვნელობის სიღრმისეულად გააზრებამ, საჭირო გახადა სახელმწიფო შესყიდვების გარკვეული საბაზისო პრინციპების ჩამოყალიბების გარდუვალობა. ამ პრინციპებმა პრაქტიკულად იპოვეს ადგილი სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკაში და განსაზღვრეს სახელმწიფო შესყიდვების აუდიტის პარამეტრები, რაც, ქვეყნის კანონმდებლობისა და კონკრეტული შემთხვევის მიზნებიდან გამომდინარე, თავისთავად არ გამოირიცხავს ინდივიდუალური პროცედურების გამოყენებასაც. შესყიდვების საბაზისო პრინციპებს მიეკუთვნება:

- **ტანსაბარობის უზრუნველყოფა** - სახელმწიფო შესყიდვების (მათ შორის შესყიდვების პირობების) შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა პროცესის მონაწილეებსა და ფართო საზოგადოებას შორის. მიგვაჩნია, რომ ამ მნიშვნელოვანი პრინციპით ხელი შეეწყობა კორუფციული გარემოების შექცევას;
- **ღია და ეფექტიანი კონკურენცია** - რაც გულისხმობს, თანაბარი პირობების უზრუნველყოფას შესყიდვების პროცესის ყველა მონაწილესათვის;
- **ეკონომიურობა** - შესყიდვის პროცედურა უნდა ტარდებოდეს მინიმალური დანახარჯებით შემკვეთის შირიდან;
- **ეფექტიანობა** - შეეკვთა უნდა განხორციელდეს ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობის პრინციპებზე;
- **თანამშრომლების ანგარიშვალდებულება და სახელმწიფო ინტერესების მკაცრი დაცვა.**

სწორედ, სტრუქტურული პრინციპების ერთიანობით მიიღწევა სახელმწიფო შესყიდვებში ეფექტიანობა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს კონკურენციის პრინციპის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომლის უგულვლოყოფამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას დაცვა სხვა დანარჩენი პრინციპების პრაქტიკულ რეალიზაციას.

კონკურენციის სტიმულირების პირობებში კონკრეტული შესყიდვები, რომელიც წარმოებს საქონლისა და მომსახურების მიწოდებას შორის, სახელმწიფო შესყიდვების სხვადასხვა მეთოდების

1 https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00Z8ZF.pdf



გამოყენებით უზრუნველყოფს სამართლიანობის, ხარისხისა და ფასის საუკეთესო თანაფარდობის მიღწევას. ასეთ შემთხვევაში სხვადასხვა მიმონდებლებს ექმნებათ გარემო პირობები, როდესაც ერთმანეთთან კონკურენციით შეუძლიათ მოიპოვონ ცალკეული კონტრაქტები, რაც, თავის მხრივ, კონკურენტულ ფასებში უზრუნველყოფს ხარისხიანი პროდუქტების ან მომსახურების მიწოდებას (Fourie & Malan, 2021).

კონკურენციის შედეგად მიღებული უპირატესობები სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკაში შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავებოდეს ერთმანეთისაგან. აღნიშნული პროცესი განპირობებულია სახელმწიფო შესყიდვების სხვადასხვა პრაქტიკის არსებობასთან, ასევე, საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების მრავალფეროვნებასთან. ამასთან ერთად, დაბეჯითობით შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციაზე გავლენას ახდენს საქონლის, მომსახურების მიწოდებლების რაოდენობა, ბაზრის კონცენტრაცია და ა.შ. ამრიგად, კონკურენტული სახელმწიფო შესყიდვის ყოველი შემთხვევა იმსახურებს ინდივიდუალურ შესწავლას კონტროლის განხორციელების პროცესში.

სახელმწიფო შესყიდვების სისტემის რეფორმამ საქართველოში ცალკეული ეტაპები გაიარა. რეფორმების განხორციელების შედეგად მნიშვნელოვანი პროგრესი მიღწეული იყო 2010 წელს, როდესაც გაუქმდა ე.წ. „ქალაქების ტენდერები“ და სახელმწიფო სრულად გადავიდა ელექტრონულ შესყიდვებზე. რეფორმის შედეგად, სატენდერო ბაზარზე, ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად გაზარდა კონკურენცია, მეორე მხრივ კი, შემცირდა კორუფციის დონე. აღნიშნულ პროცესს ხელი შეუწყო:

- სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობამ, როდესაც ასეთი ინფორმაცია განთავსდა ონლაინ რეჟიმში და ყველა სატენდერო დოკუმენტაცია, მათ შორის: - სატენდერო ნინადადების ფასი, ხელშეკრულება, სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების გამოქვეყნება შესაძლებელი გახდა ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით;
- შესყიდვების წლიური გეგმების გამოქვეყნების სავალდებულო ხასიათმა, როდესაც, ასეთი ინფორმაცია ხელმისაწვდომი და საჯარო გახდა ელექტრონული სისტემის მეშვეობით;
- მონიტორინგის პროცესის ხელმისაწვდომობამ ნებისმიერი დანტერესებული პირისთვის. საყურადღებოა, რომ 2017 წლამდე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში არ იყო ახალთა სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიანად მართვის ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპები, როგორცაა პროპორციული და არადისკრიმინაციული მიდგომის აუცილებლობა.

პროპორციულობის პრინციპი პირდაპირ კავშირშია კონკურენციის ნახალისებასთან და ითვალისწინებს საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსებას. პროპორციულობის პრინციპი გავლენას ახდენს ტენდერის პირობებზე და თავის მხრივ, ზღუდავს შემსყიდველის მოთხოვნებს მიმწოდებლების კვალიფიკაციისადმი. პროპორციულობის პრინციპის დანერგვა ამცირებს ახალი კომპანიების (რომლებსაც, შესაძლოა, გააჩნდეთ კონკრეტული პროექტების შესრულების უფრო ნაკლები გამოცდილება, რაც, ამავედროულად, არ გამოირიცხავს მათ პროფესიონალიზმს) დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ რისკებს და ზრდის ტენდერში მონაწილეების მსურველთა რაოდენობას.

2022 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარდგინდა, 2023 წლის 9 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი ახალი რედაქციით, რომელიც ამოქმედდება 2025 წლიდან. თუმცა, დღევანდელი მდგომარეობა სახელმწიფო შესყიდვებში კონკურენციასთან დაკავშირებით საკმაოდ საყურადღებოა. ჩვენს მიერ ჩატარებულმა ანალიზმა ისეთ მნიშვნელოვან დარგებში, როგორცაა: ნავთობი და ნავთობ პროდუქტები; სოფლის მეურნეობა, აჩვენა, რომ კონკურენტულად ნავთობის დარგში, გამოცხადებული რევერსიული აუქციონით ტენდერების (SPA ტენდერი) 24 %-ში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 1 პირმა. ტენდერების 49%-ი კი საერთოდ არ ჩატარდა მონაწილეების ნაკლებობის გამო, ამასთან, ჩატარებული აუქციონების მხოლოდ 13 %-ში მიღწეულია 15%-ნი კლება გამოცხადებულ ფასებში. სოფლის მეურნეობის დარგში კი გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა თითქმის ორმაგდება და SPA ტენდერების პროცენტული რაოდენობა აღწევს 46%-ს, თუმცა, მასში მონაწილე პირთა რაოდენობა ერთ პირს არ აღემატება. ასეთი ტენდერი ან აღიშნებოდა სხვა დარგებშიც, რაც აქტუალურს ხდის სახელმწიფო შესყიდვებში კონკურენციის აბალღების პრობლემას.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მონაცემების საფუძველზე, ჩვენს მიერ ჩატარდა კვლევა და განისაზღვრა, თუ რა გავლენას ახდენს ტენდერის ფასის შემცირებაზე ისეთი ფაქტორები, როგორცაა: „მონაწილეების რაოდენობა“; „კონტრაქტის განხორციელების ადგილი“; „ხელშეკრულების მოცულობა“; „განცხადების პერიოდი“.

წრფივი რეგრესიის ანალიზის გამოყენებით, შევისწავლეთ 120 შემთხვევა SPA ტენდერების კატეგორიაში. რეგრესიის მოდელმა აჩვენა, რომ ცვლადობით „ხელშეკრულების მოცულობა“, „მანძილი“, „შეთავაზებების და მონაწილეების რაოდენობა“, შესაძლებელია აიხსნას 43%-ნი ცვლილება ცვლადობ „ტენდერის ფასი“ (იხ. ცხრილი 1). თუმცა,

THE NEW ECONOMIST / სახელმწიფო

ამ მაჩვენებლებიდან ყველაზე დიდ გავლენას დამოკიდებულ ცვლადზე ახდენს ისეთი მაჩვენებელი, როგორცაა - „მონაწილეების რაოდენობა“.

ცხრილი 1.
რეგრესიული მოდელის შეჯამება

Model	R	R Square	Adjusted R Square	Std. Error of the Estimate
1	0.653 ^a	0.426	0.406	9.96

ა. მაჩვენებლები: (Constant), მონაწილეთა რაოდენობა, მანძილი, გამოცხადების პერიოდი, შეთავაზებების რაოდენობა.

წყარო: მომზადებულია ავტორის მიერ SPSS

კვლევით მიღებული შედეგებით დასტურდება, რომ ტენდერებში მონაწილეთა რაოდენობის ზრდა წარმოადგენს პრიორიტეტულ ამოცანას კონკურენციის პრინციპის უზრუნველსაყოფად. აგრეთვე, მნიშვნელოვანია სანარმოების ზომის გათვალისწინება სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის ფარგლებში. მაგალითად, ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულება არის მცირე და საშუალო ზომის სანარმოების განვითარება. გამართვებულ შესვლა სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე ხელს უწყობს მათ განავითარონ საკუთარი პოტენციალი. გარდა ამისა, თვითონ შემსყიდველებისთვის ფართოდება მიმართულების პოტენციური ბაზა, რაც ასევე, დადებითად აისახება სახელმწიფო კონტრაქტებთან მიმართებით კონკურენციის ზრდაზე.

მიუხედავად იმისა, რომ მცირე ბიზნესი დგას გარკვეული გამოწვევების წინაშე საჯარო შესყიდვების სფეროში, 2014 წლის ევროკავშირის საჯარო შესყიდვების დირექტივაში აღნიშნულია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მხარდაჭერა განსაზღვრულია მათი დადებითი როლით ეკონომიკაში და, მიუხედავად იმისა, რომ არ უნდა იყოს ფიქსირებული კვოტები მცირე ბიზნესისთვის, სახელმწიფომ უნდა მოახდინოს სიტუაციის მონიტორინგი და ხელი შეუწყოს მათ მიიღონ მონაწილეობა შესყიდვების პროცესში. სატენდერო პროცესის გაუმჯობესებისათვის აღნიშნული დირექტივა მცირე და საშუალო ბიზნესს სთავაზობს ასევე, კონტრაქტების დაყოფას ლტებზე; შესყიდვების ერთიანი ევროპული დოკუმენტის (ESPD) - თვითდეკლარირების ფორმის

დანერგვას; სუბკონტრაქტორის საკანონმდებლო აღიარებას და თანხების გადახდას ბიუჯეტიდან პირდაპირ სუბკონტრაქტორებს.¹

კონტრაქტების ლტებზე დაყოფის ერთ-ერთი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება გაზარდოს შესყიდვების პროცესის კონკურენტუნარიანობა და მრავალფეროვნება. დიდი კონტრაქტების უფრო მცირე ლტებზე დაშლით, პროექტები ხდება უფრო მართვადი და მიმზიდველი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. მაგალითად, ისეთი რთული პროექტი, როგორცაა ახალი საავადმყოფოს მშენებლობა, შეიძლება დაიყოს მცირე ნაწილებად, მათ შორის: ცალკე მშენებლობა; ცალკე ელექტროგაყვანილობის ინსტალაცია; ცალკე სანატქენიკა და მოწყობილობის მონტაჟი.

ასეთი დაყოფით სპეციალიზებულ კომპანიებს შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ პროექტის კონკრეტულ ნაწილების მიხედვით და შესაბამისად, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს მიეცემათ შესაძლებლობა მოიპოვონ შეკვეთა კონკრეტული მომსახურებისთვის. ამის ნათელი მაგალითია, კომპანია Sigma-ას ანგარიშგება, როდესაც საფრანგეთის მთავრობამ გზის ინფრასტრუქტურული პროექტები დაყო ლტებზე გეოგრაფიული არეალის და სამუშაოების ტიპების მიხედვით; ასევე, იტალიაში ნარჩენების შეგროვების კონტრაქტი დაიყო მოსახლეობის ზომისა და ეკოლოგიური კრიტერიუმებით მიხედვით.²

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დაბალი კონკურენციის მიზეზების სტრუქტურული ანალიზისათვის, კონკურენტუნარიანობის პრინციპის მუდმივი მონიტორინგის აუცილებლობის საჭიროებიდან გამომდინარე, კვლევის რაოდენობრივ მეთოდთან ერთად მნიშვნელოვანია კვლევის თვისებრივი მეთოდის გამოყენება.

დასკვნები და წინადადებები:

ამრიგად, გვაქვს საფუძველი, რომ დაწინაურებით ვთავაზო, სახელმწიფო შესყიდვებში, სახელმწიფოს სოციალურ - ეკონომიკურ პასუხისგებლობასთან დაკავშირებული ფუნქციების შესრულების მუდმივ მონიტორინგთან ერთად, ეფექტიანობის აუდიტის პროცედურების გამოყენება ხელს შეუწყობს საზოგადოების წევრების სოციალური მოთხოვნების უკეთესად დაკმაყოფილებას, გაზრდის ამ მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებების ეფექტიანობასა და შედეგაწინააღმდეგობას.

ეფექტიანობის აუდიტის შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებელი გახდება გამოვლინდეს ფაქტორები, რომლებიც სრულყოფენ საკუთრივ სახელმწიფო შესყიდვებსაც.

1 <https://www.eumonitor.eu/9353000/1/j9vvik7m1c3gyxp/vjmy7tt61z3>

2 <https://www.signaweb.org/publications/Public-Procurement-Policy-Brief-33-200117.pdf>

The New ECONOMIST ეკონომისტი

International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Sylfaen font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2.5cm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5cm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.

2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEG.

3. The article must have abstract in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in Sylfaen and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.

4. The article will published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare rezume in Georgian, English and Raussian languages too.

The price of article's publication is- one page of journal 10 GEL (Lari) or 5 USD. And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 10 GEL (Lari) or 5 USD.

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. LOI's account: identification code - 204439296, the account number- GE33LB0113168905809000, „liberty bank“, central office, bank code LERTGE22.

Our coordinates:

e-mail: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge

Tel: 299 05 76; 555 277 554; 558 944 800.

PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა — 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.

2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო ნიშნობა და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;

3. სტატიას უნდა ახლდეს ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.

4. სტატია იბეჭდება ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვანოდოთ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.


სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი 10 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება — 10 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შექმნისა და/ან გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს „ლოი“-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE33LB0113168905809000, სს „ლიბერტი ბანკი“, ბანკის კოდა LERTGE22.

ელექტრონული ფოსტა: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge

tel: 299-05-76; 555 277 554; 558 944 800.

PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.



საერთაშორისო
ეკონომიკური



www.neweconomist.com.ge

E-mail: editor@neweconomist.com.ge